პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 63, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8 81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის - 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- საბჭ. კავშირის ინდუსტრიალიზაციის დღე არაჩვეულებრივის წარმატებით ჩატარდა
- მეორე ინტერნაციონალის თავმჯდომარედ ჰენდერსონის მაგიერ ვანდერველდე აირჩიეს
- გერმანელ მონარქისტების ყრილობა ნიურენბერგში
- საბჭოთა კავშ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის დელეგაცია ესტონეთში
- ლატვიის არმიის ფაშიზაცია
- ხმებია, რომ მუკდენს განზრახვა აქვს ნანკინის მონაწილეობის გარეშე მოაგვაროს კონფლიქტი საბჭოთა კავშირთან

ხუთშაბათი, 8 აგვისტო 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 180 (2526)

პარასკევს, აგვისტოს 9-ს მთავრობის სასახლეში
შესდგება
საქ. ს.ს.რ. ეკონომიური საბჭოს მორიგი სხდომა
დასაწყისი დღის 12 საათზე.
საქართველოს სსრ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს საქმეთა მმართველის მაგიერ
გ. ფალავა.

ახალი ხანა საწარმოო თათბირების მუშაობაში

(საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილების გამო)

იმ ღონისძიებათა სისტემაში, რომელთაც პარტია და ხელისუფლება მიმართავს ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის განვითარებისა და გაძლიერებისათვის, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საწარმოო თათბირებს. მუშათა მასების ინიციატივის გაშლა, მათი საწარმოო გამოცდილების გამოყენება, ამ მასების დაახლოება მრეწველობის მმართველობის საქმესთან და ჩაყოლიება ამ საქმეში — ყოველივე ეს დიდი იმპულსის მიმცემია საერთოდ ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის. მაგრამ ასეთი დიდი მნიშვნელობის მატარებელია ეს თათბირები იქ და იმ შემთხვევაში, სად და როდესაც ნორმალურ კალაპოტშია ჩაყენებული მათი მუშაობა და ჩვენი უცოდინარობის, უუნარიანობის თუ დაუდევრობის გამო, შეფერხებული არ არის ეს მუშაობა. ხოლო შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ასეთ მოვლენებს საერთოდ ან უმეტეს შემთხვევებში არა აქვთ ადგილი? რასაკვირველია, არ შეგვიძლია. კიდევ მეტი. იშვიათად შეხვდებით ჩვენში მაგალითს საწარმოო თათბირების დამაკმაყოფილებელი ან, მით უმეტეს, სრულიად დამაკმაყოფილებელი მუშაობისა. და უნდა ითქვას გადაჭრით, რომ უმეტეს ნაწილად ამის მიზეზია საწარმოთა ადმინისტრაციის მოქმედება ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, უმოქმედობა ამ ადმინისტრაციის. როდესაც მაგალითად ეს უკანასკნელი არავითარ ყურადღებას არ აქცევს თათბირების ან გამოცდილი და დახელოვნებული მუშების საქმიან წინადადებებს, როდესაც ის არა სთვლის თავს ვალდებულად სისრულეში მოიყვანოს ისეთი წინადადებებიც, რომლებიც თვითონაც სცნო სასარგებლოდ წარმოებისათვის, როდესაც არ ეძებს სახსარს ამისათვის, ნავარაუდევი არა აქვს სათანადო თანხები, არ შეაქვს ასეთი თანხები საწარმოოსაფინანსო გეგმაში და სხვა, როდესაც ადმინისტრაციის ასეთ „მუშაობასთან“ გვაქვს საქმე—სრულიად ბუნებრივია, რომ ყოველგვარი ინიციატივა ქრება საწარმოო თათბირებში, იხშობა იმის სურვილიც ცალკე მუშებში, რომ რაიმე დახმარება აღმოუჩინონ სახელმწიფო მრეწველობასა და წასწიონ წინ მისი განვითარება.

წარმოვიდგინოთ ერთი წამს, რომ მიზეზი საქმიანი, ადმინისტრაციის მიერ მოწონებულ წინადადებათა გაუტარებლობისა არის მხოლოდ უსახსრობა. ასეთ შემთხვევაში ხომ ბუნებრივია, რომ ადმინისტრაციამ გაითვალისწინოს მომავალში მაინც სათანადო თანხების გამოთხოვა იმ გაერთიანებიდან, რომელშიც ესა თუ ის საწარმოო ერთეული შედის? მაგრამ არა, ეს ასე არ არის. და ეს ხდება არა მარტო დაუდევრობის ან შეუგნებლობის გამო, არამედ ხშირად იმიტომ, რომ ადმინისტრაცია **ფორმალურად** თავს არ სთვლის **ვალდებულად** რაიმე **რეალური** ნაბიჯი გადასდგას ამ მიმართულებით. ასეთი იყო მდგომარეობა დღემდე. და ამ მდგომარეობამ შექმნა საჭიროება გარკვეული საკანონმდებლო აქტის, რომელიც, გაუკეთებდა რა ჯამს წარსულს, დასახავდა „ახალ“ გზებს, ყოველ შემთხვევაში **სავალდებულოდ** გახდიდა ამიერიდან ამ გზით სიარულს. ეს ასეც მოხდა: 18 ივლისის თარიღით საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცა დადგენილება („ღონისძიებათა შესახებ საწარმოო თათბირების მუშაობის გაძლიერებისა და წარმოების გაუმჯობესების საქმისათვის მუშათა და მოსამსახურეთა ინიციატივის გამოყენებაზე“), რომელსაც შეუძლია ახალი ხანა დაიწყოს საწარმოო თათბირების მუშაობის ისტორიაში.

სახალხო კომისართა საბჭო ავალებს საკავშირო მუშგლეხინის კომისარიატს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, გზათა კომისარიატსა და საკავშირო პროფსაბჭოს, გამოიმუშაონ სათანადო ინსტრუქცია ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად. ამასთან საკავშირო მუშგლეხინს ევალება თვალყური ადევნოს დადგენილების გატარებას. ასეთი ზომებია ჯერ მიღებული, რომ დადგენილება ქაღალდზე არ დარჩეს და ხორცი შეისხას იმ დიდმნიშვნელოვანმა ღონისძიებამ, რომელიც საფუძვლად უდევს აქ დადგენილებას.

როგორც ზევით ვთქვით, საწარმოთა ადმინისტრაცია, არ ატარებს ცხოვრებაში თვით იმ წინადადებებს, რომლებიც მოწონებულია მის მიერ. თანახმად საკავშირო მთავრობის დადგენილებისა სამეურნეო ორგანოები **ვალდებული** არიან მიიღონ **სასწრაფო** ზომები ასეთ წინადადებათა განსახორციელებლად. ამასთან ეს წინადადებანი დაყოფილი არიან ორ კატეგორიათ პროფკავშირებთან შეთანხმების მიხედვით: ზოგი უნდა გატარდეს დაუყოვნებლივ, ზოგიც უნდა იქნეს ნავარაუდევი საწარმოო საფინანსო გეგმაში და განხორციელდეს გარკვეულ ვადებში. მომავლისათვის კი გამონახული უნდა იქნეს სპეციალური თანხები ამ საქმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ადმინისტრაციის სერიოზული ზრუნვა ამ დარგში და ეფექტიური შეიქნეს მისი მუშაობა ამ მიმართულებით, ის ვალდებულია აღრიცხოს საწარმოო თათბირების და აგრეთვე ცალკე მუშების და მოსამსახურეების წინადადებანი, მათი გატარება, თანხები, რომლებიც დაიხარჯა ამ მიზნით და ეკონომიური სარგებლიანობა, რომელიც მოიტანა ამ წინადადებათა გატარებამ. ეჭვს გარეშეა ასეთი აღრიცხვის ვალდებულება გაზრდის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობას, თვითკონტროლის მოთხოვნილებას სამეურნეო ორგანოში და ხელს შეუწყობს საზოგადოდ ამ საქმის წარმატებას. საწარმოს ხელმძღვანელი **პასუხისმგებელია** წინადადებათა თავის დროზე გარჩევისა და გატარებისათვის.

უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობის შემცველია საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილების ის მუხლი (4), რომელიც ეხება იმ მუშებისა და მოსამსახურეების პრემიას, რომელთა წინადადებანი მოწონებული იქნა გასატარებლად. ამ შემთხვევაში ადმინისტრაცია **ვალდებულია** დაუყოვნებლივ მისცეს წინადადების მიღებისთანავე პრემიის ნახევარი იმ მუშას თუ მოსამსახურეს, რომლის წინადადება იქნა მოწოდებული და ღირსი პრემიისა, ხოლო დანარჩენი ნახევარი უნდა იქნეს გადახდილი ამ წინადადების განხორციელების შემდეგ.

გარდა ამისა ადმინისტრაციამ მუშა - მოსამსახურეთა ტეხნიკური განათლებისთვის უნდა გადასდოს, სპეციალურ ფონდში, 10 პროცენტი იმ ეკონომიისა, რომელსაც საწარმო მიიღებს გატარებულ წინადადებათა შედეგად.

ყველასათვის ცხადია, როგორ შეუწყობენ ხელს ეს ზომები საწარმოო თათბირების მუშაობას, ცალკე მუშა და მოსამსახურეთა აქტივობის ზრდას და საერთოდ მთელი მუშათა მასის კი [illegible] დაინტერესებას წარმოების რაციონალიზაციითა და განვითარებით. სპეციალური ფონდი მუშათა ტეხნიკური განათლებისათვის, მთელ რიგ სხვა ზომებთან ერთად, მნიშვნელოვანი ნაბიჯია სათანადო კადრების შექმნის გზაზე.

ასეთია მოკლედ შინაარსი ამ დიდმნიშვნელოვანი დადგენილების, რომლის გატარებაში ყველა ორგანოებმა და განსაკუთრებით კი პროფორგანიზაციებმა მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ.

საჭიროა **ახლავე** იქნეს ჩამოყალიბებული სათანადო დებულება ამ საკითხზე იმავე პრინციპების დაცვით და განვითარებით, რომლებმაც ჰპოვეს გამოხატულება საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში და პრაქტიკული ინსტრუქციების სახით გადაეცეს დაინტერესებულ ორგანოებს ცხოვრებაში გასატარებლად.

გახრწნილი და გადაგვარებულნი დასჯილნი არიან

ბაქოს და, საზოგადოდ, აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის მდგომარეობა უკანასკნელ ხანებში მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. რა მოხდა ბაქოს ორგანიზაციაში? ჩვენს გაზეთში ამის შესახებ საკმაოდ ბევრი დაიწერა. მოკლედ კი იმ უმსგავსოების დახასიათება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბაქოს ორგანიზაციაში, შემდეგნაირად შეიძლება: ხელმძღვანელ ორგანიზაციების მოწყვეტა პარტიულ მასისაგან, თვითკრიტიკის ჩახშობა და ამ ნიადაგზე წარმოშობილი ზნეობრივი ხასიათის ბოროტმოქმედებანი, რომელნიც, როგორც ეს საზოგადოდ ხდება, საბოლოო ანგარიშით გადაიქცა ორგანიზაციის ხელმძღვანელ წრეების იდეურ პოლიტიკურ გადაგვარებად.

ბაქოს ორგანიზაციის ზედაფენათა და [illegible] ერთ-ერთ ყველაზე უფრო დამახასიათებელ და სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს ეგრედწოდებული სესინოვშჩინა, რომლის მთავარი გმირიც არის პარტიის ყოფილი წევრი, ბაქოს რაიონულ პარტიულ ორგანიზაციის მუშაკი სესინი. ამ რამდენიმე უკანასკნელი დღის განმავლობაში აზერბეიჯანის უზენაესი სასამართლო გულდასმით არჩევდა სესინის საქმეს. საბრალმდებლო სკამზე იჯდა ათამდე კაცი, ყოფილი კომუნისტები და პარტიის საპასუხისმგებლო პოსტებზე მომუშავენი წარსულში. სასამართლოს წინაშე სრულიად გადაიშალა ბაქოს ორგანიზაციის ხელმძღვანელ მუშაკთა ერთი ჯგუფის ზნეობრივ გახრწნისა და სრული გადაგვარების აღმაშფოთებელი სურათი. სისტემატიური ლოთობა, სქესობრივი აღვირახსნილობა, ერთმანეთის დასაცავად ძმა-ბიჭური გამოქომაგება, ყველა მათი სასტიკად დევნა, ვინც ცდილობდა აღემაღლებია ხმა არსებულ უმსგავსოებათა მზის სინათლეზე გამოსატანად და სხვ.

მთელი პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრიობა განსაკუთრებულ ინტერესით ელოდა აზერბეიჯანის უზენაეს სასამართლოს განაჩენს სესინის საქმეზე. ეს გასაგებიცაა. სესინოვშჩინის სახით საბრალმდებლო სკამზე იჯდა არა მარტო ის ჯგუფი, რომელთა საქმესაც არჩევდა სასამართლო. სესინოვშჩინის გასამართლება ეს იყო ფაქტიურად აზერბეიჯანის პარტიულ ხელმძღვანელობის გამოყვანა მთელი პარტიულ და საბჭოთა საზოგადოებრიობის სამსჯავროს წინაშე. ამიტომ საქმე მარტო იმაში, როდია, რომ როგორც დღევანდელი დეპეშები გადმოგვცემს, უზენაეს სასამართლომ ღირსეული სასჯელი მიუზღო სესინოვშჩინის გმირებს. მთავარია ამ განაჩენიდან სათანადო პრაქტიკულ დასკვნის გამოტანა იმ მიზეზების წინააღმდეგ სასტიკ იერიშის მისატანად, რომელთაც შექმნეს და რომელნიც ჰკვებავდნენ სესინოვშჩინას.

ამ მხრივ ბაქოს ორგანიზაციის გაკვეთილს არა აქვს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა. აშკარაა, რომ თუ ასეთ დაავადებას პარტიულ ორგანიზაციაში ადგილი დაურჩა, ისეთ მოწინავე პროლეტარულ ცენტრში, როგორიცაა ბაქო, ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილად მოვეკიდოთ სხვა პარტიულ ორგანიზაციების მუშაობას. იქ, სადაც სუსტია პროლეტარიატის ხელმძღვანელობა, სადაც პარტიული ორგანიზაციების ზედაფენები კარჩაკეტილ მუშაობას აწარმოებენ, სადაც ჩაწიხლულია თვითკრიტიკა, შესაძლებელია ძირი გაიდგას ისეთივე იარამ, როგორიც იყო აღმოჩენილი ბაქოში, ასტრახანში და ზოგიერთ სხვა ადგილას.

აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ თვითეული პარტიული ორგანიზაცია, ყოველი კომუნისტი და მშრომელი ფხიზლად უნდა იდგეს თავის პარტიულ და მოქალაქეობრივ მოვალეობის სადარაჯოზე. მთავარი გარანტია ყოველგვარ დაავადების თავიდან ასაცილებლად მდგომარეობს მშრომელი მასების აქტიურ მონაწილეობაში ჩვენი აღმშენებლობის ყველა ფრონტზე. ეს მუდამ ძველი და მუდამ ახალი უდაო ჭეშმარიტება ჯერ კიდევ ყველგან სათანადო სიმტკიცით არა აქვთ შეგნებული. ჩვენ ბევრს ვწერთ და ვლაპარაკობთ თვითკრიტიკის ლოზუნგის გაშლის აუცილებლობაზე. თვითკრიტიკა არის ის ერთ-ერთი მთავარი საშუალება, რომელშიაც პოულობს თავის ფართო გამოხატულებას საბჭოთა დემოკრატია. ამავე დროს არ შეიძლება ითქვას, რომ თვითკრიტიკის განვითარების მხრივ ყველგან დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. ბევრ შემთხვევაში თვითკრიტიკას ესალმებიან, მას ღებულობენ, როგორც დეკლარატიულ ლოზუნგს, საქმით კი მეტად ცოტას ზრუნავენ მის განსახორციელებლად. პარტიული ორგანიზაციები და ხელისუფლების ორგანოები ხშირად ვერ იჩენენ საჭირო სიმტკიცეს იმისათვის, რომ ყველას, ვინც ებრძვის თვითკრიტიკას, შესაფერი ადგილი მიუჩინონ.

სესინოვშჩინა მორიგი და სერიოზული გაფრთხილებაა ყველა ადგილობრივ ორგანიზაციისათვის. ბოლშევიკური პარტიის ღირსება, სხვათა შორის, იმაშიაც მდგომარეობს, რომ მას არ სჩვევია საკუთარი ნაკლის მიფუჩეჩება, ჩვენი პარტია ქედს არ იხრის არავითარ სიძნელის წინაშე, ის წუწუნს და მოთქმა-გოდებას არ დაიწყებს იმ შემთხვევაშიაც, როცა თავის რიგებში ამა თუ იმ ზნეობრივად გახრწნილ და პოლიტიკურად გადაგვარებულთა ჯგუფს აღმოაჩენს. ჩვენი პარტია დაუზოგავად მოიკვეთს თავის სხეულიდან ყველა მათ, ვინც თავის უღირსი საქციელით ჩირქს სცხებს ლენინის გვარდიის უმწიკვლო სახელს. ბოლშევიკური პარტია ყოველ თავის შეცდომას იყენებს იმისათვის, რომ გაიადვილოს შემდგომი წინსვლა იმ მძიმე და უაღრესად საპასუხისმგებლო საქმის შესასრულებლად, რომელიც ისტორიამ მას დააკისრა. ბაქოს ორგანიზაციაში აღმოჩენილი უმსგავსოება ვერ შეაფერხებს სოციალისტური მშენებლობის შემდგომ წარმატებითი წინსვლას. ბაქოს გმირების სასტიკად და სამაგალითოდ დასჯასთან ერთად, პარტიამ გამოიკვლია მომხდარი ფაქტის გამომწვევი მიზეზები, და ბოლშევიკურად შეაფასა ბაქოს გაკვეთილები და აქედან შესაფერი დასკვნები გამოიტანა თავისი შემდგომი ძლევამოსილი წინსვლის გასაადვილებლად.

ნანკინ-მუკდენელების თათბირი აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შესახებ

იაპონიის სააგენტოს ცნობით ჩინეთი თანახმაა აღადგინოს გზაზე ძველი მდგომარეობა

მეორე ინტერნაციონალი მხარს უჭერს ჩინელ ხუნხუზებს და იმპერიალისტებს აღმ.-ჩინ. რკ.-გზაზე

ჰააგაში გაიხსნა სახელმწიფოთა სარეპარაციო კონფერენცია

ჩინეთი და საბჭოთა კავშირი

[illegible]

ტოკიო, 6 აგვისტო. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, ნანკინის მთავრობის გზათა მინისტრი სუნ-ფო ჩავიდა მუკდენში, სადაც, ვითომ მოხდა კონფერენცია სუნ-ფოს და ჩანსუე-ლიანის მონაწილეობით.

კონფერენციამ დაადგინა— **პრინციპიალურად დასთანხმდეს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე წინად არსებული მდგომარეობის აღდგენას და შეუდგეს მოლაპარაკებას 1924 წლის ხელშეკრულების საფუძველზე** (ადს).

გერმანელი პრესა ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის შესახებ

ბერლინი, 6 აგვისტო. ოფიციოზი „დეიტჩე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენც“-ი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა ჩინეთთან მოლაპარაკებას სრულიად აშკარად აწარმოებს, და გამოსთქვამს სურვილს, რომ ჩინეთმაც წაბაძოს ამ მაგალითს.

ცენტრის ორგანო „გერმანია“ ფიქრობს, **რომ ნანკინის მთავრობა მალე დათმობაზე უნდა წავიდეს. ამაში, ვითომ დიდი როლი ითამაშა იმ სახელმწიფოების დიპლომატიურმა ზეგავლენამ, რომლებმაც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მოძრაობის შეფერხების გამო დიდი ეკონომიური ზარალი განიცადეს.**

„ბერლინერ ბერზენ კურიერ“-ი აღნიშნავს, რომ მოლაპარაკების განახლების ცდა გამომდინარეობდა მუკდენიდან და არა ნანკინიდან, რაც ჩინეთის სახელმწიფოებრივი სისუსტის დამახასიათებელია (ადს).

მშრომელთა პასუხი ჩინელ ხუნხუზებს

მოსკოვი, 7 აგვისტო. თურქესტან-ციმბირის რკინის გზის მუშებმა 6 აგვისტოს დაადგინეს—მოაწერონ ხელი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხს 2 თვის ხელფასის რაოდენობით.

ციმბირში წარმატებით მიმდინარეობს ფულის შეგროვება თავდაცვის სასარგებლოდ. გლეხობამ გააძლიერა პურის ჩაბარება, სთესენ მიწას ინდუსტრიალიზაციის ფონდისათვის და მთელი სოფლები შედიან თავდაცვაავიაქიმის წევრად.

სოფელ ჩეგერაკის გლეხებმა შეაგროვეს 400 მანეთი სამხედრო აეროპლანის ასაგებად.

ჩინეთის სამხედრო წრეების პროვოკაციის საპასუხოდ, ენლოვიშენსკის რაიონის გლეხობამ მოაწყო კოლექტიური მეურნეობა „გიგანტ“-ი 12.000 ჰექტარი მიწით. ეს უდიდესი კოლექტიური მეურნეობაა ამ მიდამოებში. (ადს).

მუკდენს ნანკინის გავლენის ეშინია

პეიპინი, 7 აგვისტო. ინგლისური ორგანო „პეკინ ენდ ტიანძინ ტაიმს“-ი ფიქრობს, რომ მართალნი არიან იაპონური წრეები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მუკდენმა გადასწყვიტა ნანკინის მონაწილეობის გარეშე მოაგვაროს კონფლიქტი აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე. საქმე იმაშია, რომ **მუკდენს ეშინია მანჯურიაზე ნანკინის გავლენის გაფართოვებისა და მას არა სურს ნანკინს გაუყოს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შემოსავალი.** (ადს).

ჩუ-შაი-იანის მისია

ჩიტა, 7 აგვისტო. 5 აგვისტოს ხარბინში მოვიდა ნანკინის მთავრობის მიერ მოსკოვში დანიშნული, ჩინეთის რესპუბლიკის ყოფილი რწმუნებული საბჭოთა კავშირში ჩუ-შაოიანი. იაპონური და ჩინური გაზეთების ცნობით, ჩუ შაო-იანი, ნანკინის მთავრობის დავალებით, მიდის მანჯურიაში აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი კონფლიქტის ადგილობრივ გამოსარკვევად და **საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად კონფლიქტის ლიკვიდაციის მიზნით.** (ადს).

ხუნხუზთა ბრბოები

ხაბაროვსკი, 7 აგვისტო. როგორც იმადიდან იუწყებიან, ბოლო დროს რაიონის ზოგიერთ სოფელში გახშირდა ხუნხუზთა მცირე ბრბოების საზღვარზე გადმოსვლის შემთხვევები. ეს ბრბოები გლეხების ცხენებს მიერეკებიან ჩინეთის ტერიტორიაზე. ბრბოების ლიკვიდაცია სწრაფად მიმდინარეობს, რაშიაც თვით მოსახლეობა აქტიურად ეხმარება წითელ არმიელებს. (ადს).

მეორე ინტერნაციონალი ნანკინელ ხუნხუზებს ეხმარება

ბერლინი, 6 აგვისტო. მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის უკანასკნელ სესიამ ციურიხში მიიღო დადგენილება, რომელიც არსებითად წარმოადგენს ნანკინის მთავრობისათვის მხარის დაჭერას; მეტიც: ეს დადგენილება მთლიანად ამზადებს საზოგადოებრივ აზრს იმ გეგმის გატარებისათვის, რომელიც მოითხოვს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე „არა დაინტერესებულ სახელმწიფოების“ კონტროლის დაწესებას და რომლისათვისაც ზრუნავენ ამჟამად ამ სახელმწიფოთა მთავრობები.

აღმასკომი თავის დადგენილებაში, სხვათა შორის, სწერს: „რადგან საბჭოთა კავშირმა ჩინეთის ტერიტორიაზე ბოროტად გამოიყენა მუშათა ორგანიზაციები, როგორც რუსული პოლიტიკის გატარების იარაღი, ამიტომ ჩინეთს უფლება აქვს უარჰყოს რუსეთის კონტროლი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე“.

„როტე ფანე“ აღშფოთებით აღნიშნავს, **რომ მეორე ინტერნაციონალის აღმასკომი ერთი სიტყვითაც არ შეეხო იმ ლაქიობას, რომელსაც ჩან-კაი-შიმ მიმართა იმპერიალისტების მიმართ (ადს).**

საბჭოთა მოსამსახურეების დაპატიმრება

ტოკიო, 6 აგვისტო. როგორც „ტოკიო ასახი“ ხარბინიდან იუწყება, იქ ხელახლა დააპატიმრეს 30 საბჭოთა მოსამსახურე (სხვა ცნობების მიხედვით დაპატიმრებულია 130 კაცზე მეტი). (ადს).

მასების ეშინიათ

შანხაი, 7 აგვისტო აქ დღესაც არ იციან, დაახლოვებითაც კი, ჩან-სიუე-ლიანის იმ წერილის შინაარსი, რომელზედაც კარახანმა პასუხი გასცა. ამ წერილებისა და წინადადებების შესახებ, რეიტერი ისეთს არეულსა და [illegible] ცნობებს გადმოგვცემს, რომ თვით ნანკინის მთავრობასთან დაახლოვებულმა პირებმა არ იციან, მართლა სწარმოებს მოლაპარაკება თუ არა, და რის შესახებ.

სარეპარაციო კონფერენცია

ჰააგა, 6 აგვისტო. 6 აგვისტოს გაიხსნა ჰააგის კონფერენცია, რომელზედაც წარმოდგენილია 12 შემდეგი სახელმწიფო: საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, ბელგია, იტალია, იაპონია, ჩეხო-სლოვაკია, სამხრეთ-სლავია, პოლონეთი, რუმინეთი, საბერძნეთი და პორტუგალია.

დელეგატებს შორის არიან **ბრიანი, შტრეზემანი, ჰენდერსონი, გრანდი** (იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი), **ზალესკი, ვენიზელოსი** (საბერძნეთის პრემიერი), **ტიტულესკუ** (რუმინეთის ელჩი ლონდონში და საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი).

ვან-ბლოკლანდის მისალმება

კონფერენცია გაიხსნა ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვან-ბლოკლანდის მისასალმებელი სიტყვით. მან განაცხადა, რომ ჰოლანდიის მთავრობა „მოხარულია თავის ქვეყანაში მიიღოს ის სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც შეიკრიბნენ მშვიდობიანობის დასამყარებლად“.

ბრიანის პასუხი

ვან-ბლოკლანდის მისასალმებელ სიტყვაზე პირველად უპასუხა ბრიანმა, რომელმაც გამოსთქვა, „რწმენა, რომ კონფერენცია წარმატებით ჩაივლის“.

შტრეზემანის იმედები

ბრიანის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა შტრეზემანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ჰააგის კონფერენცია „ემსახურება საყოველთაო მშვიდობიანობის ამოცანებს და მისი მნიშვნელობა სცილდება ფინანსიური ანგარიშების ფარგლებს“. შტრეზემანმა სთქვა, რომ კონფერენციის ეკონომიურმა შედეგებმა უნდა გამოიწვიონ პოლიტიკური შედეგებიც და გამოსთქვა ის აზრი, რომ მახლობელ მომავალში უნდა გაიმართოს მსოფლიო ეკონომიური კონფერენცია, რომელიც შეუდგება „მსოფლიო მეურნეობის რაციონალიზაციას“. შტრეზემანმა აღნიშნა ამ „რაციონალიზაციის“ გზები და, სხვათა შორის, სთქვა: „ეხლა დაცინვით იხსენიებენ იმ პერიოდს, როცა გერმანია დანაწილებული იყო წვრილ სახელმწიფოებად, რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებულნი იყვნენ საბაჟო ზღუდეებით და ფულის სხვადასხვა სისტემით. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დადგება დრო, როცა ასევე დაცინვით მოიგონებენ ევროპის ეხლანდელ მდგომარეობას, რომელიც გვაგონებს გერმანიის წინანდელ მდგომარეობას“.

შტრეზემანის შემდეგ მოკლე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა სნოუდენმა.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციის მონაწილენი მხურვალე მისალმებით შეხვდნენ ბრიანის და სნოუდენის სიტყვებს, შტრეზემანის სიტყვას კი დუმილით შეხვდნენ.

სნოუდენის სიტყვის შემდეგ ვან-ბლოკლანდმა სხდომა დახურა (ადს).

პატარა სახელმწიფოები ჰააგის კონფერენციაზე

ბერლინი, 6 აგვისტო. ბერლინის პოლიტიკურ წრეების ცნობით, პატარა სახელმწიფოების წარმომადგენელნი ჰააგის კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ პლენარულ სხდომებზე. კონფერენციის სარევიზიო და პოლიტიკურ კომისიებში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ექვსი მთავარი დაინტერესებული სახელმწიფოს (ინგლისი, იტალია, ბელგია, იაპონია და გერმანია) წარმომადგენელნი (ადს).

წითელი დღის შემდეგ

ბერლინის ანტიმილიტარისტული კომიტეტი ანგარიშს აბარებს მუშებს

ბერლინი, 6 აგვისტო. ომის საწინააღმდეგო ბერლინის კომიტეტმა მოიწვია ბერლინის ქარხნების დელეგატების და მუშათა ორგანიზაციების კონფერენცია.

კონფერენციაზე, რომელსაც 270 დელეგატი დაესწრო, გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა პიკმა ომის საწინააღმდეგო კომიტეტის მუშაობის შესახებ გააკეთა საანგარიშო მოხსენება.

კონფერენციამ მოიწონა ომის საწინააღმდეგო კომიტეტის მოქმედება. განსაკუთრებით აღინიშნა პირველ აგვისტოს ბერლინში მომხდარი უდიდესი დემონსტრაციის მნიშვნელობა.

კონფერენციამ ენერგიული პროტესტი განაცხადა სოციალ-დემოკრატიული „ფორვერტს“-ის იმ ცდის წინააღმდეგ, რომლის მიზანიც იყო პირველი აგვისტოს დემონსტრაციების მნიშვნელობის შემცირება და დაადგინა—11 და 12 აგვისტოს, **ბურჟუაზიული ზეიმის დღეებში ვეიმარის კონსტიტუციის გამო, მოაწყოს მუშების ახალი გამოსვლები ომის საფრთხის წინააღმდეგ.** რეზოლიუცია მოითხოვს აგრეთვე, რომ ქარხნებთან მოეწყოს მუშათა თავდაცვის რაზმები. (ადს).

1 აგვისტო ბულგარეთში

ვენა, 6 აგვისტო. ბულგარული „სვობოდნაია რეჩ“-ი გადმოგვცემს დაწვრილებით ცნობებს 1 აგვისტოს ჩატარების შესახებ ბულგარეთში.

ცნობები უარჰყოფენ ოფიციალურ მტკიცებას იმის შესახებ, რომ ამ დღემ „წესრიგის დაურღვევლად ჩაიარა“?! გაზეთები იუწყებიან, რომ სოფიის მუშათა უბანში გამოფენილი იყო წითელი დროშები, ამასთან მთელი ქალაქში, აგრეთვე ყაზარმებში პროკლამაციებს ავრცელებდნენ. გაიმართა მიტინგები, რომლებიც პოლიციამ გაფანტა, დააპატიმრეს რამდენიმე პირი.

ტეტევანში გაიფიცნენ ხის დამმუშავებელი ფაბრიკის მუშები.

პროვინციიდან ძალიან მცირე ცნობები მოდის. (ადს).

დათხოვნა პირველ აგვისტოს დემონსტრაციებში მონაწილეობისა

ბერლინი, 6 აგვისტო. კომუნისტური გაზეთების ცნობით, გერმანიაში გახშირდა მუშების დათხოვნის შემთხვევები, პირველ აგვისტოს დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის. (ადს).

მუშათა ანტიფაშისტური თავდაცვის რაზმები

ბერლინი, 6 აგვისტო. პირველ აგვისტოს დემონსტრაციების დროს ზემსილეზიის მუშებმა წამოაყენეს მუშათა ანტიფაშისტური თავდაცვის ორგანიზაციების შექმნის ლოზუნგი.

1 აგვისტოს მუშები მასიურად ეწერებოდნენ ამ რაზმებში. (ადს).

ფეიქართა ბრძოლა ინგლისში

მანჩესტერის გაფიცულმა ფეიქრებმა უარი განაცხადეს დამქირავებლებთან მოლაპარაკებაზე

მანჩესტერი, 6 აგვისტო. მქსოველთა კავშირის სარაიონო ორგანიზაციამ ხმის მნიშვნელოვანი უმრავლესობით **უარჰყო აღმასკომის მოთხოვნა, რათა ორგანიზაციას მიეცა მისთვის დამქირავებლებთან მოლაპარაკების რწმუნება კონფლიქტის ლიკვიდაციის მიზნით.**

ეს დადგენილება აიხსნება იმით, რომ, მუშების რწმენით, ამჟამად მოლაპარაკება უეჭველად ხელფასის შემცირებას გამოიწვევს.

მჩეჩავების პროფკავშირმაც უარჰყო წინადადება აღმასკომისათვის მოლაპარაკების რწმუნების მიცემის შესახებ.

ფეიქართა კავშირის აღმასკომმა დაადგინა—არ წამოაყენოს ამგვარი წინადადება. (ადს).

ლოკაუტის რაიონში

მანჩესტერი, 6 აგვისტო. ფეიქართა ლოკაუტის რაიონში ცოტად თუ ბევრად სიწყნარეა. ის ფონდები, რომლებიც ლოკაუტგამოცხადებულთა განკარგულებაშია, იკმარებენ 12 კვირის განმავლობაში.

პროფკავშირი ფეიქრებს ურჩევს, ლოკაუტი ჩასთვალონ დასვენების პერიოდად. ამრიგად, პროფკავშირი იმედოვნებს, რომ მას მოლაპარაკებისათვის მიეცემა თავისუფალი მოქმედების საშუალება და ხელს შეუშლის საგაფიცვო კომიტეტების ქვეიდან შექმნას. (ადს).

ჰენდერსონის ნაცვლად ვანდერველდე

ბერლინი, 7 აგვისტო. მეორე ინტერნაციონალის აღმასკომმა თავის სესიაზე ციურიხში თავმჯდომარედ, ჰენდერსონის ნაცვლად, აირჩია ბელგიის სოციალისტების ბელადი ვანდერველდე. (ადს)

ლატვიის არმიის ფაშიზაცია

რიგა, 6 აგვისტო. მემარჯვენე გაზეთებში გამოქვეყნებულია საუბარი სამხედრო მინისტრ ოზოლსთან. ოზოლი ამ საუბარში ამტკიცებს, რომ „არმია სრული კმაყოფილებით შეხვდა რეორგანიზაციას“; რესპუბლიკის პრეზიდენტსაც ვითომც თავის დროზე აცნობებს მომავალი რეორგანიზაციის შესახებ.

ოზოლსის დასაცავად სამხედრო უწყების ორგანოში „ლატვიას კარეივის“-ში გენერალი რაძივილი ათავსებს ვრცელ წერილს არმიის რეორგანიზაციის შესახებ. რაძივილი ეხება დემოკრატიული პრესის განცხადებას იმის შესახებ, რომ ოფიცრების პროგრესიული ნაწილი უკმაყოფილოა რეორგანიზაციით და დასაცავად მიმართავს პრესას და დეპუტატებს. რაძივილი მკაცრად ილაშქრებს პროგრესიულად განწყობილი ოფიცრების წინააღმდეგ. რაძივილი აშკარად მოითხოვს ასეთების განდევნას არმიიდან.

გაზეთი „სიბიენ დემოკრატ“-ი კითხულობს: „განხორციელდება თუ არა ნამდვილად ეს ფაშისტური გადატრიალება არმიაში წინააღმდეგ პრეზიდენტის, აგრეთვე სეიმის სამხედრო საქმეთა კომისიის მიერ აშკარად გამოთქმული სურვილისა?“. გაზეთი ფიქრობს, რომ „ხალხი ამას არ დაუშვებს“. გაზეთის აზრით, ფაშისტების ანგარიში ცხადია: თუ დაეცემა ეხლანდელი მთავრობა, ნაკლები იმედია, რომ სამხედრო მინისტრის თანამდებობა ახალ მთავრობაში ფაშისტმა მიიღოს. ამიტომ საჭირო იყო უსათუოდ ეხლავე მომხდარიყო არმიის „რეორგანიზაცია“. ფაშისტებისათვის საჭირო იყო უფრო პროგრესიული გენერლებისა და ოფიცრების გაძევება ხელმძღვანელ მეთაურთა შემადგენლობიდან და მათ ნაცვლად ამ ადგილებზე თავიანთი ხალხის დაყენება. (ადს).

გლეხთა ამბოხება უნგრეთში

ვენა, 6 აგვისტო. უნგრეთის თემში, გროსკანიჟის მახლობლად, გადასახადების აკრეფის დროს მოხდა გლეხთა ამბოხება. გლეხობამ სცემა გადასახადების ამკრებთ. დააპატიმრეს რამდენიმე კაცი. (ადს)

ვაჭრობის სახ. კომისარიატის დელეგაცია ესტონეთში

რეველი, 6 აგვისტო. ვაჭრობის სახ. კომისარიატის დელეგაციის ესტონეთში ჩასვლის გამო, ესტონეთ - საბჭოთა სავაჭრო პალატამ გამართა საღამო, რომელზედაც ესტონელმა მოღვაწეებმა წაიკითხეს მოხსენება ესტონეთის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ. გაიმართა აგრეთვე მეორე საღამო, რომელზედაც დელეგაციის წევრებმა დამსწრეთ გაუზიარეს მთელი რიგი ფაბრიკებისა და ქარხნების დათვალიერებით მიღებული შთაბეჭდილებანი. (ადს)

ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობა

ეგვიპტე ინგლისის ერთგულ ვასალად ხდება

ლონდონი, 6 აგვისტო. რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ჰენდერსონის და ეგვიპტის პრემიერის მახმუდ-ფაშის მიმოწერიდან ჩანს, რომ ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობის მოგვარების შემდეგ ეგვიპტეს არმიას შეაიარაღებენ და აწვრთნიან ისევე, როგორც ინგლისის არმიას. ეგვიპტის მთავრობას განზრახვა აქვს დროებით დასტოვოს ინგლისის ფინანსიური და სამოსამართლო მრჩევლები. პოლიციის ცენტრალურად დიდ ქალაქებში სულ ცოტა, ხუთი წლის განმავლობაში იქნებიან ინგლისელი ოფიცრები. მომრიგეთა სურვილის მიხედვით შერეულ სასამართლოს უნდა გადაეცეს განსახილველად ისეთი საქმეები, რომლებსაც ეხლა კაპიტულიაციის საფუძველზე საკონსულო სასამართლოები იხილავენ. ჰენდერსონი ფიქრობს, რომ დამუშავებული წინადადებანი უნდა დაამტკიცოს ეგვიპტეს ახლად არჩეულმა პარლამენტმა, შემდეგ ისინი განსახილველად უნდა წარედგინოს ინგლისის პარლამენტს (ადს).

გერმანიის მონარქისტების ყრილობა

ვილჰელმის ცოლი და შვილიშვილი ყრილობაზე.—ფაშისტების თავდასხმა მუშებზე

ბერლინი, 6 აგვისტო. ნიურენბერგში მიმდინარეობს გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ყრილობა. ყრილობაზე გამოცხადდა ჰოჰენცოლერნთა ოჯახის რამდენიმე წევრი, მათ შორის ვილჰელმ მეორის მეუღლე და შვილის-შვილი.

ყრილობის გახსნა აღინიშნა რამდენიმე პროვოკაციული გამოსვლით ნიურენბერგის მუშური მოსახლეობის და ორგანიზაციების მიმართ. **ფაშისტების მიერ გამოწვეული შეტაკების დროს ფაშისტების ტყვიით მოკლულ იქნა ერთი ქალი და მძიმედ დაიჭრა ერთი მუშა. გერმანელი ფაშისტების დამკვრელმა ჯგუფმა მთლად გაანადგურა მელითონეთა ადგილობრივი კავშირის სადგომი და ცემისაგან სიკვდილის პირამდე მიიყვანა კავშირის ერთ-ერთი მუშაკი.** (ადს).

როგორ ჩატარდა ინდუსტრიალიზაციის დღე

მოსკოვი, 7 აგვისტო. ინდუსტრიალიზაციის დღემ მოსკოვში განსაკუთრებულის აღფრთოვანებით ჩაიარა. ამ დღეს გაცდენა მეტად შემცირდა და შრომის ინტენსივობამ საგრძნობლად იმატა. „ბორეც“-ის ქარხანაში 1200 მუშიდან არ გამოცხადდა მხოლოდ 2, მილების ქარხანაში სამუშაოზე გამოცხადდა მუშების მთელი 100 პროცენტი. გამოცხადდნენ შვებულებაში მყოფნი, აგრეთვე ბევრი იმათგანიც, ვინც წინა ღამეს მორიგეობდა. მუშაობის შემდეგ ფაბრიკებსა და დაწესებულებებში მოხდა კრებები ხუთწლიანი გეგმის განსახილველად. საწარმოებმა დაამუშავეს დიდი თანხები ინდუსტრიალიზაციის ფონდისათვის.

მუშაობის შემდეგ მომხდარ კრებებზე სწრაფად მოხდა ხელის მოწერა მესამე სესხზე, რამაც წარმატებით ჩაიარა. პროფინტერნის ქარხანაში ურჯედის მდივანი, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე და დირექტორი ამ დღის დაზგასთან მუშაობდნენ. საღამოთი ყველა რაიონში აგრეთვე კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა დიდი მიტინგები და სეირნობა. თეატრები და კინოები ამ დღეს უფასოდ მუშაობდნენ (ადს).

ლენინგრადი, 7 აგვისტო. ინდუსტრიალიზაციის დღემ დიდის აღტაცებით ჩაიარა. არ მომხდარა დეზერტირობა შრომის ფრონტზე. 6 აგვისტოს მუშაობის ნივთიერი შედეგები ფრიად დიდია. ამ დღის ნამუშევარი ჩვეულებრივი დღის ნამუშევარს 2,6 პროცენტით აღემატება. (ადს).

დონის როსტოვი, 7 აგვისტო. ინდუსტრიალიზაციის დღეს ჩრდილოეთ - კავკასიაში იმუშავა 470.000 მუშამ და მოსამსახურემ. წინასწარი ვარაუდით ინდუსტრიალიზაციის ფონდში გადაირიცხა ერთნახევარ მილიონ მანეთამდე.

„სელმაშსტროი“-ს და სხვა საწარმოების მუშებმა დაადგინეს — აღძრან შუამდგომლობა, რათა 6 აგვისტო გამოცხადდეს ინდუსტრიალიზაციის დღეთ მთელი ხუთი წლის განმავლობაში (ადს).

სარატოვი, 7 აგვისტო. ინდუსტრიალიზაციის დღემ განსაკუთრებულის აღფრთოვანებით ჩაიარა. ერთხმად დადგენილ იქნა, რომ 25 დეკემბერს ჩატარებულ იქნას ინდუსტრიალიზაციის მეორე დღე.

ტვერი, 7 აგვისტო. დაახლოვებითი ვარაუდით, ოლქის ძირითადი საწარმოებიდან ინდუსტრიალიზაციის ფონდში შევა 100.000 მანეთზე მეტი.

ჩიტა, 7 აგვისტო. ინდუსტრიალიზაციის დღემ დიდის აღტაცებით ჩაიარა. ამ დღის შრომის ნაყოფიერება არაჩვეულებრივია: 6 საათში იმდენი გაკეთდა, რაც ჩვეულებრივ 8 საათის განმავლობაში კეთდება (ადს).

შემოდგომის თესვისათვის

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის მიმართვა

ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების კომპარტიების (ბ) ცენტრალურ კომიტეტებს, დედა - ქალაქების, საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

თესვის კამპანიების ჩატარების განვლილი დროის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციების თავის დროზე მომზადებით თესვისათვის, პარტიისა და საბჭოების მუშაობის თავის დროზე გაშლით ამ კამპანიის ირგვლივ შესაძლებელია მშრომელი გლეხობის ფართო მასების აქტივობისა და ინიციატივის აყვანა იმ დონემდე, რომელსაც შეუძლია უზრუნველჰყოს და უნდა უზრუნველჰყოს კიდეც დავალების სავსებით და გადაჭარბებითაც შესრულება ნათესის გაფართოვებისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

მაგრამ მთელ რიგ ადგილებში პარტიულ და საბჭოთა აპარატის ეს მუშაობა სათანადო დონეზე არ იდგა და დავალება აქა-იქ სათანადოდ არ შესრულებულა.

გარდა ამისა, აქა-იქ ერთმანეთთან შეთანხმებული არ იყო სააგიტაციო კამპანია და თესვის კამპანიისათვის მომზადება მთელი რიგი იმ უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციებისა, რომელნიც განაგებენ სოფლის მომარაგების საქმეს და სათესლე მასალას აწვდიან გლეხობას ბევრ რაიონში აღინიშნულია მანქანათ-მიწოდების, სათესლე მასალის შეტანის, კრედიტების მიწოდების და სხვ. გეგმის არა თავის დროზე და არა სრულად განხორციელება.

ხოლო ადგილ - ადგილ ქვედა საფეხურის პარტიული ორგანიზაციების, სოფლის საბჭოების, კოოპერატიული ორგანოების მუშაობა სათანადოთ არ იყო მიმართული თესვის კამპანიის გაშლა - განვითარებისაკენ, ღარიბი და საშუალო გლეხობის დარაზმვისაკენ, არსებული კოლმეურნეობისათვის სამსახურის გაწევისა და ახლების შექმნისაკენ.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი, შემოდგომის თესვის მოახლოვებასთან დაკავშირებით, წინადადებას გაძლევთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ:

1. იმის შემოწმებას, თუ რამდენად მომზადებულია მანქანების მიმწოდებელი ორგანიზაციების აპარატი მანქანების შემოზიდვისა და მანქანების მიწოდების გეგმის სწორად, სრულად და თავის დროზე შესრულებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მანქანის მიღწევას უშუალო მომხმარებლამდე სოფლად და მანქანების გამტარებელი ქსელის მუშაობის კლასობრივ მიმართულებას.
2. კრედიტების თავის დროზე განაწილებას სასოფლო - სამეურნეო ბანკების ხაზით და კოლექტიური მეურნეობებისა და ღარიბ გლეხობისათვის შეღავათიანი კრედიტების მიწოდებას.
3. იმის გამორკვევას, თუ რამდენად მომზადებულნი არიან სარემონტო სახელოსნოები და მანქანების გასაქირავებელი პუნქტები იქ, სადაც ადგილი ჰქონდა არსებული მანქანების არასრულად გამოყენების, მათი არათავის დროზე შეკეთების, მუშაობის არასწორი მიმართულების (კლასობრივი თვალსაზრისით) შემთხვევებს.
4. ახალი გასაქირავებელი პუნქტების მოწყობას შემოდგომის თესვის რაიონებში და მანქანების უკვე არსებული მიწოდების გაძლიერებას ამ რაიონებში.
5. ღარიბი და საშუალო გლეხობისათვის ყოველმხრივ ხელის შეწყობას და მის წახალისებას კოლმეურნეობების მოსაწყობად და გლეხურ მეურნეობათა ინვენტარის კოლექტიურად გამოყენების მოგვარებას.
6. გლეხობისათვის ხარისხოვანი თესლის თავის დროზე და საკმაოდ მიწოდებას. ამასთანავე მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას გამოცდილება წარსული კამპანიებისა, როდესაც სხვადასხვა ხარისხის თესლის განაწილება რაიონებში ყოველთვის არ ხდებოდა რაიონის ნიადაგისა და ჰავის პირობების აღრიცხვით.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას გაძლევთ, ამასთან ერთად, დაუყოვნებლივ შეუდგეთ სააგიტაციო კამპანიის მომზადებას, როგორც სასოფლო ყრილობების ჩატარებით და კამპანიის საკითხების დამუშავებით უჯრედების კრებებზე, ღარიბ გლეხთა ჯგუფებში და სხვ., ისე კამპანიის გაშლით პერიოდულ პრესაში.

ამ წერილში დასმული საკითხების განსახორციელებლად თქვენ მიერ მიღებული ზომების შესახებ საჭიროა დაუყოვნებლივ მოაწოდოთ ინფორმაცია საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი **მ. ორახელაშვილი.**

სოფლად მუშაობის განყოფილების გამგე **ი. ტაგიევი.**

აზერბეიჯანის კომუნისტური ორგანიზაცია თავის პოსტზე

აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას და ცენტრ. საკ. კომისიის დეპეშა საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტს

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი არწმუნებს ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტს, რომ ძველი ხელმძღვანელობის ყველა შეცდომა სწრაფად და გადაჭრით იქნება გამოსწორებული. აზერბეიჯანის ორგანიზაცია როგორც წინად ეხლაც დარჩება ამიერ - კავკასიის ფედერაციის ერთგულ დარაჯად. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით აზერბეიჯანის ორგანიზაცია იბრძოლებს ნაციონალიზმის წინააღმდეგ პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის.

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი.

უკანასკნელი ცნობები

გაფიცული მუშების დახვრეტა

ვენა, 7 აგვისტო. კლაუზენბურგიდან (რუმინეთი) მიღებული ცნობებით მუკენში (ქვანახშირის მრეწველობის ცენტრია ჟილავის ხეობაში) მოხდა გაფიცული სამთამადნო მუშების შეტაკება ჯართან. გაფიცვა დაიწყო სტიქიურათ 5 აგვისტოს, იმის გამო, რომ მწარმოებლებმა უარი განაცხადეს მუშების მოთხოვნილებათა შესრულებაზე სამუშაო ხელფასის მომატებისა და 8 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ.

პირველათ გაფიცვამ იფეთქა მხოლოდ ორ მაღაროში, მაგრამ ჩქარა მათ შეუერთდნენ დანარჩენები და 4.000 მუშიდან მაღაროებში დარჩა მხოლოდ 200 კაცი. გაფიცულმა მუშებმა ალყა შემოარტყეს ელექტრონის სადგურს, რომელიც ენერგიას აწოდებს მთელ საქვანახშირო რაიონს, გააძევეს ინჟენერი, გარეკეს დარაჯები, დაიკავეს წყალსადენი და მოუწოდეს ელექტრო - სადგურის მუშებს, რომ შეერთებოდნენ გაფიცულებს. ელექტრო სადგურის მუშები მართლაც შეუერთდნენ გაფიცულებს და მთელი ჟილავის ხეობა დარჩა უსინათლოდ. ქვანახშირის მაღაროები დაიკავა ქვეითმა ჯარმა და ჟანდარმების გაძლიერებულმა რაზმმა. პოლკის უფროსმა გაფიცულებს წარუდგინა მოთხოვნილება, რომ უყოყმანოთ შესდგომოდნენ მუშაობას და დაეტოვებიათ ელსადგური და წყალსადენი.

ასეთი მოთხოვნილების საპასუხოდ გაფიცულებმა მოაწყვეს მასიური დემონსტრაცია და მოუწოდეს მახლობელი მაღაროების მუშებს, რომ მიშველებოდნენ მათ. ჯარმა რამოდენიმეჯერ ესროლა გაფიცულებს.

რუმინეთის პრესის ცნობით მოკლულია 32 და დაჭრილია რამოდენიმე ასეული მუშა. მუშების მიერ ხელში ჩაგდებულ ელსადგური და წყალსადენი ჯარმა დაიკავა მხოლოდ საღამოს. მიუხედავათ ამისა ელსადგური მაინც ვერ ამუშავეს და 6 აგვისტოს ღამით ჟილავის ხეობა მაინც უსინათლოდ დარჩა.

მოკლულთა რიცხვი დღემდე კიდევ არაა საბოლოოდ გამორკვეული. კერძო წყაროებიდან მიღებული ცნობებით მოკლულთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე გაზეთებშია გამოქვეყნებული. რკინის გზის სადგურთან და მახლობელ მინდვრებზე იპოვნეს მრავალი გვამი და ბევრი მომაკვდავი დაჭრილი მუშა. რაიონში არსებული ყველა სკოლები გადაქცეულია ამბულატორიებათ.

ოფიციალური ცნობებით გაფიცულებმა პირველათ ესროლეს და დასჭრეს რამოდენიმე ჟანდარმი. მაღაროებს, ელსადგურს და წყალსადენს იცავს ჯარი. ოფიციოზური ორგანოები იუწყებიან, რომ მუშების მასიურათ დახვრეტის შემდეგ გაფიცვა მთელ რაიონში შესწყდა და ამჟამად სუფევს „სრული წესრიგი“. მიუხედავათ ამისა, სხვა წყაროებიდან იუწყებიან, რომ ადგილი აქვს მღელვარებას ჟილავის ხეობის ყველა მუშებში (ადს).

„საბჭოთა ფრთები“ ვარშავაში

ვარშავა, 7 აგვისტო. ჰაეროპლანი „საბჭოთა ფრთები“ დაეშვა აეროდრომზე 7 აგვისტოს ნაშუადღევის 3 საათზე. 514 კილომეტრი მანძილი ბერლინიდან დაფარა 3 საათის განმავლობაში. „საბჭოთა ფრთებს“ აეროდრომზე შეხვდნენ პოლონეთის ავიაციის და საბჭოთა კოლონიის წარმომადგენლები საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულის ამხ. კოციუბინსკის მეთაურობით. ჰაეროპლანი მოსკოვში გაფრინდება 8 აგვისტოს. (ადს).

ბერლინიდან გამოფრენა

ბერლინი, 7 აგვისტო. ჰაეროპლანი „საბჭოთა ფრთები“ 7 აგვისტოს ბერლინის აეროდრომიდან გაფრინდა ვარშავის მიმართულებით. (ადს).

ცნობა, რომელიც არ შეეფერება სინამდვილეს

პეიპინი, 7 აგვისტო. ხარბინიდან მიღებული პრესის ცნობით, იქ მოელიან, რომ ხარბინში ჩასული ჩუ-მაო-იანი განაახლებს მოლაპარაკებას საბჭოთა წარმომადგენლებთან. ამ ცნობების მიხედვით ხარბინში ელოდებიან ამხ. სერებრიაკოვს, რომელიც ჩავიდა დაურიაში, მალე მივა სადგურ მანჯურიაში მოლაპარაკებისათვის. (ადს).

შენიშვნა: საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მიერ შემოწმებული ცნობების თანახმად, ამხ. სერებრიაკოვი იმყოფება მოსკოვში და არსად, არავითარი მოლაპარაკებისათვის ჩინეთის წარმომადგენლებთან არ გამგზავრებულა.

საბჭოთა მოსამსახურეების დათხოვნა

ტოკიო, 7 აგვისტო. ჩინელ ქალაქის თავმა ხარბინში დაითხოვა ყველა საბჭოთა მოქალაქენი, რომლებიც მსახურობდნენ ქალაქის საავადმყოფოში. ხსენებული საავადმყოფო ექვემდებარება ხარბინის ქალაქის თვითმართველობას. დათხოვნას იმით ასაბუთებენ, რომ, „ამჟამად უხერხულია ქალაქის თვითმართველობის დაწესებულებებში საბჭოთა ქვეშევრდომების სამსახური“. (ადს).

ინგლისის მთავრობის განცხადება საფეიქრო მრეწველობაში მომხდარი კონფლიქტის შესახებ

ლონდონი, 7 აგვისტო. მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება საფეიქრო მრეწველობაში მომხდარი კონფლიქტის შესახებ. მთავრობის განცხადებაში ნათქვამია, რომ პრემიერს და შრომის მინისტრს იმედი აქვთ, რომ მწარმოებლები და მუშები გამონახავენ მოლაპარაკების განახლების შესაძლებლობას.

შემდეგ განცხადებაში აღნიშნულია, რომ შრომის სამინისტრო მზადაა თავისი შუამდგომლობა შესთავაზოს ორივე მხარეს, თუ ისინი ამას მოითხოვენ. პრემიერიც აღიარებს, რომ იგი მზადაა ხელი შეუწყოს კონფლიქტის ლიკვიდაციას. (ადს).

საქონლის სარეკორდო შესყიდვა

ნიუ-იორკი, 7 აგვისტო. ივლისის განმავლობაში „ამტორგმა“ შეისყიდა 20 მილიონზე მეტი ფრანკის საქონელი. საქონლის ასეთი რაოდენობით შესყიდვა წარმოადგენს თვიური შესყიდვის რეკორდს, რომელიც აჭარბებს „ამტორგის“ მიერ 1925-26 საანგარიშო წლის განმავლობაში შესყიდულ საქონლის მთელ ღირებულებას. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სესინისა და სხვათა საქმე

პროკურორი ხუდადატოვის სიტყვა

ბაქო, 7 აგვისტო. 6 აგვისტოს, აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მეხუთე სხდომაზე სესინისა და სხვათა საქმის გამო სიტყვით გამოვიდა სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელი ბაქოს პროკურორი **ხუდადატოვი**.

„მთელ ამ სამარცხვინო ისტორიას,—ამბობს პროკურორი,—ბრალდებულები შემთხვევას მიაწერენ მაშინ, როდესაც ქეიფს სავსებით ორგანიზაციული ხასიათი ჰქონდა. გალეშილი სესინი თავის რევოლვერს ეძებს, უვარდება მუშებს ბინებში და იკლებს მათ, ხელში სხვისი იარაღი უჭირავს და უდანაშაულო ხალხზე ნადირობს. ცნობილი ბანდიტი პელახი მოკლულია, ბაქოს მაზრაში დიდი ხანია არ არიან ბანდიტები, მაგრამ მოიპოვებიან ადამიანები, რომელთაც პარტია და მთავრობა ენდობა, რომელთაც პარტბილეთი აქვთ ჯიბეში და რომელნიც წარმატებით ასრულებენ ბანდიტ ასლანის მაგიერობას.

შემდეგ პროკურორი გადადის ტანხელსონისა და პავლოვისათვის წაყენებულ ბრალდებებზე და ამბობს:

„მიუხედავად იმ მასალებისა, რომლებიც საქმეშია, და მოწმეთა გარკვეული ჩვენებისა, ტანხელსონი და პავლოვი სცრუობდნენ და მამა აბრამის ბატკნებათ მოჰქონდათ თავი. აქ ღრმად გამჯდარა ჩვეულება, რომ რაც არ უნდა შეემთხვეს პასუხისმგებელ მუშაკს, მიაფუჩეჩონ. ამ გარემოებამ თავი იჩინა იმაში, რომ სესინელები სასამართლოში ყველაფერს არ ამბობენ, იმის მაგივრად, რომ პატიოსნად გამოტყდნენ თავიანთ დანაშაულში. მხოლოდ იმ პირობებში, რომლებშიაც ასპროცენტიანი თავისიანობა და ერთმანეთის ხელის დაფარება ბატონობს, შეიძლება წარმოიშვან სესინელები, მუშები აღშფოთებულნი იყვნენ: თავისი წარსული საგმირო საქმეებით (მისივე სიტყვით) ცნობილ სესინს, რომელიც რამდენიმეჯერ დაითვრა, კი არ ხსნიან სამსახურიდან და კი არ აგზავნიან საწარმოში, არამედ რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ აწინაურებენ. ძველი ხელმძღვანელობა რომ დარჩენილიყო, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ზაგულბას ისტორია, ისე, როგორც წინად, შინაურულად მიფუჩეჩებული იქნებოდა, და ეს პროცესიც არ შესდგებოდა. პროცესმა აშკარად დაგვანახვა არა მარტო სესინელების გახრწნა, არამედ ხელმძღვანელობის გახრწნაც".

დასასრულ პროკურორმა განაცხადა, რომ დაუნდობლად უნდა დაისაჯონ ის ადამიანები, რომელთაც ზიანი მიაყენეს ჩვენს მშენებლობას.

პროკურორ ხუდადატოვს ბრალდება სრულებით დამტკიცებულად მიაჩნია ბრალდებულთა მთავარი ჯგუფის მიმართ,—**სესინისა, ტანხელსონისა და პავლოვის** მიმართ,—და სოციალური დაცვის ღონისძიების სახით მოითხოვს თვითეულ მათგანისთვის თავისუფლების აღკვეთას 10 წლით სასტიკი იზოლიაციით და უფლებების აღკვეთით, სხვა ბრალდებულების მიმართ სასჯელის დაწესებას ის სასამართლოს გადაწყვეტილებას ანდობს.

დამცველთა სიტყვები

სესინის დამცველი (დამცველთა კოლეგიის მიერ დანიშნული) ლაზარევი ამბობს, რომ ბრალდებულებმა ჩაიდინეს ანტისაბჭოთა, ანტისაზოგადოებრივი დანაშაული და რამდენადაც ისინი ამას გრძნობენ, მათ თავიანთ თავს თვითონვე გამოუტანეს მორალური განაჩენი. დამცველი სცდილობს დაამტკიცოს, რომ სესინს არ განუზრახავს ჩატოვის მკვლელობა და საქმის ბევრი წვრილმანი, დამცველის აზრით, დამყარებულია შეუმოწმებელ ხმებზე. ის თხოვს სასამართლოს სასჯელი შეუმსუბუქოს სესინს, რომელიც დატვირთულია ოჯახით.

ჰამერი იაკობ, ტანხელსონისა და პავლოვის დამცველი გამერი (დამცველთა კოლეგიის მიერ დანიშნული) მათ დანაშაულს უყურებს, როგორც ჩვეულებრივ ხულიგნობას.

კავეცკი ალექსანდრე ტანხელსონის დამცველი (დამცველთა კოლეგიის მიერ დანიშნული) სთხოვს სასამართლოს სრულებით გაამართლოს ტანხელსონი.

ბრალდებულებმა—ბარანოვმა, დუბნერმა, რუნდაევმა და ევსტიგნეევმა თავის დაცვაზე უარი განაცხადეს.

უმაღლესი სასამართლო ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვების მოსმენაზე გადავიდა. სესინმა განაცხადა, რომ ის ძლიერ დაიღალა და თხოულობს მისი უკანასკნელი სიტყვა მოსმენილ იქნას სხვა ბრალდებულთა სიტყვების შემდეგ.

იაკობ ტანხელსონი უკანასკნელ სიტყვაში აცხადებს, რომ დიდი დანაშაული ჩაიდინა, და საზოგადოებრივ-საჩვენებელმა სასამართლომ მუშათა უბანში ის საკმაოდ დასაჯა მორალურად.

პავლოვი სცნობს, რომ ბრალდებულთა დანაშაულმა ჩირქი მოსცხო მთელ ბაქოს ორგანიზაციას. მან პარტიაში დაჰკარგა ის სამუშაო, რომელსაც გულწრფელად ასრულებდა, და, ამნაირად, უკვე მიიღო მძიმე სასჯელი.

რუნდაევი აცხადებს, რომ დიდი პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინა, როდესაც ქეიფში მონაწილეობა მიიღო, პროცესი წარმოადგენს გაკვეთილსა და გაფრთხილებას პარტიის ყველა წევრისათვის.

დუბნერი აცხადებს, რომ სდგას სასამართლოს წინაშე და დამნაშავეა იმაში, რომ მონაწილეობას იღებდა იმ ქეიფში, რომელსაც პარტიის ავტორიტეტის დამცემი უმსგავსოება მოჰყვა. აცხადებს, რომ იმ 10 წლის განმავლობაში, რაც პარტიაში მუშაობდა, მას ჩირქი არ მოსცხებია, და სთხოვს სასამართლოს გამოუტანოს ისეთი განაჩენი, რომელიც ხელს შეუწყობს პარტიის ავტორიტეტის ზრდას.

ევსტიგნეევმა და ალექსანდრე ტანხელსონმა გამართლება ითხოვეს.

ბარანოვმა სასჯელის შემსუბუქება ითხოვა. 7 აგვისტოს სხდომაზე მოსმენილ იქნება სესინის უკანასკნელი სიტყვა და სასამართლო გამოიტანს განაჩენს. (ადს).

სესინის უკანასკნელი სიტყვა

ბაქო, 7 აგვისტო. აზერბეიჯანის ს.ს. რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს 7 აგვისტოს სხდომაზე ბრალდებულ სესინს მიეცა უკანასკნელი სიტყვა. აღელვებულმა სესინმა სთქვა: „პირველი ჩემი მძიმე დანაშაული, რომლისათვის მე უკვე მივიღე სასჯელი პარტიისა და საზოგადოებრიობისაგან, არის ის, რომ პარტორგანიზაციის მეტად სერიოზულ მომენტში მე მას მოღალატურად მახვილი ჩავეცი. ამ დანაშაულს მთლიანად და სავსებით ვაღიარებ და მზად ვარ მივიღო სასჯელი, როგორიც არ უნდა იყოს იგი. მთავრობის წევრის სკამიდან მე ბრალდებულის სკამზე მოვხვდი. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტია ებრძვის იმას, ვინც პარტიის ტრადიციებსა და საბჭოთა კანონებს არღვევს. პოლიტიკურად მე განადგურებული ვარ. ამაზე არც პარტიასა და არც საბჭოთა ხელისუფლებას ბრალს არა ვდებ, ამაში მარტო მე ვარ დამნაშავე".

სესინი თავს არ სცნობს დამნაშავედ ბანდიტიზმში და მკვლელობის განზრახვაში, ის სთხოვს სასამართლოს—შეუნარჩუნოს მას ადამიანისა და მოქალაქის უფლებები (ადს).

განაჩენი

ორი საათის თათბირის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი.

„ბრალდებულნი **სესინი, ტანხელსონი და პავლოვი**,—ნათქვამია განაჩენში,—წარსულში მუშები, დაწინაურებულ იქნენ დაზგიდან პარტმუშაობაზე. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ისინი მოწოდებულნი იყვნენ საბრძოლველად მახინჯ მოვლენებთან—ლოთობასთან, დებოშებთან და ხულიგნობასთან, რასაც ადგილი აქვს მშრომელთა შორის. ისინი დაწინაურებულნი იყვნენ საპასუხისმგებლო სამუშაოზე, ყოველთვის იმყოფებოდნენ მუშების თვალის წინ, იმ მასის შორის, რომელმაც გაგზავნა ისინი, როგორც თავისი წარმომადგენელნი იმისათვის, რომ ხელი შეეწყოთ სოციალისტური მშენებლობისათვის, განემტკიცებიათ იგი და გაეღრმავებიათ კულტურული რევოლიუცია. მაგრამ მათ სამარცხვინოთ გააცრუეს მუშათა მასების ნდობა და თავიანთი საქციელით სახელს უტეხდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. უზენაეს სასამართლოს დამტკიცებულად მიაჩნია ლენინის რაიონული კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგის **სესინის** დანაშაული ხელისუფლებისათვის სახელის გატეხაში და მკვლელობის განზრახვაში ქვენა მისწრაფებების გამო, სასამართლოს დამტკიცებულად მიაჩნია რიკოვის სახელობის კლუბის გამგეობის თავმჯდომარის **იაკობ ტანხელსონის** და იმავე ქარხნის უჯრედის მდივნის **პავლოვის** დანაშაული ხულიგნობასა და მკვლელობის განზრახვაში".

სამივეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა თვითეულს 10 წლის ვადით სასტიკი იზოლიაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ უფლებების წართმევა—სესინს 5 წლით, იაკობ ტანხელსონს და პავლოვს—ორ-ორი წლით. დანარჩენი ბრალდებულების—**ევსტიგნეევის, რუნდაევის, დუბნერის, ბარანოვის და ალექსანდრე ტანხელსონის** მიმართ უზენაესმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო მათი უმწიკვლო წარსული, მათი პასიური მონაწილეობა სმაში და სროლაში და დაადგინა დასაჯოს ისინი სოციალური დაცვის იმ ზომით, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-108 მუხლით. თვითეულ მათგანს აეკრძალოს საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავება 2 წლის განმავლობაში (ადს).

საბერძნეთის რწმუნებული მოსკოვში

მოსკოვი, 7 აგვისტო. საბერძნეთის ელჩი საბჭოთა კავშირში პაკურიასი საზღვარგარედ წავიდა. მის ნაცვლად საბერძნეთის საქმეთა რწმუნებულად დაინიშნა ანისასი. (ადს)

საკავშირო სასპორტო დღესასწაული

მოსკოვი, 7 აგვისტო. „დინამო"-ს სრ. საკავშირო სასპორტო დღესასწაულზე შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ 12 სასპორტო კოლექტივის წარმომადგენელნი: ლენინგრადის, ნიჟნი-ნოვგოროდის, შუა აზიის, ცენტრ. შავმიწადაგიანი ოლქის, ციმბირის, ურალის, ჩრდილოეთ - კავკასიის, ამიერ-კავკასიის, ყაზანის, სმოლენსკის და მოსკოვის წარმომადგენელნი. დამყარებულ იქნა მრავალი ახალი საკავშირო რეკორდი. ამიერ-კავკასიელმა ამხ. შვარციბაიამ სიმაღლეზე ახტომაში დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი — 1,83 მეტრი (წინად იყო 1,81 მეტრი). ქალების შეჯიბრების დროს 300 მეტრის მანძილზე გადარბენაში ძველ სრ. საკავშირო რეკორდს გადააცილა ამხ. ვორონცოვამ (უკრაინა). ამხ. პერფილოვამ (ჩრდილოეთ - კავკასია) დაამყარა ახალი რეკორდი სიგრძეზე გადახტომაში — 6 მეტრი 78,5 სანტიმეტრი. (ადს)

დიდი ბოროტმოქმედება განჯის საბარგო სადგურში

განჯა, 6 აგვისტო. სახელმწ. პოლიტსამმართველოს საგზაო - სატრანსპორტო განყოფილებამ სადგურ განჯაში აღმოაჩინა დიდი ბოროტმოქმედებანი, რომლებიც ორი წლის განმავლობაში ხდებოდა საქონლის დასატვირთავ ეზოში.

კერძო ექსპედიტორები — **მატევოსოვი. შიხზამანოვი, იბრაგიმოვი, მისკატოვი** და სხვ. მუშაობდნენ სადგურში, იღებდნენ აუარებელ ფულს, თავიდან იცილებდნენ სახელ. გადასახადებს და არ იძენდნენ პატენტს. იმისათვის, რომ სამაზრო საფინანსო განყოფილებას არაფერი გაეგო მათი მუშაობის შესახებ, ისინი დუბლიკატებზე აღნიშნავდნენ სხვა გამომგზავნელთა გვარებს; სადგურის მოლარეებმა **ივანოვმა** და **გ. ალექსეევმა** იცოდნენ ეს, მაგრამ მფარველობდნენ კერძო პირებს. ასე, მაგალითად, როცა ამ ჯგუფიდან ვინმე მიდიოდა მოლარესთან, მათ ჰქონდათ განსაკუთრებული ჟარგონი: ივანოვი ეუბნებოდა ალექსეევს — „ხელი მოუჭირე"-ო, ალექსეევი გამოდიოდა საქონლის სალაროდან და ექსპედიტორს ეუბნებოდა: „სახელმწიფო დაწესებულება", რაც ნიშნავდა იმას, რომ ქრთამი უნდა მიეცა. როცა ექსპედიტორისაგან თანხმობას მიიღებდა, ალექსეევი შედიოდა უკან სალაროში და ივანოვს ეუბნებოდა: „არის"-ო. მაშინ მოლარეები კანტორის მოხელეს **სავიცკაიას** აძლევდნენ წინადადებას—ოპერაცია გაეტარებია ყოველგვარი რიგის გარეშე. სავიცკაია ეუბნებოდა მათ, რომ გვიან არისო, მაგრამ მოლარეები უბრძანებდნენ — გაჩუმებულიყო და შეესრულებია დავალება. ყოველ ასეთ გარიგებას თან სდევდა ლოთობა ექსპედიტორების ბინაზე ქალაქში, სადაც ადგენდნენ შემდგომში მუშაობის გეგმებს.

საქონლის სალაროში შესვლა, იქ მომუშავეებს გარდა, წესის თანახმად, აკრძალული იყო ყველასათვის, მაგრამ „თავისი ხალხისათვის" (კერძო ექსპედიტორების ჯგუფისათვის) საქონლის სალაროს კარები ყოველთვის ღია იყო და ექსპედიტორებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ გაესინჯათ დოკუმენტები და ამოერჩიათ საჭირო საბუთები.

ამ ბოროტმოქმედებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქალ. სადგურის მწონავი **ვლადიმერ აბოლინი** (1927 წელს გასამართლებულ იქნა სახელმწ. ქონების გატაცებისათვის), **ივანე ალექსეევი**, ყოფილი თეთრი ოფიცერი, და **შარიფ აგაევი**. ამ უკანასკნელთ საშუალება არა ჰქონდათ ქრთამები ეღლოთ, რადგან ქრთამები მეტ წილად ხელში უვარდებოდა საქონლის მოლარეებს. ამიტომ ამ კომპანიამ ხელობად გაიხადა ქურდობა და საქონლის გატაცება. მაგალითად, ა.-წ. 8 მარტს კეიბირლიგის მისამართით მიღებულ იქნა 108 კასრი შაშამანი. აქედან შვიდი კასრი წაიღო „კომპანიამ" აბოლინის მეთაურობით. და რომ დაეფარათ დანაკლისი, ყველა დანარჩენ კასრებს მოაკლეს ცოტ-ცოტა და ამით შეავსეს შვიდი ცარიელი კასრი. ამგვარად, კასრების რაოდენობა სწორი იყო, მაგრამ წონა საგრძნობლად შემცირდა. კეიბირლიგის განჯის განყოფილებამ საქონლის მიღების დროს დანაკლისი ვერ აღმოაჩინა, რადგან წონა არ შეუმოწმებია.

ა.-წ. 20 მარტს ბაქოდან ვაგონით (№ 246520) ჩამოტანილ იქნა 11.357 კილოგრამი შერია. ვაგონის ფურცელში 248 შეკვრის ნაცვლად აღნიშნული იყო მხოლოდ 218 შეკვრა. აბოლინმა და ივანე ალექსეევმა გახსნეს ვაგონი და წაიღეს 30 შეკვრა შერია. 7 აპრილს გამოცხადდა ტვირთის გამომგზავნი, რომლის დუბლიკატში აღნიშნული იყო 248 შეკვრა. მაშინ აბოლინი და ივანე ალექსეევი შეეკითხნენ გამომგზავნ სადგურს — ბაქოს, რომელმაც რატომღაც დაადასტურა, რომ ბაქოდან გამოგზავნილი იყო 218 შეკვრა. 30 შეკვრა შერია აბოლინმა და ივანე ალექსეევმა „გაასაღეს".

აბოლინი და ივანე ალექსეევი ხსნიდნენ შეკრულ ტვირთებს და იღებდნენ იქიდან საქონელს და ნივთებს. 12 მაისს მათ გახსნეს ყუთი, რომელშიაც ღვინო იყო ბოთლებით. აბოლინმა და ალექსეევმა ყუთიდან ამოიღეს რამდენიმე ბოთლი ღვინო, მეორე ყუთიდან კი კომპანიამ ამოიღო რამდენიმე კოლოფი კონსერვი, და იქვე საწყობში გაიმართა ქეიფი. 22 ივნისს სხვა ყუთიდან ამოიღეს რამდენიმე ბოთლი კონიაკი.

მიმდინარე წლის 8 ივლისს გეორგიევსკიდან მიღებულ იქნა ცისტერნა № 76447, რომელშიაც იყო ზეთი. აბოლინმა და აღაევმა ცისტერნიდან ჩამოასხეს 45 ფუთი ზეთი, რომელიც ზოგი მოსამსახურეებს დაურიგეს და ზოგიც ბაზარზე გაჰყიდეს.

შარიფ აგაევი გულგრილად ექცეოდა თავის მოვალეობას. საქონელი მიჰქონდათ გადასახდელი ფასის გადაუხდელად. იყო შემთხვევა, როცა საქონლის ეზოდან გადასახადის ფასის გადაუხდელად წაიყვანეს 128 სული წვრილფეხა საქონელი.

ყოველივე ამის გარდა ეს მავნებლები სისტემატიურ ლოთობას მისდევდნენ სამსახურის დროს სალაროს შენობაში, მეარტელეს ოთახში, საწყობებში. ისინი ზოგჯერ მთვრალები მიდიოდნენ სამსახურში, რის გამოც ხდებოდა „კურიოზები", როგორც მაგალითად. ვაგონების გაცდენა, ვაგონების გაგზავნა არა სწორი მისამართით, ტვირთის გაგზავნა უდოკუმენტოდ, ხოლო დოკუმენტებისა უტვირთოდ და სხვ.

ამ თბილი კომპანიის „ოპერაციებით" გამოწვეული საერთო ზარალი ჯერ კიდევ არ არის გამოანგარიშებული.

გამოძიება გრძელდება. ყველა აღნიშნული პირი დაპატიმრებულია (ადს).

თავდასხმა ფოსტაზე

ზუგდიდი, 7 აგვისტო. (საქ. კორესპ.). 6 აგვისტოს ხეთიდან ზუგდიდში მიმავალ ფოსტას თავს დაესხა სამი შეიარაღებული ბოროტმოქმედი, რომლებმაც გაიტაცეს 1.500 მანეთი,

ა. კოდუა.

ა.-კ. პიონერთა პირველი შეკრება

კონფერენციის გახსნა

გუშინ საღამოს, რუსთაველის თეატრის დარბაზში გაიხსნა ამიერ-კავკასიის პიონერთა პირველი კონფერენცია. მოკლე შესავალი სიტყვით კონფერენცია გახსნა ა.-კ. პიონერთა ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. გავრიშმა. მან აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის მაშტაბით, პიონერთა კონფერენციის მოწვევა პირველი შემთხვევაა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რის გამოც აღნიშნული კონფერენცია უდიდეს როლს შეასრულებს ამიერკავკასიის ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის განვითარების საქმეში და განამტკიცებს პიონერთა მონაწილეობას სოციალისტურ აღმშენებლობაში.

პიონერ **კუზნეცოვის** წინადადებით საქმიან პრეზიდიუმში არჩეული იქნენ ამხ. **მამია ორახელაშვილი, იონოვი, ბეკზადიანი, ტაგიევი, შავერდოვი, მარ. ორახელაშვილი, რუბენი, ახუნდ-ზადე, გავრიში, მახათაძე, გეოდაკიანი, აბესაძე, სულთანოვი და სხვ.**

აზერბეიჯანელ პიონერ-დელეგატების წინადადებით არჩეული იქნა საპატიო პრეზიდიუმი—შემდეგი შემადგენლობით: **სტალინი, რიკოვი, კალინინი; კრუპსკაია; და ორჯონიკიძე.** (მქუხარე აპლოდისმენტები).

შემდეგ მისალმებისათვის სიტყვა მიეცა საქ. კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. მ. ორახელაშვილს.

ამხ. მამია ორახელაშვილის მისალმება

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი მხურვალედ ესალმება ოქტომბრის ნორჩი თაობის პირველ კონფერენციას, რომელიც უნდა გაიზარდოს, დავაჟკაცდეს ოქტომბრის დროშის ქვეშ, განამტკიცოს ეს დროშა ჩვენს ქვეყანაში და შემდეგ გადაიტანოს ის მსოფლიოს ყველა კუთხეში. ეს არის არა მარტო დიდი მოწოდება, არამედ მეტად რთულიც. ჩვენი გზა ყვავილებით არ არის მოფენილი, ეს არის ბრძოლის გზა და ეს ბრძოლა თქვენ უნდა შეისწავლოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში, გამოვიყენოთ თვითეული რევოლიუციონერის გამოცდილება, რომლებმაც განახორციელეს ოქტომბრის რევოლიუცია ვლადიმერ ილიასძე ლენინის ხელმძღვანელობით.

ჩვენ გვაქვს დიდი მიღწევები, მაგრამ გვაქვს ნაკლიც, რომლის გამოსასწორებლად არც ერთ წუთს არ უნდა შევაჩეროთ ბრძოლა. ჩვენ ბევრი მტერი გვყავს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთაც, რომლებიც ხელს გვიშლიან სოციალისტური მშენებლობის საქმეში და ცდილობენ კაპიტალისტებისა და მემამულეთა მთავრობის დაბრუნებას. ამასთან ერთად ჯერ-კიდევ მოიპოვებიან ბურჟუაზიულ-ანტისაბჭოთა პარტიების ნამსხვრევები—მენშევიკები, დაშნაკელები, მუსავატელები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან, როგორც ჩვენი სოფლისა და ქალაქის ბურჟუაზიასთან, ისე საერთაშორისო ბურჟუაზიასთან, რომ როგორმე ძირი გამოუთხარონ გამარჯვებულ მუშათა კლასის ბატონობას საბჭოთა კავშირში.

თქვენი კონფერენციის ამოცანას შეადგენს განსაკუთრებული ანგარიში გაუწიოს ამ მდგომარეობას და ძველი ბრძოლის გამოცდილებაზე დაყრდნობით დასძლიოს ყველა ეს სიძნელენი.

უფრო მხნედ, ლენინიზმის ცოდნით აღჭურვილნი დავსძლიოთ და გადავლახოთ ყველა დაბრკოლებანი. (მხურვალე ტაში).

დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ.

ამიერ-კავკასიის ცაკის სახელით თურქულ ენაზე კონფერენციას მიესალმა ამხ. **ტაგიევი**. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: 26 კომუნარის ქარხნის მუშების სახელით ამხ. **აშუხოვი**, მთავარ სახელოსნოს მუშების სახელით ამხ. **ჭიაბრიშვილი**, ტრამვაის პარკიდან—ამხ. **თულაევი**, ტრამვაის მუშებიდან—ამხ. **იტრიევი**. ქ. გროზნის ფიზკულტურულ მუშების სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. **დმიტრიევი**.

მისალმებათა დამთავრების შემდეგ, ამიერ-კავკასიის პიონერთა ორგანიზაციის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ კონფერენციამ მოისმინა.

ამხ. გავრიშის მოხსენება

პიონერთა ორგანიზაცია—აღნიშნავს ამხ. გავრიში,—მუშაობას აწარმოებს არა მარტო პიონერთა შორის, არამედ პიონერთა ორგანიზაციის გარეშე მყოფ ბავშვებშიაც. ვიდრე საბჭოთა ხელისუფლება დამყარდებოდა ამიერ-კავკასიაში მუშებისა და გლეხების ბავშვები მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მათთვის დახშული იყო სკოლის კარები და მათ წესიერად აღზრდისათვის არავინ ზრუნავდა. სწარმოებდა ბავშვების საშინელი ექსპლოატაცია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ამ მხრივ მდგომარეობა მთლიანად შეიცვალა. ფართოდ გაიშალა სკოლების ქსელი ქალაქად და სოფლად. სადაც მეცადინეობა სწარმოებს მშობლიურ ენაზე. მუშებისა და გლეხების შვილებისათვის გაიღო სკოლის კარები და დღეს ისინი ათასობით და ათი-ათასობით მეცადინეობენ. ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას მიექცა უდიდესი ყურადღება. იხსნება საბავშვო სანატორიუმები, ბავშვთა საავადმყოფოები, ეწყობა პიონერთა ბანაკად გასვლა და სხვ.. დღეს უკვე ბავშვთა ექსპლოატაციას საბჭოთა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ადგილი არა აქვს. დღეს ჩვენ ამოცანას წარმოადგენს გარდავქმნათ არსებული სკოლები საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლებად. სამწუხაროდ, ჩვენი პიონერ-ორგანიზაციები ჯერ კიდევ ნაკლებად მონაწილეობენ სასკოლო მშენებლობაში. გარდა ამისა დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ბავშვთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვას, რადგან დღესაც კულაკები და ნეპმანები კიდევ განაგრძობენ ბავშვთა ექსპლოატაციას. პიონერთა ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ფორფოსტების მუშაობას. საჭიროა ეს ნაკლიც გამოვასწოროთ შემდეგისათვის.

პიონერი ქალი გამოფენაზე აწყობს რადიო-კუთხეს

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა პიონერთა მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობაში. პიონერები ატარებენ კულტურულ ლაშქრობას, მონაწილეობენ თესვის კამპანიაში, აწყობენ შაბათობებს და ასუფთავებენ სარწყავ არხებს, აქტიური მონაწილეობა მიიღეს საბჭოების არჩევნებში და სხვ. შემდეგში ამ მხრივ მუშაობა უფრო უნდა გავაძლიეროთ.

ამჟამად ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში ითვლება 1 მილ. 115 ათასი ბავში. პიონერთა ორგანიზაცია კი აერთიანებს მხოლოდ 230 ათას ბავშს. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ახლო ხანში ჩვენი ორგანიზაცია ერთიორად გავზარდოთ.

მოხსენების შემდეგ აზერბეიჯანელ პიონერ-დელეგატმა კონფერენციის პრეზიდიუმში შეიტანა წინადადება, რომ შეკრების აღსანიშნავად აგებულ იქნეს თვითმფრინავი „ამიერ-კავკასიის პიონერი"-ს სახელწოდებით. აღნიშნული წინადადება ერთხმად იქნა მიღებული კონფერენციის მიერ.

პიონერთა მიღწევების გამოფენა

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზი საზეიმოთაა მორთული. აქ არის მოწყობილი ნორჩ-პიონერთა მიღწევების გამოფენა. ამიერ-კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ პიონერ-დელეგატებს თან წამოუღიათ ექსპონანტები „შრომა და ტეხნიკიდან", სამეურნეო მიღწევებიდან, გასამხედროების დარგში მუშაობიდან და სხვ. პიონერები ხომ დიდ საქმისთვის ემზადებიან და ამიტომაც მათ აქედანვე გადაუდგამთ მნიშვნელოვანი ნაბიჯი საჭირო ცოდნა-გამოცდილების მისაღებად. შედიხართ გამოფენის დარბაზში. მარჯვენა ჯერეზე, კარებთანვე თქვენ შეგხვდებათ ლენინრაიონის პიონერთა კოლექტივის მიერ გაკეთებული ორთქლმავლის მოდელი, რომელიც „ქშენით" მიემართება რკინის გზის ხიდზე. ხიდის ქვეშ „მდინარე" მიიზლაზნება. იქვე მახლობლად „გაჩერებულა" იალქნიანი „გემიც". კედელზე გაკრულია „საჭკინმრეწვის"—პიონერთა კოლექტივის ფოტო-კედლის გაზეთის რამდენიმე ნომერი. გაზეთში წერილების მაგიერ მოთავსებულია ფოტო-სურათები. პიონერთა მუშაობიდან და მათი ყოფა-ცხოვრებიდან. აი მაგალითად: პიონერთა მუშაობა ქაღალდის მაკულატურის შეგროვებაში, სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებაში და სხვ. აგერ ერთ სურათში პიონერი ეხმარება თავის მშობლებს საოჯახო საქმეებში (პიონერი ხომ ოჯახშიაც სამაგალითო მუშაკი უნდა იყვეს). მაგრამ პიონერი უნდა ეხმარებოდეს აგრეთვე ღარიბ გლეხებსაც მიწის დამუშავებაში და აი მეორე სურათი სწორედ ამისი მაჩვენებელია. პიონერები უნდა ზრუნავდნენ იმისათვისაც, რომ მათ უხვად გამოიყენონ ბუნების საშუალებანი: მზე, ჰაერი და წყალი, რომ აღიზარდონ ფიზიკურად ჯანსაღნი. მესამე სურათში თქვენ ნახავთ პიონერებს ბანაკად, რომლებიც მკურნალობენ ზემოხსენებული საშუალებებით. ფოტო გაზეთების გვერდით გამოფენილია ნიმუშები პიონერთა ხელგარჯილობიდან, აქვეა პიონერთა მიერ [illegible] მაგიდები, სკამები, [illegible] ჩარჩოებში და სხვ. კიდევ ერთი ნაბიჯი და თქვენ წინ გადიშლება პიონერთა ნაშრომი რადიოფიკაციის დარგში. აქ არის რადიო-მიმღები, ხმამაღლა მოლაპარაკე, სხვადასხვა რადიო და ხელსაწყობები. აქვეა გაკრული პლაკატები შემდეგი წარწერით: „ჩაეწერეთ რადიო-მეგობართა საზოგადოებაში", „გაზეთი უქაღალდოთ და უმანძილოთ". აქვე გვერდზე მოწყობილია თავდაცვა - ავიაქიმის კუთხე, ეტყობა პიონერები აწარმოებენ მნიშვნელოვან მუშაობას გასამხედროების საქმეში. შემდეგ თქვენ ნახავთ სხვადასხვა მცენარეთა ნიმუშებს, ზოგიერთ პატარა ცხოველებს და სხვ. მოწყობილია აგრეთვე კედლის გაზეთების გამოფენაც.

შეკრებაზე ჩამოსული პიონერები კითხულობენ მათთვის სპეციალურად გამოშვებულ ჟურნალ - პლაკატებს

საბჭოთა ნავთის მრეწველობის მიღწევები

საუბარი საბჭოთა ნავთის სინდიკატის თავმჯდომარე ამხ. გ. სოკოლნიკოვთან

ჩვენს თანამშრომელს გუშინ საუბარი ჰქონდა თბილისში მყოფ ნავთის სინდიკატის თავმჯდომარე ამხ. **გ. სოკოლნიკოვთან** საბჭოთა კავშირის ნავთის მრეწველობის მდგომარეობისა და ჩვენი ნავთის გამარჯვების შესახებ უცხოეთის ბაზრებზე.

— ნავთის მრეწველობის ზრდა საბჭოთა კავშირში, — განაცხადა ამხ. სოკოლნიკოვმა, მჭიდროთაა დაკავშირებული ჩვენი სასოფლო მეურნეობის ზრდასთან. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. თანდათან მრავლდებიან კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები, ამასთან დაკავშირებით მატულობს სოფლად ისეთი მანქანების რიცხვი (ტრაქტორები, ავტომობილები და სხვ სას.-სამ. მანქანები), რომელთა ასამუშავებლად საჭიროა საწვავი მასალა. ეს კი იწვევს ნავთის მრეწველობის გაფართოებას, რათა რომ ადვილათ დავაკმაყოფილოთ ჩვენი სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება. საწვავ მასალაზე ეს მოთხოვნილება იმდენად დიდია, რომ გაგვიჭირდება მისი დაკმაყოფილება ნავთის მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის ფარგლებში. ამიტომ ამჟამად უმაღლეს საკავშირო ორგანოების წინაშე დასმულია 5 წლიანი გეგმის გადასინჯვის საკითხი იმ ვარაუდით, რომ გაფართოებული იქნეს ნავთის დამუშავების პროგრამა.

მეორეს მხრივ ჩვენს წინაშე სდგას ნავთის პროდუქტების ექსპორტის გადიდების ამოცანა. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა ნავთი თანდათანობით იპყრობს უცხოეთის ახალ ბაზრებს. ინგლისში, მაგალითად, საბჭოთა ნავთისათვის ბაზარი უკვე უზრუნველყოფილია მთელი სამი წლის განმავლობაში (ინგლისის ნავთის კომპანიებთან გაზაფხულზე დადებული ხელშეკრულებების თანახმად). ინგლისის ნავთის მრეწველებმა, სამაგიეროთ მოინდომეს ჩვენთვის დაბრკოლებების შექმნა იტალიის ბაზარზე და აქედან საბჭოთა ნავთის სრულიად განდევნა. მაგრამ ამაოდ. იტალიის ხელისუფლებასთან მიღწეული შეთანხმების თანახმად ჩვენი ნავთის პროდუქტების გასაღება იტალიაში უზრუნველყოფილია. ახლო ხანში ვადა გაუვა აგრეთვე ესპანეთთან დადებულ ხელშეკრულებას ესპანეთში საბჭოთა ნავთის შეტანის შესახებ. მოლაპარაკება ხელშეკრულების ვადის გასაგრძელებლად უკვე დაწყებულია და მიღებულია პრინციპიალური თანხმობა, რომ საბჭოთა ნავთის შეტანის შესახებ ესპანეთში. მოლაპარაკება სწარმოებს აგრეთვე საფრანგეთთანაც და თუმცა ჯერ ძნელია რაიმეს თქმა, მაგრამ ფაქტიური მდგომარეობა ისეთია, რომ საფრანგეთთანაც მიღწეული იქნება შეთანხმება ამ საკითხში.

ევროპის ბაზრებზე ჩვენი ნავთის გამარჯვებასთან დაკავშირებით — საჭირო ხდება ნავთის ამოღების გადიდება ყველა არსებულ სარეწაოებზე, როგორც ბაქოში, გროზნოში და ემბაზე, ისე ყველა იმ ადგილებში, სადაც ახლახან დაწყებულია ნავთის ამოღება. დიდი მნიშვნელობა ეძლევა აგრეთვე შირაქისა და ურალის ნავთიან ადგილების დამუშავების საქმესაც.

ჩვენი თანამშრომელის შეკითხვაზე, თუ რამდენათ სწორია გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგის" ცნობა, რომ ინგლისის მთავრობა საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენას ნავთის მრეწველების ზეგავლენით აჭიანურებსო, — ამხ. სოკოლნიკოვმა განაცხადა:

— მართალი არის, რომ უკანასკნელათ ინგლისის და ამერიკის ნავთის მრეწველთა მსხვილი გაერთიანებანი სცდილობენ მიაღწიონ შეთანხმებას ნავთის პოლიტიკის საკითხებში, მაგრამ ჯერ - ჯერობით მათ ასეთ ცდას რაიმე საგულისხმო ნაყოფი არ გამოუღია. თუ ასეთი შეთანხმება მიღებულ იქნა, ეჭვს გარეშეა, რომ უპირველეს ყოვლისა შეთანხმება მიმართული იქნება საბჭოთა ნავთის წინააღმდეგ.

მე შესაძლებლათ მიმაჩნია, რომ ინგლისის მთავრობაზე მართლაც მოახდინეს გავლენა ნავთის მრეწველთა ზოგიერთმა წრეებმა და მიაღწიეს ინგლის - საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების გადადებას.

პარტიაში

გენერალური წმენდა წარმატებით მიმდინარეობს ადგილებზე

პარტიის რიგებიდან გაირიცხა უცხო, გადაგვარებული, ინტრიგანი და მიტმასნილი ელემენტები

პარტწმენდის შედეგებით კმაყოფილი არიან პარტიული და უპარტიო მშრომელნი

პარტწმენდის შედეგები ზუგდიდის მაზრაში

ზუგდიდის მაზრაში პარტიის წმენდა დამთავრდა. წმენდა რომ ჩატარდა ფართო თვითკრიტიკისა, სწორი მიდგომისა და მეტად საქმიანი მსჯელობის პირობებში, ამას ადასტურებს უჯრედის კრებაზე აქტიური მონაწილეობის მიღება, როგორც პარტიულის, ისე უპარტიო მასების და მასთან კრებაზე 5.000-მდე უპარტიო მშრომელი გლეხობის დასწრება.

გასაწმენდ პირებს უმთავრესად ეკითხებოდნენ: ა) კოლექტივის მუშაობას, რომელსაც ხელს უშლის იარაღ-მანქანების უქონლობა, რა ზომები მიიღეთ, ბ) კოლექტივის მუშაობას რატომ გაურბიან ზოგიერთი კომუნისტები (ქარიატა), გ) საგაზაფხულო თესვის კამპანიაში უჯრედის მონაწილეობა და საშემოდგომო თესვისათვის მზადების საკითხი (კორცხელი), დ) იყო თუ არა მოხსენება მოსმენილი კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ, ე) დახმარება ვის ეძლეოდა კულაკებს თუ ღარიბ გლეხობას (ხეთა), ვ) უჯრედის წევრები პირადი კერძო საქმეს ეტანებიან უფრო მეტად თუ საზოგადო საქმეს, ზ) იყო თუ არა შემთხვევა უჯრედს ყურადღება არ მიექციოს ღარიბი გლეხთა განცხადებაზე (ხეთა), თ) როგორ ტარდება უჯრედში თვითკრიტიკა, ი) დაისჯება თუ არა ის კომუნისტი, რომელიც ილაშქრებს კოლექტივის წინააღმდეგ (ხოჯიხევი), ლ) აქვს თუ არა ადგილი ძველი ტრადიციების ასრულებას, მ) რამდენად ექცეოდა ყურადღება პარტიის ზრდას, ო) მუშაობა მოჯამაგირეთა შორის მათი პარტიის რიგებში მიზიდვით, პ) როგორ ტარდებოდა ცხოვრებაში უჯრედის დადგენილება და სხვა.

აღსანიშნავია ის, რომ პარტ-წმენდაში „შენც იცოცხლე მეც მაცოცხლე" და „არ წყენის" პოლიტიკას ადგილი არ ჰქონია. ამა თუ იმ პიროვნების უარყოფითი საქციელს ამჟღავნებდნენ, როგორც პარტიული, ისე უპარტიოებიც და სასტიკად კიცხავდნენ იოტისოდენა დანაშაულისათვის. პირადი ანგარიშების გასწორებისათვის და უპრინციპო კინკლაობა-ინტრიგებს ადგილი არ ჰქონია. ზოგიერთ ადგილებში პროცესი გრძელდებოდა მომაბეზრებელ ბიოგრაფიის მოყოლით. მაგალითად, ერთ-ერთი ამხანაგს (კახათიდან) პარტ-სტაჟი ჰქონდა 1928 წლიდან და რევოლიუციონურ მოღვაწეობას კი იწყებდა 1905 წლის რევოლიუციიდან და სხვა.

სულ შემოწმებულ იქნა 52 უჯრედი 945 წევრ-კანდიდატით. პარტიის რიგებიდან გაირიცხა 143. საყვედური გამოეცხადა 41-ს. გამორიცხულთა დახასიათებანი შემდეგში გამოიხატება: პარტ-დისციპლინის უხეშად დარღვევა, კოლმეურნეობისადმი გულგრილი დამოკიდებულება (ნოჯიხევი, ქარიატა და ხაბუმი). ვაჭრებთან და კულაკებთან კავშირის დაჭერა, (ხეთა, ხაბუმე და კახათი). ძველი ტრადიციული ზნეჩვეულების გადახდა, უჯრედთან კავშირის გაწყვეტა, ქურდობაში შეჩნევა, ყაჩაღ ბაცაცების შენახვა, ტროცკისტების მიმდევრობა, ინტრიგა-კინკლაობა და სხვა.

ამრიგად წმენდამ გამოამჟღავნა მთელი რიგი უარყოფითი მოვლენები. მაგალითისათვის მოვიყვან ზოგიერთ დამახასიათებელ ცნობებს: ხაბუმის ორგანიზაციიდან ერთ-ერთ წევრმა, იმის ნაცვლად, რომ განემარტა მშრომელ გლეხობისათვის კოლექტივის მნიშვნელობა, გლეხობას უჩურჩულებდა „ჯერ თქვენ რა განდათ კოლექტივში, თქვენ კი არა მე კომუნისტ კაცს ვერ წარმომიდგენია კოლექტივში შესვლაო". აგრეთვე ქარიატის ორგანიზაციის წევრი ჯერ შესული კოლექტივში, შემდეგ კი გაულაშქრია ასეთის მოწყობის წინააღმდეგ, როგორც უკანასკნელი, ისე პირველიც პარტწმენდის პროცესში მშრომელ გლეხობის მიერ სასტიკად იქნა გაკიცხული და ითხოვდნენ მათ დასჯას პარტიის რიგებიდან განდევნით. ორულ ერგეტიდან ერთმა პიროვნებამ იმის ნაცვლად, რომ ეღიარებია მის მიერ ჩადენილი შეცდომები და ეთხოვა პატიება, კომისიის შეკითხვას თუ როგორ უყურებდა ის ტროცკის, ისურვა თავისებურად განმარტება: „ტროცკი იყო ბელადი და ეხლაც არის, მე არასოდეს არ ვიტყვი იმას, რომ ტროცკი ბელადი არ არის და რომ პარტიაში დანაშაული მიუძღოდესო". ასეთ მერყევ პიროვნებას მშრომელ გლეხობამ შესძახა „სირცხვილი მშრომელთა მოღალატის ასეთ დამფასებელსო".

ასეთი დახასიათების მქონე პირებისაგან, რომლებიც წარმოადგენდნენ მხოლოდ ზედმეტ ტვირთს პარტიისათვის, ორგანიზაცია სამუდამოდ განთავისუფლდა. ასეთ მერყევ პირების მოშორებით, მშრომელი გლეხობაც დიდად კმაყოფილი დარჩა. ეს გარემოება მოწმობს იმას, თუ რამდენად აიწია პარტიის ავტორიტეტი მშრომელი გლეხობის წინაშე პარტიის გენერალური წმენდით. წმენდის დამთავრების შემდეგ გამორიცხულები აქა იქ (საჯიჯაო და ხეთა) შეეცადენ უჯრედის კრების მოწვევას, რომლებსაც სურდათ უჯრედის კრებაზე დადგენილების გამოტანა გამწმენდ კომისიის დადგენილების საწინააღმდეგოდ, მაგრამ მათ არავინ აყვა.

პარტიის გენერალური წმენდით ჩვენ შევძელით დაგვეწმინდა, მერყევ ელემენტებისაგან ორგანიზაციის განთავისუფლება, წმენდით ჩვენ შევძელით მოგვეშორებინა პარტიისათვის უცხო პირები. პარტიამ მშრომელ გლეხობასთან ერთად მკაცრი ბოლშევიკური თვითკრიტიკის გატარებით შესძლო ასი პროცენტით გენერალური წმენდის ამოცანების გადაწყვეტა. ჯერი გამწმენდ კომისიების დადგენილების ცხოვრებაში გატარებაზე.

ვარკვა.

ქალაქის ორგანიზაციის წმენდის შედეგები

(წერილი სენაკიდან)

სენაკის მაზრაში პარტიის წმენდა 17 ივლისიდან დაიწყო. პირველმა კომისიამ, ამხ. გიგო ლომთათიძის ხელმძღვანელობით, ორი კვირის განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ, დაასრულა სენაკის —ქალაქის ორგანიზაციის შემოწმება.

ყოველდღიურად, ცალკე უჯრედების ღია სხდომებზე თითქმის მთლიანად ესწრებოდენ პარტიის და კომკავშირის ქალაქის ორგანიზაციის წევრ-კანდიდატები და უპარტიო მშრომელები 50-400-მდე, რომლებიც შეკითხვებით და კამათში გამოსვლით აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ.

კომისია წინასწარ ირკვევდა და სწავლობდა უჯრედების მიერ წარმოებულ მუშაობას, შემდეგ ღია სხდომებზე პირველად ისმებოდა უჯრედების მდივნების მოხსენებები.

უჯრედები და მათი ბიუროების მუშაობაში მთელი რიგი მიღწევებისა და მუშაობის გაუმჯობესებასთან ერთად კომისიამ ხაზი გაუსვა მთელ რიგ დეფექტებსაც.

თითქმის ყველა უჯრედების საერთო ნაკლს შეადგენს მასიური მუშაობის არა სათანადოდ გაშლა, ნახევრად კარჩაკეტილი მუშაობა: ღია კრებები იწვეოდა არა საკმაოდ, ბიუროებს არა აქვთ სათანადოთ დაყენებული აქტივთა შორის მუშაობა, ნაკლებად ისმებოდა უჯრედების სხდომებზე საწარმოო-სამეურნეო ხასიათის საკითხები, გამოყოფილი კომისიები და მიმაგრებული ამხ. ამხ. ხშირად უმოქმედობას იჩენენ, მათზე კონტროლი გაწეული არ არის, შესრულების შემოწმებას არ ექცევა საკმაო ყურადღება, დავალების არ შემსრულებელ და დისციპლინის დამრღვევ ზოგიერთ ამხანაგების მიმართ დროზე არ ყოფილა სათანადო გადამჭრელი ზომები მიღებული. ბიუროები არა საკმაო ყურადღებას აქცევდენ ქალთა შორის მუშაობას, მათი დაწინაურების, მასთან პიონერ და ნებაყოფლობითი საზოგადოებათა მუშაობის საკითხებს. შემჩნეულია, რომ ამხანაგების საკმაო ნაწილი. ვერ ერკვევიან მიმდინარე პოლიტიკის საკითხებში, ისინი გულგრილობას იჩენდენ პარტგანათლების საქმეში, ზოგნი ყოველდღიურ გაზეთებსაც არ კითხულობენ.

უკანასკნელ ხანებში უჯრედებს ემჩნევათ მეტი გეგმიანობა, დღის წესრიგში დასმა იმ საჭირ-ბოროტო საკითხების, რომლებიც დღეს პარტიის და ხელისუფლების წინაშე დგანან.

წევრთა ინდივიდუალურ შემოწმებას კომისია და მთლიანად აუდიტორია დიდის ინტერესით ეკიდებოდა. წმენდა მიმდინარეობდა გაშლილი თვითკრიტიკის ნიშან ქვეშ, „მოუხედავად პიროვნებისა", თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთეულ შემთხვევებს, როცა პარტიიდან გაძევებული ტროცკისტებთან პირადად უკმაყოფილო პირები სცდილობდენ წმენდის პირად ინტერესებისათვის გამოყენებას და უდანაშაულო ამხანაგებზედაც კი „იერიშების" მიტანას.

ქალაქის ხუთივე უჯრედების შემოწმების შემდეგ კომისიამ 2 აგვისტოს, ღია კრებაზე გამოაცხადა მუშაობის შედეგები.

წმენდა გაიარა ქალაქის ორგანიზაციის 177 წევრ-კანდიდატმა, მათგან გამოირიცხა სულ—39 ანუ 22 პროცენტი. პარტსტაჟი შეუმცირდა სამს, გაუდიდდა ორს, საყვედური და სხვ. სასჯელი მიეცა 16-ს, პოლიტმომზადებაზე წინადადება მიეცა 43-ს, თანამდებობიდან მოიხსნა ცხრა. გამორიცხულთაგან 32 მოსამსახურეა, ხოლო 7 ტრანსპორტის მუშა, არალეგალური პარტსტაჟით ხუთი, პარტსტაჟით 1921—24 წ. წ. რვა, ხოლო 1924—29 წ. წ. ცამეტი. პარტკანდიდატი ცამეტი.

ქალაქში ჩატარებულ მუშაობას, როგორც საერთოდ, უდიდესი პოლიტ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. „აი მესმის ნამდვილი წმენდა, გაჯანსაღება ორგანიზაციის"—ასეთია შინაარსი როგორც პარტიულ, ისე უპარტიო მშრომელი მასების საზოგად. აზრის.

ქ. სენაკის უჯრედების წინაშე ამჟამად ორი უმთავრესი ამოცანებია:

1. მუშაობის შემოწმების პერიოდში გამოაშკარავებულ დეფექტების გამოსწორება, კომისიის მითითებათა გასატარებლად გაორკეცებული ენერგიით მუშაობა, მუშაობის გაჯანსაღება-გაცხოველებისთვის და 2. პარტიის რიგების შევსება ახალი ძალებით, ტრანსპორტის მუშებით, საერთო საქმიანობაში შემოწმებულ ელემენტებით და პარტიისათვის თავდადებულ და ორგანიზაციის კიდევ უფრო შემჭიდროება-დარაზმვა სოც. მშენებლობის უდიდეს ამოცანათა განსახორციელებლად.

მ. ბარამია.

როგორ არ უნდა სწარმოებდეს უჯრედზე მიმაგრებულ ამხანაგის საქმიანობა

სოფლის ზოგ უჯრედებზე მიმაგრებულ ამხანაგთა ხელმძღვანელობა ძალზე მოიკოჭლებს, ხაშურის რაიკომის 28 (კ. უჯრედის წიფის გვირაბის ალმასკ.) წევრთა 90 პროც. გლეხები და რკინის გზის ხაზზე მომუშავე მუშებია. უჯრედის შემადგენლობის 90 პროც. წერა-კითხვის უცოდინარია და პოლიტიკურად მოუმზადებელი. 28 კ. უჯრედის წევრებს ჯერაც არ შეუსწავლიათ მე-15 პარტყრილობისა და მე-16 პარტკონფერენციის დადგენილებები. მათ, წარმოდგენაც კი არ აქვთ მემარჯვენე გადახრის არსებობის შესახებ ჩვენს პარტიაში, სამაგიეროთ, უჯრედის ზოგი წევრი პრაქტიკულ საქმიანობაში მემარჯვენე გადახრის მატარებელია. ამ უჯრედზე მიმაგრებული ამხანაგი კი, ხაშურის საუბკომის პასუხისმგებელი მომუშავე უჯრედის მუშაობის გასაჯანსაღებლად თავსაც არ იწუხებს. პირიქით როდესაც რჩევას ჰითხოვენ მისგან წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლის გახსნის შესახებ, ის უპასუხებს: „კარგია ამხანაგო, მაგრამ, ეს ხალხი უმრავლესობა სოფლელებია, ზოგიც რკინის გზაზე მუშაობენ; მათი მოცდენა და წერა-კითხვის შესწავლისათვის გაჩერება ყოვლად მოუხერხებელიაო".

მომაგრებულ ამხანაგს რაიკომიდან საჭირო სახელმძღვანელოების შეძენას და პოლიტ-წრის ჩამოყალიბებას სთხოვენ. მაგრამ მიმაგრებული აქაც სდუმს. „ჯერ ადრეა, ზამთარია — სიცივეებია, გაზაფხულზე დავიწყოთო". ამრიგად ამ უჯრედში არავითარი აღმზრდელობითი მუშაობა არ ჩატარებულა, რის გამო აქ დღემდე პოლიტიკურად ძალზე სუსტად მომზადებული ამხანაგები გვყავს. ამიტომ რა გასაკვირია თუ კი ასეთი ამხანაგები ხშირად სხვის გავლენის ქვეშ ექცევიან ხოლმე. აი ფაქტებიც: გზის ცნობილი ოსტატი მაღრაძე და მისი თანაშემწე კიკაძე პარტიაში შესვლას ახერხებენ. ისინი პარტიის კანდიდატებად ირიცხებიან. მაღრაძის მენშევიკურ სისხლიან ხელს კარგად იცნობენ ძველი პარტიელები. შალვასაც ჯამბაზობა და საქმის გამოკვარახჭინების უნარი არ აკლია. მაშ, როგორ მოხდა მაღრაძე პარტიის რიგებში? საქმე იმაშია, რომ აღნიშნულ უჯრედში შემავალი ამხანაგები, რომელთა [illegible] ზემოთ ვლაპარაკობდით მაღრაძის ხელქვეითი მუშებია.

აბა ვინ გაბედავს კიკაძის საწინააღმდეგო სიტყვას? ის ხომ ნამდვილი დესპოტია. საქმე გამოაშკარავება მოთქმელ. განა ლაზარე ბულაშვილი (პარტ-წევრი 1921 წ. ამჟამად ადგილკომის თავმჯდომარე სადგ. ლიხში) ადუმალავს რაიმეს? მაშ ვის შეეძლო უარი ეთქვა მაღრაძე—კიკაძესთვის კომპარტიაში მიღების შესახებ, თუ კი უჯრედზე მიმაგრებული ამხანაგის (მათ შორის ნათესაური კავშირიცაა) რეკომენდაცია მაღრაძე კიკაძის სასარგებლოდ ლაპარაკობდა. ამრიგად პარტიის რიგებში მოკალათებული მაღრაძე—კიკაძე აწარმოებენ ბრძოლას მათ წინააღმდეგ, რომლებიც თავის დროზე ამხელდენ და ამხელენ მათ საგმირო საქმეებს. „კომუნისტები" მაღრაძე—კიკაძე სასტიკად ილაშქრებენ მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნილებაზე, რკინის გზის კუთვნილი მიწის კოლექტიურად დამუშავების შესახებ. კიკაძის თაოსნობით 28 კომუჯრედი ბრძოლას უცხადებს მოზარდ ინტელიგენციას. აი რას მოითხოვს ახალი „კომუნისტი" კიკაძე: ამხანაგებო, ამოსაგდებათაა გაჩენილი ეს ნასწავლი ხალხი, თქვენც ხომ კარგად ხედავთ? სად არის 1924 წელი, რომ ოთხი კლასზედ ზევით ნასწავლი სულ ერთნაირად მოვსრისოთ და გავსწმინდოთ ქვეყანაო.

ზემოთქმულიდან დასკვნა ნათელია. საჭიროა სოფლის უჯრედებზე მეტი ხელმძღვანელობის გაწევა, აღმზრდელობითი მუშაობის გაღრმავება, სახელმძღვანელოდ გამოცდილ, მომზადებულ პარტ-ამხანაგის მიმაგრება. პასუხისმგებლობის გაძლიერება და კერძოდ 28 კომუჯრედის დაკვირვება-შესწავლა და მისი უცხო ელემენტებისაგან გაწმენდა.

„მოგლოლი".

ს. ა. ლ. კ. კ. ქუთაისის ოლკომის პირველი პლენუმი

საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ახალი ადმინისტრატიული დარაიონების გამო მიმდინარე წლის 4 აგვისტოს ქ. ქუთაისში შესდგა ა. ლ. კ. კ. ქუთაისის შორაპნის და რაჭა-ლეჩხუმის კომკავშირის სამაზრო კომიტეტების გაერთიანებული პლენუმი. პლენუმს დაესწრო სხვადასხვა მაზრებიდან 200 ამხანაგი და ცეკას წარმომადგენელი ამხ. **კოწია ზვიადაძე**. პლენუმის დღის წესრიგში იყო 2 საკითხი: 1. საკავშირო კომკავშირის მე-6 კონფერენციის შედეგები და 2. საოლქო კომიტეტის ბიუროს არჩევა. პლენუმმა პირველ საკითხად განიხილა საოლქო კომიტეტის ბიუროს არჩევა. საოლქო კომიტეტის ბიუროში არჩეულ იქნა 22 წევრი და 4 კანდიდატი, რომელთა უმრავლესობა მუშები და მოჯამაგირეებია.

საოლქო კომიტეტის მდივნად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. **ვალიკო ბერიძე**, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ ამხ. **შატბერაშვილი**, აგიტპროპორგანიზატორად ამხ. **გ. ჩიხლაძე**, შრომის და განათლების ორგანიზატორად ამხ. **გ. ბიჭაძე**, პროპაგანდისტად: ამხ. **მ. წერეთელი**, პროფ. საბჭოს წარმომადგენლად: ამხ. **დანგაძე**, სასპორტო კომისიის ორგანიზატორად ამხ. **ნაგარიეშვილი**, ნორჩ პიონერთა საოლქო ბიუროს თავმჯდომარეთ ამხ. **მინაშვილი**, მოადგილედ ამხ. **ან. გველესიანი**. საკონფლიქტო კომისიის თავმჯდომარეთ ამხ. **გუგავა** და პასუხისმგებელ ინსტრუქტორად ამხ. **გუგავა**. ამით დამთავრდა პლენუმის დღის სხდომა. პლენუმის საღამოს სხდომაზე ამხ. ბერიძის მოკლე სიტყვის შემდეგ ახალი ადმინისტრატიული დარაიონების შესახებ, მოხსენება მე-6 კონფერენციის შედეგებზე გააკეთა ამხ. **კოწია ზვიადაძემ**.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო ამხ. ამხ. გუგამ, ბურჯანაძემ, დანგაძემ, ლაშხმა, და ამხ. ფოჩხიძემ. ორატორები აღნიშნავდენ კომკავშირის ორგანიზაციის ადგილობრივ საკითხებს და მიუთითებდენ ამხანაგებს მე-6 კონფერენციის შედეგების შესწავლისაკენ.

მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლიუციაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ ქუთაისის კომკავშირის ორგანიზაცია ყოველთვის მედგრად იბრძოლებს ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს მემარჯვენე და მემარცხენე გადახრის არც ერთ ცდას.

დასასრულ პლენუმმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ს. კ. პ. (ბ) ცეკას ს. ა. ლ. კ. კ. კომკავშირის ცეკას და თბილისის კომიტეტს, ამის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

დ. გაბრიაძე.

წმენდა ნოქალაქევში

(სენაკის მაზრა)

ოთხი დღის მუშაობის შემდეგ კომისიამ ამხ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით დაამთავრა პარტიის წმენდა. წმენდა გაიარა 89 ამხანაგმა. ამათში გაირიცხა 12. კომკავშირელები და უპარტიოები დიდ აქტივობას იჩენენ. პარტიის ავტორიტეტი იზრდება.

ა. კირცხალია.

(გადმოცემულია ტელეგრაფით).

ამხ. პ. გოგუას ხსოვნას

მიმდინარე წლის 27 ივლისს, ტრაგიკულად დაიღუპა ძველი ბოლშევიკი ამხ. პ. გოგუა. ის იყო უსწავლელი გლეხი. გურიაში ახალთაობის (1905 წ.) ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. მას თავიდანვე ჰქონდა აღებული სწორი ბოლშევიკური ხაზი. მან მოაწყო ჯურუყვეთის თემში არალეგალური ორგანიზაცია, რისთვისაც მენშევიკური მთავრობისგან იყო დევნილი. ის შედის რკინის გზის დარგში მოსამსახურეთ—მეისრის თანამდებობაზე. უკანასკნელად მსახურობდა სადგურ ჯუმათში და იყო რკინის გზის ადგილკომის თავმჯდომარე. კარგი ავტორიტეტი ჰქონდა მას ბათომის მუშებში. ის იყო რკინის გზის საუბნო კომიტეტის წევრი. ამხ. პ. გოგუას სახით კომპარტიამ დაჰკარგა გამობრძმედილი და დაუღალავი ძველი წევრი. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და ბევრი სამსახური შეეძლო გაეწია სოციალისტურ მშენებლობისათვის.

ალ. საჯაია.

ჩვენი საბჭოთა მეურნეობების დეფექტები

(საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

საბჭოთა მეურნეობანი უმნიშვნელო როლს თამაშობენ ჩვენს სასოფლო მეურნეობაში. — ამის მიზეზია მათი უგეგმო მუშაობა, სისუსტე, ბუნებრივ - ეკონომიურ შესაძლებლობათა არასრულად გამოყენება. — საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაში არავითარი გეგმიანობა არ არის დაცული. — საბჭოთა მეურნეობებისათვის მიცემული კრედიტები არამიზანშეწონილად იხარჯება. — სპეციალისტების რიცხვი საბჭოთა მეურნეობაში მცირეა. — არავითარი ზომები არ არის მიღებული პროდუქციის გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის. — 500.000 მანეთის ზარალი 4 წლის განმავლობაში.

საქართველოში საბჭოთა მეურნეობების მთავარი მასა გაერთიანებულია საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტში. მათ განკარგულებაში მყოფ მიწების სივრცე უდრის 1.213.680 ჰექტარს. გარდა ამისა, საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებით, არსებობს 20 საბჭოთა მეურნეობა, რომელიც წვრილ ერთეულებს წარმოადგენენ, და მათ განკარგულებაშია 452.891 ჰექტარი მიწა. ეს საბჭოთა მეურნეობანი იმყოფებიან სხვადასხვა აღმასკომების, განათლების სახალხო კომისარიატის და სხვ. ორგანიზაციების გამგებლობაში. საქართველოს საბჭოთა მეურნეობანი 4 ძირითად ჯგუფად განიყოფებიან: მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობის, მესაქონლეობის და მემინდვრეობის ჯგუფები. საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტის შემადგენლობაში შედის 21 საბჭოთა მეურნეობა.

რა მდგომარეობაში არიან საბჭოთა მეურნეობანი საქართველოში? ასრულებენ თუ არა ისინი იმ ამოცანებს, რომლებიც მათ სახელმწიფომ დააკისრა?

ამაზე პასუხს იძლევა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ჩატარებული გამოკვლევა.

მეურნეობის არარაციონალურად წარმოებისა და ბუნებრივ-ეკონომიურ შესაძლებლობათა არასრულად გამოყენების გამო, საქართველოში არსებული საბჭოთა მეურნეობანი მეტად უმნიშვნელო როლს თამაშობენ. საბჭოთა მეურნეობანი ვერ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც მათ სახელმწიფო უყენებს, ნაწილობრივ სათანადო ორგანიზაციის უქონლობის, ხოლო ნაწილობრივ თავიანთი განკერძოების გამო. ირკვევა, რომ საქართველოს საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაში სრულებით არ ჰქონია ადგილი გეგმიანობას. ცალკე საბჭოთა მეურნეობების დაარსება ხდება პერიოდულად, სოფლის მეურნეობის საერთო მიზნებსა და ამოცანებთან შეუფარდებლად და სათანადო ეკონომიური საფუძვლის გარეშე. ამის შედეგია სახსრების დაქსაქსვა და არარაციონალურად ხარჯვა. აი მაგალითები: შორაპნის სამაზრო აღმასკომს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი აძლევს 300 ათას მანეთს გრძელვადიანი კრედიტის სახით ძვირ და აშკარად არარენტაბელურ საქმეზე. ამ სახსრებით სამაზრო აღმასკომმა თავის საბჭოთა მეურნეობაში ნიადაგის მხრივ უვარგის ნაკვეთზე (ძალიან ჭაობიან ადგილზე), უნდა გააშენოს ვენახი. ერთი ჰექტარის გაშენება აქ დაჯდება 6 ათასი მანეთი, ე. ი. ორჯერ უფრო ძვირი, ვიდრე ნორმალურად.

კახეთის სამაზრო აღმასკომი კაჭრეთის რაიონში აწყობს მერძევეობის მეურნეობას, რისთვისაც მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეუთანხმებლად ყიდულობს ხევსურული და გერმანული ჯიშის საქონელს, რომელიც სრულებით არ შეეფერება ამ დაბლობი რაიონის პირობებს. ამ ორივე ჯიშის საქონელს ხშირად ავადმყოფობა უჩნდება „პიროპლაზმოზი"—რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს პირობებში მეტად ძნელია. ამრიგად ამ საქმეს ან დაღუპვა ელის, ან უბადრუკი არსებობა,

საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციისა და მუშაობის საკითხებში არ სჩანს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ ორგანოს—მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის რაიმე როლი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტს აქვს [illegible] წლის პრაქტიკა, თითქმის ყველა საბჭოთა მეურნეობა თავის საწარმოო საქმიანობაში ზარალს იძლევა.

მოგებას იძლევიან მხოლოდ მევენახეობა-მეღვინეობის ჯგუფის საბჭოთა მეურნეობანი და ისიც გლეხთა ნედლეულის დამზადებისა და გადამუშავების ხარჯზე. მიწადმოწყობის სამუშაოები საბჭოთა მეურნეობებში არ დამთავრებულა. მიუხედავად შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1925 წლის 9 ივლისის დადგენილებისა და საქართველოს ეკონომიურ საბჭოს იმავე წლის 30 დეკემბრის დადგენილებისა ტრესტს დღემდე არ შეუდგენია საორგანიზაციო გეგმები საბჭოთა მეურნეობებისათვის. ყურადღება არ ექცევა მექანიზაციის საკითხებს, რაც, რა თქმა უნდა, აბრკოლებს პროდუქციის გადიდებას და მისი თვითღირებულების შემცირებას. საბჭოთა მეურნეობებში არ ხდებოდა მინერალური სასუქის გამოყენება, რაც ერთ-ერთი ღონისძიებაა მოსავლიანობის გასადიდებლად. ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობებში სრულებით არ არიან სპეციალისტები. სპეციალური სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე თანამშრომელთა რიცხვი მთელ ტრესტში საშუალოდ 3 პროცენტს შეადგენს. ტრესტს არავითარ ზომა არ მიუღია მუშაკთა კვალიფიკაციის ასაწევად და ახალ მუშაკთა კადრების მოსამზადებლად.

მდგომარეობა საბჭოთა მეურნეობების ცალკე ჯგუფები

საბჭოთა მეურნეობების ცალკე ჯგუფებში, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევის მიხედვით, მდგომარეობა ასეთია:

საბჭოთა მეურნეობების მევენახეობისა და მეღვინეობის ჯგუფი

უნდა ითქვას, რომ ამ ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებმა ჩაატარეს თვალსაჩინო მუშაობა ფილოქსერის წინააღმდეგ როგორც საბჭოთა მეურნეობებში, ისე გლეხთა მეურნეობებში. სულ 6 წლის განმავლობაში ტრესტმა გააშენა ფილოქსერის გამძლე ახალი ვენახები თავის საბჭოთა მეურნეობებში 226,2 ჰექტარი, ტრესტის სანერგე მასალით გლეხებმა გააშენეს 1675 ჰექტარი. მოსავლიანობა დიდი არ არის და საშუალოდ 250 ფუთ ყურძენს არ აღემატება ჰექტარზე. ტრესტის მიერ დამზადებული ამერიკული ვაზის ნერგები სრულებით ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. ტრესტი ყოველწლიწადს იწერს უცხოეთიდან რამდენსამე მილიონ მეტრ ამერიკულ ვაზს. შემოტანილი ვაზი ორჯერ უფრო ძვირი ჯდება ადგილობრივზე. ამასთანავე უვარგისი ნერგის რიცხვი ადგილობრივ ვაზში სულ ორ პროცენტს აღწევს, ხოლო უცხოეთის ვაზში 20 პროცენტამდე.

საწარმოო საბჭოთა მეურნეობები

საბჭოთა მეურნეობების ტრესტის არსებობის 8 წლის განმავლობაში ხეხილის ბაღების სივრცე ამ ჯგუფში თითქმის 50 პროცენტით შემცირდა, ამასთანავე მიწის სასარგებლო სივრცე გამოუყენებელია 24 პროცენტით. ხეხილის ბაღების მოსავლიანობა დაბალია და საშუალოდ არ აღემატება 260 ფუთს ჰექტარზე, მაშინ, როდესაც გლეხების ბაღებში მოსავლიანობა 300 ფუთს აღემატება ჰექტარზე. ბაღები ძველია და ტრესტს ისინი არ განუახლებია.

მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობები

ამ ჯგუფში არსებობს 4 საბჭოთა მეურნეობა აქედან 3 განვლილი წლების მანძილზე სრულიად უგეგმოდ მუშაობდა.

საბჭოთა მეურნეობებში მოწესრიგებული არ იყო საქონლის გაუმჯობესების, მოვლის და რაციონალურად შენახვის საქმე. ამ ჯგუფის საბჭოთა მეურნეობათა წლიური პროდუქცია 6000—7000 ფუთ რძეს არ აღემატება. მესაქონლეობის ჯგუფის საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის შედეგები ყოველწლიურად გამოიხატება რამდენსამე ათეულ ათას მანეთ ზარალში.

მეოთხე საბჭოთა მეურნეობა „უდაბნო"-ში საკავშირო საქციო საზოგადოება „ოვცევოდ"-ის სახსრებით დაიწყო უდიდესი მნიშვნელობის მუშაობა—ადგილობრივი ცხვრის მეტიზაცია მერინოსის ჯიშებთან. ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ტრესტსა და საზ. „ოვცევოდ"-ს შორის, ტრესტს ჯერ-ჯერობით არ შეუსრულებია: არ შეუძენია ცხვრები ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობით. შეძენილი ცხვრებიდან ტრესტის უყაირათობის გამო 1927—28 წლის ზამთარში დაიღუპა 27.000 მანეთის ცხვრები.

მემინდვრეობის საბჭოთა მეურნეობები

მემინდვრეობის საბჭოთა მეურნეობანი ამუშავებენ თავიანთი მიწების მხოლოდ 50 პროცენტს დანარჩენი 50 პროცენტი ყოველ წლიწადს გამოუყენებელი რჩებოდა. დამუშავებულ სივრცეზე მეურნეობა სწარმოებს სრულიად არარაციონალურად, შემოღებული არ არის თესლცვლა, ნიადაგი წესიერად და თავის დროზე არ მუშავდება, მოწესრიგებული არ არის წყლის საკითხი, რის გამო ზოგიერთი კულტურა მეტად დაბალ მოსავალს იძლევა, ორჯერ უფრო ნაკლებს, ვიდრე გლეხურ მეურნეობებში, ხოლო თვითღირებულება მაღალია. ოთხი წლის განმავლობაში ამ ჯგუფის ოთხსავე საბჭოთა მეურნეობაში საერთო მოსავალი უდრიდა სულ 50.000 ფუთს და ეს მოსავალი საბჭოთა მეურნეობებმა მთლიანად გამოიყენეს თავიანთი სამეურნეო საჭიროებისათვის.

ანგარიშწარმოება ტრესტში

საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ანგარიშგება ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც იგი უნდა ემსახურებოდეს. იგი ვერავითარ ცნობას ვერ იძლევა მეურნეობის დაგეგმვისა და მართვა-გამგეობისათვის. ბუხჰალტერია ჩამორჩენილია და ამიტომ მხოლოდ ისტორიოგრაფის როლს ასრულებს. გასაგებია, რომ იმ მეურნეობებში, სადაც თავის დროზე არ ხდება აღრიცხვა და ანგარიშგება, შეუძლებელია მეურნეობის დაგეგმვა და მართვა-გამგეობა და ასეთი მეურნეობა წინ ვერ წაიწევს. ყველა ამ გარემოების გამო ტრესტის ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა სრულიად გაურკვეველია. პერიფერიიდან უვარგისი და დაგვიანებული მასალის მიღების გამო შეუძლებელია სწორი ბალანსის შედგენა და შეუძლებელია ლაპარაკი საბჭოთა მეურნეობების ტრესტის სამეურნეო საქმიანობაზე. აშკარაა, რომ აღრიცხვის სუსტად დაყენების დროს შესაძლებელია ბოროტმოქმედებანი. გამორკვეულია, რომ სხვადასხვა დებიტორთა ანგარიშებით, თუ საეჭვო ვალებსაც არ ვიანგარიშებთ, ტრესტს 1925 წლიდან დაუკარგავს 500.000 მანეთი. ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ სუსტად იყო დაყენებული ანგარიშგება და თავის დროზე არ იყო მიღებული ზომები ფულის მისაღებად. ტრესტის ყველა განყოფილებაში—მოსკოვში, ხარკოვში და ბაქოში ამ უკანასკნელ წლებამდე ანგარიშგება არადამაკმაყოფილებელი იყო. ყველა ცნობა მოწმობს იმას, რომ სათანადო ორგანოებმა მთელი ყურადღება უნდა მიაქციონ საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტს.

—:—

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სასოფლო მეურნეობის ამ მეტად სუსტი ფრონტის გაჯანსაღება და განმტკიცება.

ერთი თვის ხელფასი ინდუსტრიალიზაციისათვის

ვინ უფრო უკეთესად ჩაატარებს სესხის რეალიზაციას

სოციალისტური შეჯიბრება ამიერ-კავკასიასა და უკრაინას შორის

სახელმწიფო კრედიტების ხელისშემწყობმა ამიერ-კავკასიის კომისიამ უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიოს უკრაინა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაციის კამპანიის უკეთესად ჩატარებაზე.

ამხ. შ. ელიავას დეპეშა

სახელმწ. კრედიტის ხელისშემწყობი ამიერ-კავკასიის კომისიის თავმჯდომარემ ამხ. შალვა ელიავამ უკრაინის სახელმწიფო კრედიტის ხელისშემწყობი კომისიის თავმჯდომარეს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„სახელმწ. კრედიტის ხელისშემწყობი ამ.-კავკასიის კომისია იწვევს უკრაინას სოციალისტურ შეჯიბრებაში. შეჯიბრების მიზანი—ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაციის კამპანიის უკეთესად ჩატარება იმ მხრივ, რომ კოლექტივები და მშრომელნი მაქსიმალურად იქნან ჩაბმულნი სესხის რეალიზაციაში, ასი პროცენტით შესრულდეს ლოზუნგი—„არა ნაკლებ ერთი თვის ხელფასისა ინდუსტრიალიზაციას“, აგრეთვე რაც შეიძლება მთლიანად იქნან ჩაბმულნი გლეხები და მიღწეულ იქნას რეალიზაციის უმაღლესი პროცენტული შეფარდება გლეხების შემოსავალთან—სრული ნებაყოფლობის პრინციპის დაცვით. თანხმობა გვაცნობეთ დეპეშით.

შ. ელიავა“.

შეჯიბრების პირობები

სახელმწიფო კრედიტის ხელისშემწყობმა ამიერ-კავკასიის კომისიამ შეიმუშავა შეჯიბრების პირობები კამპანიის უკეთესად ჩატარებაზე. შეჯიბრების ვადად ამიერ-კავკასიის ქალაქებისათვის დაწესებულია 1 ნოემბერი, სოფლებისთვის—1 დეკემბერი. ქალაქებში დაცულ უნდა იქნას შემდეგი პირობები:

1) მუშების და მოსამსახურეების ასი პროცენტით ჩაბმა სესხის რეალიზაციაში; 2) მუშათა და მოსამსახურეთა მიერ ხელის მოწერით გაღებული თანხის უდიდესი პროცენტული შეფარდება მათი სამუშაო ხელფასის ფონდთან; 3) მშრომელთა შეუკავშირებელი სექტორის უდიდესი პროცენტის ჩაბმა სესხის რეალიზაციაში და ამ მშრომელთა ხელისმოწერით გაღებული თანხის უდიდესი პროცენტული შეფარდება დაახლოვებით ნავარაუდევ მათ თვიურ ხელფასთან; 4) ხელისმოწერის საჩქაროთ ჩამოყალიბება საკრედიტო დაწესებულებებში და ფულის მაქსიმალური პროცენტის (საკონტროლო ციფრების მიმართ) შეტანა 1929 წლ. 1 ოქტომბრამდე და 5) სესხისათვის ხელისშემწყობი მუდმივი კომისიების უდიდესი რაოდენობა საწარმოებსა და დაწესებულებებში—პროცენტულის მხრით.

შეჯიბრება სოფლად ითვალისწინებს შემდეგ ძირითად მომენტებს: გლეხების მაქსიმალურად ჩაბმა სესხის რეალიზაციაში, ხელის მოწერით გაღებული თანხის უდიდესი პროცენტული შეფარდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხასთან, ხელისმოწერით გაღებული თანხის უდიდესი შეფარდება დასაბეგრი შემოსავლის თანხასთან, კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების უდიდესად ჩაბმა სესხის რეალიზაციაში, ხელის მოწერის საუკეთესო მატერიალური შედეგები საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ეკონომიურ სიძლიერესთან შეფარდებით, ხელისშემწყობი მუდმივი კომისიების უდიდესი რაოდენობა მაზრებში, თემებში და სოფლებში—პროცენტულის ხრით. ფულის მაქსიმალური პროცენტი ხაზინაში შეტანილი უნდა იქნეს 1929 წლის 1 ოქტომბრამდე, ამასთან ეს პროცენტი სოფლისათვის დაწესებულია იმ საკონტროლო ციფრის მიმართ, რომელიც განსაზღვრულია საკავშირო ფინსახკომის მიერ. ყველა ღონისძიება სესხის რეალიზაციისათვის ქალაქად და სოფლად უნდა ჩატარდეს სრული ნებაყოფლობის ნიადაგზე და არავითარი იძულებითი ზომები, თუნდაც არაპირდაპირი, არ უნდა იქნას დაშვებული. უკრაინის და ამიერ-კავკასიის ფინსახკომები კისრულობენ—ყოველი თვის 15 რიცხვში წარადგინონ შემოკლებული შეჯამებული ცნობები კამპანიის მსვლელობის შესახებ, ხოლო თვის დამლევს—საინფორმაციო შეჯამებანი. ყველა სადავო საკითხის შეჯიბრებულ რესპუბლიკებს შორის საბოლოოდ სწყვეტს საბჭოთა კავშირის სახელმწ. კრედიტის და დაზოგვის საქმის ხელისშემწყობი ცენტრალური კომისია.

საუბარი ამხ. შ. ელიავასთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში სახელმწიფო კრედიტის ხელის შემწყობი ამიერ-კავკასიის კომისიის თავმჯდომარემ ამხ. შ. ელიავამ სთქვა:

უკრაინის გამოწვევით სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას მთელი ძალღონე მოვახმაროთ ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის რეალიზაციის საქმეს.

ქალაქის მშრომელებმა მე-3 სესხზე წინასწარი ხელისმოწერით დაამტკიცა, რომ ისინი სავსებით იზიარებენ და იწონებენ ყველა ღონისძიებას, სოციალისტური შეჯიბრება მე-3 სესხის საუკეთესოდ ჩატარებაზე უნდა გავრცელდეს არა მარტო ქალაქზე, არამედ სოფელზედაც.

სოფელი ჯერ კიდევ სუსტად არის ჩაბმული სახელმწიფო კრედიტის საქმეში.

მუშათა კლასის ორგანიზაციები, მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა შეეცდება, რომ სოფელი ამ საქმეშიაც არ ჩამორჩეს ქალაქს.

აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ არ დარჩეს პროფკავშირის არც ერთი წევრი, რომელმაც თვიური ხელფასი არ გადასდოს ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის ობლიგაციების შესაძენად.

მაგრამ ისიც უნდა შევსძლოთ, რომ არ დარჩეს არც ერთი გლეხური მეურნეობა, რომელმაც არ შეიძინოს ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის ობლიგაცია.

ამას მოითხოვს ქალაქის და სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანები, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ამოცანები. ამიერ-კავკასიის მშრომელნი ერთხელ კიდევ დაამტკიცებენ, რომ ისინი მხარს უჭერენ სოციალისტურ შეჯიბრებას.

თბილისის დეპოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ა.-კ. რკ. გზის საგზაო პროფკავშირის წარმომადგენელი ამხ. კანდელაკი, რომელმაც აუდიტორიას გააცნო მთავრობის გადაწყვეტილება ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გამოშვების შესახებ.

აუდიტორია აღფრთოვანებით შეხვდა მთავრობის გადაწყვეტილებას და დაადგინა სახ. მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის ცხოვრებაში 100 პროცენტით გასატარებლად ხელი შეუწყონ ახალ სესხის რეალიზაციას და ხელი მოაწერონ მასზე ერთი თვის ხელფასის რაოდენობით, გარდა ამისა კრებამ დაადგინა აგვისტოში **იმუშაონ ორი კვირა დღე, რომლის შემოსავალი გადადებული იქნება ინდუსტრიალიზაციის ფონდის გასაძლიერებლად.** ამავე მიზნით კრებამ გამოიწვია სავაგონო პარკის მუშა-მოსამსახურეები.

—:—

მუშკოოპის მაღაზიის № 52 მუშა-მოსამსახურეებმა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელი მოაწერეს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით და იწვევენ მუშკოოპის მაღაზიებს №№ 20, 18, 46, 60, 62; 39; 460; და 51.

—:—

30 ივლისს შესდგა საქ. შრომის სახ. კომისარიატის, სოცდაზღვევის კომიტეტის და შრომის ბირჟის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელმაც მოისმინა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის შესახებ.

დამსწრეთ ერთხმად აღიარეს, რომ მე-3 სესხი დროულადაა გამოშვებული და რომ იგი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერებას. კრებაზე აღნიშნეს, რომ თანამშრომელთა 85 პროცენტმა სესხზე ხელი მოაწერა წინასწარ—სესხის გამოშვებამდე.

კრებამ ერთხმად დაადგინა,—სესხზე ხელი მოაწერონ ერთი თვის ხელფასის რაოდენობით

—:—

საქ. სახელგამის მუშა-მოსამსახურეებმა დაადგინეს ხელი მოაწერონ ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხზე, ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

ამასთანავე დაადგინეს—ნახევარი დღის ხელფასი გადასდონ თვითმფრინავ „საბჭოთა სადარაჯოზე“-ს ასაშენებლად.

—:—

განათლების მუშაკთა კავშირის მე-4 რაიადგილკომში გაერთიანებულ მუშაკთა საერთო კრებამ დაადგინა ხელი მოაწერონ ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხს თვე-ნახევრის ხელფასის რაოდენობით.

კერძოდ: ამხ. აბაშიძემ ხელი მოაწერა—250 მანეთზე, ღლონტმა—170 მან., ქარუმიძემ—170 მ. და შანშიაშვილმა—170 მანეთზე.

—:—

სახელმწიფო ბანკის ცნობით მუშათა ახალი კლუბის თანამშრომლებმა (38 კაცმა) ხელი მოაწერეს 2500 მანეთის სესხზე, შრომის კოლექტივის—„კულიონჩიკ“-ის მუშებმა (8 კაცმა)—600 მანეთზე, კოოპერატიული არტელი „ირანი“-ს თანამშრომლებმა—5600 მანეთზე, „ზაკგოსტორგის“ 210 თანამშრომელმა—ჯერ ჯერობით—43000 მანეთზე, მესამე სტამბის მუშა-მოსამსახურეებმა (84 კაცმა)—6500 მანეთზე, ხელოვნების მუშაკთა კავშირის ქალაქის რაიკომის წევრებმა და თანამშრომლებმა—2670 მანეთზე, ლითონის საწყობების 28 მუშა-მოსამსახურემ—3000 მანეთზე, „მაშინოტრესტის“ 7 თანამშრომელმა—1125 მანეთზე, თბ. ალმასკომის ქალაქის კეთილმოწყობის განყ. მუშა-მოსამსახურეებმა—31580 მანეთზე, „სოიუზხლებ“-ის მუშა-მოსამსახურეებმა—11000 მანეთზე, ლუდის ქარხნის 132 მუშა-მოსამსახურემ—10000 მანეთზე, მეორე სტამბის მუშა-მოსამსახურეებმა (87 კაცმა)—7200 მანეთზე, „საქართველოს ღვინის“ 202 მუშა მოსამსახურემ—16650 მანეთზე, „ზაკტპო“-ს 84 თანამშრომელმა—6500 მანეთზე, კერძო წარმოებების მუშათა ჯგუფკომში შემავალმა 32 მუშამ—3000 მანეთზე. საქ. სახ. ვაჭრობის საზ-ბის 250 თანამშრომელმა—27000 მანეთზე, საქ. ს. მ. უ. ს.-ის 150 თანამშრომელმა—25160 მანეთზე, ა. კ. შრომის სახ. კომისარიატის 63 თანამშრომელმა—9400 მანეთზე, ა.-კ. და საქ. წონა-ზომის პალატების 27 თანამშრომელმა—3310 მანეთზე, ა. კ. სოც. დაზღვევის კომიტეტის 39 თანამშრომელმა—4300 მანეთზე, საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის 102 თანამშრომელმა—13000 მანეთზე, საქ. მ.-გ. ინსპექციის თანამშრომლებმა—8070 მანეთზე, საპონ-ზეთის ტრესტის თანამშრომლებმა—33.000 მანეთზე. ა.-კ. ს. მ. უ. ს.-ის 71 თანამშრომელმა 1100 მანეთზე, ა. კ. მებამბეობის კომიტეტის 92 თანამშრომელმა—16000 მანეთზე, ტყავის სინდიკატის თანამშრომლებმა — 12160 მანეთზე. თბილისის სახალხო რაზმების 224 თანამშრომელმა—18000 მანეთზე, 8 მარტის სახელობის ჭრაკერვის სახელოსნოს 135 თანამშრომელმა — 5500 მანეთზე, მკერავთა პ. კავშირის სახელოსნოს 165 თანამშრომელმა—550 მანეთზე, „ტექსტილტორგის“ თანამშრომლებმა—7000 მანეთზე, ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს თანამშრომლებმა — 18000 მანეთზე, საქ. კ. პ. (ბ) და საქ. ა. ლ. კ. კ: ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტების თანამშრომლებმა—18000 მანეთზე, „სოვტორგფლოტ“-ის თანამშრომლებმა 4000 მანეთზე. ხელმოწერა გრძელდება.

—:—

საქართველოს ფინსახკომის ცნობით თბილისში ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელის მოწერა ჯერ-ჯერობით ჩატარდა 2 მილიონი მანეთის რაოდენობით, ხოლო პროვინციაში 1 მილიონი მანეთის რაოდენობით.

სესხზე ხელის მოწერამ ა.-კავკასიაში 7 მილ. მანეთს მიაღწია

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის უკანასკნელი ცნობებით, ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელისმოწერამ 7 აგვისტოსათვის ამ.-კავკასიაში მიაღწია 6.900.000 მან.-მდე. ამ თანხიდან სესხზე ხელისმოწერა თბილისში უდრის 2.150.000 მანეთს, დანარჩენ საქართველოში — 1.000.000 მანეთს; ბაქოში—2.900.000 მანეთს და აზერბეიჯანის პროვინციაში—350.000 მანეთს; ერევანში—250.000 მანეთს და სომხეთის პროვინციაში—250.000 მანეთს.

თბილისის ქალაქის ცეცხლის მქრობელი რაზმის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. კაფიევის მოხსენება მე-3 ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ და დაადგინა—ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელი მოაწერონ არა ნაკლებ ერთი თვის ხელფასისა და ობლიგაციების ღირებულების გადახდა დაიწყონ 1-ლ აგვისტოდან. წელიწადში ერთი დღე იმუშაონ ინდუსტრიალიზაციის ფონდის გასაძლიერებლად. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები შეინახონ კოლექტიურად და არ გაყიდონ დანიშნულ ვადის გასვლამდე, თბილისის ცეცხლის მქრობელი რაზმი იწვევს ბაქოს, ერევნის, ბათომის, სოხუმის, ფოთის და ქუთაისის ცეცხლის მქრობელი რაზმების მუშა-მოსამსახურეებს.

—:—

დამცველთა კოლეგ. წევრებმა ხელი მოაწერეს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე შემდეგი რაოდენობით: მიხ. ღვამიჩავა, 300 მან., სიჭინავა—210 მან., ჯაფარიძე—100 მან., ა. ხრისტაფოროვი—200 მან., დ. აბაშიძე—150 მ., ხამუშრიძე—100 მ., ი. თუთბერიძე—50 მან., დ ქიდიბერიძე—50 მან., ა. ჩაჩავა—25 მან., ი. ჩარექიშვილი — 25 მანეთი, ი. გუნცაძე — 25 მანეთი, ს. გამბაროვი — 25 მან., ს. გელოვანი—25 მანეთ., ლ. კასოვსკი — 30 მან., ვ. გომართელი—25 მან., ლ. შავეროვი—25 მან., ს. ტერ-გრიგორიანი—25 მან., ა. მირაკოვ—25 მან., ქ. გევონდიანი—25 მან., ა. ქეკელიძე—20 მან., ს. ტერტეროვი—25 მან., ა. ახვერდოვი—25 მან., ა. შავერდოვი—25 მანეთი და იწვევენ დანარჩენ დამცველებს, მიბაძონ მათ მაგალითს და ხელი მოაწერონ მესამე სესხზე.

ჩინელ ხუნხუზების თავხედურ გამოსვლათა საპასუხოდ სახელმწიფო ბანკის ხაშურის საგენტოს თანამშრომლებმა დაადგინეს ვადის გასვლამდე შეინახონ უკვე გამოშვებული სესხების ყველა ობლიგაციები და ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელი მოაწერონ ერთი თვის ხელფასის რაოდენობით. საგენტოს თანამშრომლებმა გამოიწვიეს ლიუქსემბურგის, გურჯაანის, თელავის, თბილისის, გორის, ახალციხის; ჭიათურის; ზესტაფონის; ოზურგეთის; ზუგდიდის; რაჭის და ფოთის სახელმწიფო ბანკის საგენტოების თანამშრომლები.

—:—

თბილისის ქალაქის პირველ საავადმყოფოს თანამშრომელთა საერთო კრებამ ჩინელ გენერლების ხროვის თავდასხმის საპასუხოდ დაადგინა: ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელს ვაწერთ არა ნაკლებ ერთი თვის ხელფასისა, რაც უდრის—23.000 მანეთს. 20 სექტემბერს ვაცხადებთ, ინდუსტრიალიზაციის დღეთ და ამ დღის ხელფასი შეგვაქვს ინდუსტრიალიზაციის ფონდის გასაძლიერებლად. ვიწვევთ ცენტრალურ კლინიკური ინსტიტუტის (ყოფ. მიხეილის საავადმყოფო) და რკ. გზის საავადმყოფოს თანამშრომლებს.

—:—

თბილისის რკინის გზის ფოსტა-ტელეგრაფის 81 მუშა-მოსამსახურემ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელი მოაწერა 3.535 მანეთის რაოდენობით.

—:—

თბ. ტრამვაის სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელი მოაწერა—ერთი თვის ხელფასის რაოდენობით და დაადგინა ობლიგაციების ღირებულების დაფარვა დაიწყონ აგვისტოს მეორე ნახევრიდან.

რა ხდება ადგილებზე

ბოროტმოქმედებანი საკომისიო მაღაზიებში

ქუთაისი, 6 აგვისტო. პროკურატურამ დაამთავრა გამოძიება იმ ბოროტმოქმედებათა შესახებ, რომლებიც ჩაიდინეს შრომის ინსპექციასთან არსებულ საკომისიო მაღაზიებში.

საკომისიო მაღაზიის სამი თანამშრომელი მაღაზიის გამგის მიხეილ კიკნაძის მეთაურობით ორი წლის განმავლობაში სისტემატიურად ღებულობდა საკომისიოდ საქონელს კერძო ვაჭრებისაგან და ასაღებდა ამ საქონელს, თუმცა მაღაზიების დანიშნულებას შეადგენდა სამსახურის გაწევა მშრომელთა ფართო მასებისათვის. ერთმა ვაჭარმა გაბრიელ ჯინჯიხაშვილმა საკომისიო მაღაზიაში გაასაღა 58.000 მანეთის საქონელი, სულ კი საკომისიო მაღაზიაში გასაღებულ იქნა კერძო ვაჭრების 65.000 მანეთის საქონელი.

კერძო ვაჭრები, კერძო ვაჭრობის თანდათანი დაცემის გამო, ვერ ახერხებდნენ თავიანთ დუქნებში საქონლის გასაღებას, ამიტომ ისინი იძულებული ხდებოდნენ მიემართად სახელმწიფო და კოოპერატიული მაღაზიებისათვის, რომელთაც მცხოვრებთა ფართო მასებში მეტი გასაქანი და ნდობა აქვთ მოპოვებული. ამრიგად, კიკნაძემ, კერძო ვაჭრებისათვის მეტოქეობის გაწევის ნაცვლად, საკომისიო მაღაზიის გამგემ ვაჭარ ჯინჯიხაშვილს ავანსად მისცა 6.138 მანეთი მაშინ, როდესაც მაღაზია ნივთიერ სივიწროვეს განიცდიდა. პასუხისგებაში მიცემულია მაღაზიის გამგე კიკნაძე, მაღაზიის სამი თანამშრომელი, ვაჭარი ჯინჯიხაშვილი, აგრეთვე შრომის ინსპექციის კოლექტიურ გაერთიანებათა გამგე დავით კუპრავა (ადს).

ახალი ხიდი

ახალ - სენაკი, 6 აგვისტო. ამიერ-კავკასიის რკინის გზის ფოთის შტოზე, მდინარე ტეხურზე აიგო რკინის გზის ხიდი. ხიდის გახსნა მოხდა 1 აგვისტოს. დაესწრო მრავალი ხალხი. ძველი ხიდი, სიგრძით 100 მეტრი, გადაეცა ნოსირის თემს (ადს).

ნათესის მდგომარეობა

ახალ - სენაკი, 6 აგვისტო. სამაზრო საექსპერტო კომისიის ცნობებით ნათესის მდგომარეობა ასეთია: სიმინდი — 3,5 ნიშანი, ვენახები — 3,5, თამბაქო — 3,0, ბამბა — 3;0; ბაღჩები — 3,0, ბოსტნები — 3,0. შარშან დღესთან შედარებით, წელს ნათესი უკეთეს მდგომარეობაშია (ადს).

კოლექტიურ მეურნეობათა ზრდა

ქუთაისი, 6 აგვისტო. ბოლო დროს გლეხობაში იზრდება კოლექტივებში გაერთიანების სურვილი. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში აგრონომიულმა განყოფილებამ აღრიცხვაზე აიყვანა სამი კოლექტიური მეურნეობა. ერთი მათგანი დაარსეს ებრაელებმა სოფელ ვანში. გარდა ამისა, საადგილ - მამულო განყოფილების კოლეგიას დასამტკიცებლად წარდგენილი აქვს 5 კოლექტიური მეურნეობა. აგრონომიული განყოფილების ვარაუდით, მომავალ წელს კოლექტიური მეურნეობათა მშენებლობა ორჯერ გადააჭარბებს გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას. ამჟამად მაზრაში არსებობს 38 კოლექტიური მეურნეობა, რომელთაგან ორი ებრაელებისაა (ერთი სოფელ ვანში, მეორე—კულაშში). აგრონომები ადგილებზე შეუდგნენ შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარებას. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სათემო აღმასკომი კოლექტიური მეურნეობის მოწყობის საქმეში არ იჩენს შესაფერ ყურადღებას (ადს).

საქ. პროფსაბჭოს პლენუმი

მესამე სხდომა

ამხ. მარკმანის მოხსენება

გუშინ სალამოს პლენუმმა მოისმინა ამხ. მარკმანის მოხსენება ფაბქარხადგილკომების მომავალი გადარჩევის შესახებ.

შეეხო რა იმ დეფექტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ფაბქარხადგილკომების გადარჩევას წარსულში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარსულში გადარჩევა ტარდებოდა, „მარტო გადარჩევისათვის“. მუშათა კლასის წინაშე დღეს ფრიად სერიოზული ამოცანებია დასმული და პროფკავშირებმა, როგორც მუშათა მასიურმა ორგანიზაციამ, გადარჩევის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ რამდენად კარგისი აღმოჩნდა მისი ძირითადი ორგანოები ამ ამოცანების გადაჭრაში. რამდენად უწყობდნენ ხელს პროფკავშირები წარმოების განვითარებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას და რამდენად ავტორიტეტული არიან ისინი მუშათა ფართო მასებში. ბაქოს მაგალითმა გვიჩვენა, რომ იქ, სადაც თვითკრიტიკა საკმაოდ განვითარებული არ არის, ყოველთვის იჩენს თავს სხვადასხვა ავადმყოფური მოვლენები, ამიტომ გადარჩევები უნდა ჩატარდეს მუშათა თვითკრიტიკის საფუძველზე ყოველგვარ ნაკლოვანებათა გამომჟღავნებით. სიებით კენჭის ყრას, კანდიდატურის ქაღალდის ფურცელზე მოხვევას და სხვა ჩვენ წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ. ამავე დროს გადარჩევისას უნდა გამოვიყენოთ ფაბქარხადგილკომების შემადგენლობის შესავსებათ ახალი ხალხით. ის ფაქტი, რომ ანკეტაში ზოგიერთი პროფმუშაკი კითხვაზე, თუ რა სპეციალობის არის, უპასუხებს,—„ადგილკომის თავმჯდომარე“-ო, საკმაოდ მეტყველებს იმის შესახებ, რომ ჩვენ ერთ და იმავე მუშას დიდხანს ვტოვებთ გადაურჩევლად და ეს ტრადიციად იქცევა ზოგიერთ ადგილებში. საჭიროა არა მარტო ადგილკომის წევრთა გადარჩევა, არამედ ადგილკომების ხელმძღვანელი შემადგენლობის განახლებაც. ჩვენ უნდა შევქმნათ ტეხნიკური პირობები იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ საანგარიშო მოხსენებებზე მუშათა რაც შეიძლება მეტი რაოდენობის დასწრება, ამიტომ ცდის სახით უნდა შემოვიღოთ უწყებების ჩაბარებაც.

კამათი

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მოსესოვმა, ფურიაშვილმა, სხიარელმა, ბუაძემ, მაჩაიძემ, გოდაბრელიძემ, შესტაკოვმა, ნაცვლიშვილმა, შოშიამ, კომახიძემ და სხვ..

ორატორების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ფაბქარხ-ადგილკომების გადარჩევა არანაკლებ მნიშვნელოვანი კამპანიაა, ვინემ რომელიმე სხვა (კოლხელშეკრულებათა დადება და სხვ.), ამიტომ ფაბქარხადგილკომების გადარჩევა პირველ რიგში უნდა იქნეს დაწყებული. ზოგიერთმა ორატორმა არ გაიზიარა ამხ. მარკმანის აზრი ფაბქარხადგილკომის გადარჩევის შესახებ მუშებისათვის უწყებების ჩაბარების შესახებ. ორატორების მნიშვნელოვანი ნაწილი საჭიროდ სთვლიდა ფაბქარხადგილკომების თავმჯდომარეების მოსამზადებლად მოკლევადიანი კურსების მოწყობას. დასასრულ მოსმენილი იქნა ამხ. მარკმანის საბოლოო სიტყვა.

ამერიკელი მეცნიერის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი ჯეკ კუნიცი. პროფესორ კუნიცის მიზანია საბჭოთა კავშირში მობინადრე ეროვნებათა ლიტერატურის შესწავლა.

თბილისში პროფ. კუნიცი დარჩება სამი ან ოთხი დღე და ამ ხნის განმავლობაში შეკრებს მისთვის საჭირო მასალებს. ჩვენს თანამშრომელს მან აცნობა, რომ მასთან ერთად ამერიკიდან საქართველოსაკენ გამოემგზავრა სპეციალური სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც გაემგზავრება სვანეთში.

გროზნოელი მუშა-ველოსიპედისტები თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა 28 გროზნოელი მუშა - ველოსიპედისტი. ჩამოსულები ყველანი სამთა-მადნო მუშათა კავშირის წევრები არიან. გროზნოდან თბილისში მათი მოგზაურობის მიზანი იყო კამპანიის ჩატარება გზის მახლობლად მდებარე სტანიცებში და სოფლებში — ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაციის, საერთაშორისო წითელი დღის და შემოდგომის თესვის შესახებ. ამ მიზნით მათ ჩაატარეს 10 მიტინგი და დაურიგეს გლეხობას შესაფერი ლიტერატურა.

გროზნოდან მუშა - ველოსიპედისტები გამოემგზავრნენ 2 აგვისტოს და თბილისამდე გამოიარეს 350 კილომეტრი. თბილისში მათ შეხვდნენ საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების, საქ. სამთამადნო მუშაკთა კავშირის და ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლები.

რამდენიმე დღის შემდეგ, გაიმართება დიდი ველო - გადარბენა თბილისი—გროზნო, რომელსაც ექნება სასპორტო ხასიათი. გადარბენაში მონაწილეობას მიიღებენ გროზნოდან ჩამოსული ყველა მუშა - ველოსიპედისტები და თბილისიდან — 5 ველოსიპედისტი.



ჭიათურა. ამერიკული ტიპის ერთ-ერთი სახლი

ა.-კ. სახკომსაბჭოში

საექსპორტო თათბირის შემადგენლობა

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა საექსპორტო თათბირის შემდეგი შემადგენლობა: ამხ. ელიავა (თავმჯდომარე), ბეკზადიანი (მოადგილე), ნაზარეტიანი, მგალობლიშვილი, მუსაბეკოვი, ტერ-გაბრიელიანი, გენკინი, ხუმარიანი, ბუკრეევი, ჟუღელი, ლაქტიონოვი, კურსელი, ბაგიროვი და ლიკობა.

ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახკომისარიატის კოლეგია

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილებით ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახკომისარიატის კოლეგია შედგენილი იქნება შემდეგი შემადგენლობით: ბუკრეევი, (სახ. კომისარი), გაჟინსკი (მოადგილე), კვირკველია, სააკიანი, როდიონოვი და მელკუმიანი.

მუნიციპალიზაციაქმნილ სახლების აღსადგენად

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას საკავშირო სახკომსაბჭოს წინაშე, რათა თბილისის აღმასკომს გრძელვადიანი სესხის სახით 1929—30 წლისათვის მიეცეს 7.530.000 მანეთი, მუნიციპალიზაციაქმნილ ბინების აღდგენის ფონდის გასაძლიერებლად და ქალაქის კეთილმოწყობისათვის.

ღონისძიებები მოსავლიანობის გასადიდებლად

თბილისის აღმასკომის მიწადმოქმედების განყოფილებაში ამ დღეებში შესდგა გაფართოებული თათბირი, რომელსაც დაესწრნენ რაიონული აგრონომები და მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

თათბირზე მოსმენილ იქნა მაზრის აგრონომ ამხ. ასათიანის ვრცელი მოხსენება რაი-აგრონომთა მიერ ჩატარებულ მეურნეობების გამოკვლევის შედეგების შესახებ.

თათბირმა იქონია მსჯელობა ჩატარებულ სამეურნეო გამოკვლევის შესახებ და 5 წლის განმავლობაში მოსავლიანობის გასადიდებლად წამოაყენა შემდეგი ღონისძიებანი: თესლის გაწმენდა სარეველა ბალახებისაგან, თესლის შეწამვლა, კარგი ხარისხის თესლის გავრცელება, ნიადაგის დამუშავება, მანქანა-იარაღების გავრცელება, თესლთა ბრუნვის შემოღება, მავნებლებთან ბრძოლის გაძლიერება, მწკრივზე თესვა, ნიადაგის სასუქით განოყიერება და სხვ.

სათანადო მსჯელობის შემდეგ მოსავლიანობის გადიდების მიზნით თბილისის მაზრაში (ამჟამად თბილისის ოლქში) თათბირმა დაადგინა 5 წლის განმავლობაში შემდეგი ღონისძიებების გატარება:

თესლის გასაწმენდათ არსებულ ტრიერებს გარდა დამატებით შეძენილი უნდა იქნეს ასურეთისათვის—31 ცალი ტრიერი (ამჟამად არის 4), აღბულაღისათვის 11 ცალი, მანგლისისათვის—12 ცალი, მარტყოფისათვის—29 ცალი, ერწოსათვის—16 ცალი, თიანეთისათვის—13 ცალი, ფასანაურისათვის—20 ც., დუშეთისათვის 25 ცალი, მუხრანისათვის—17 ც., სართიჭალისათვის—14 ცალი, საგარეჯოსათვის—6 ცალი, წალკისათვის—15 ცალი, საგურამოსათვის 8 ცალი და მცხეთისათვის 18 ცალი.

კარგი ხარისხის თესლით უზრუნველსაყოფად უნდა შეიქმნეს სათესლე მეურნეობა, რაც ხელს შეუწყობს მოსავლიანობის 15-ი პროცენტით გადიდებას. ნიადაგის დამუშავებისათვის მაზრაში მოხვნის მაქსიმალურ სიღრმედ მიჩნეული იქნეს 4 ვერშოკი. თანაბრად და საჭირო სიღრმეზე თესლის დასათესად შემოღებული იქნეს ხმარებაში თეფშებიანი მკრივზე მთესველი მანქანები.

მაზრაში მყოფ საქონლის რაოდენობის მიხედვით ყოველწლიურად მაზრას ექნება — 15.680.000 ფუთი სასუქი, რაც 5 წლის განმავლობაში გაანოყიერებს 11.000 ჰექტარ სათესი ფართობს და გაადიდებს მოსავლიანობას 30 პროცენტით.

თათბირმა გამოიმუშავა აგრეთვე მთელი რიგი სხვა ღონისძიებები, რომელიც 5 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაადიდებს მოსავლიანობას.

ოხრას მადანი გურიაში

ოხრა ითვლება ერთ უძვირფასეს საღებავათ, რომელსაც ხმარობენ როგორც ამშენებლობაში, ისე მხატვრობაში და მრეწველობის თითქმის ყველა დარგებში. ოხრას აკეთებენ განსაკუთრებული მადნიდან. ასეთი მადნის ბუდობები ამჟამად აღმოჩენილია გურიაში. ნაგომრის თემში. აღნიშნული ბუდობების დამუშავება უცდიათ პრიმიტიული წესით და მიუღიათ მაღალხარისხოვანი საღებავი.

ამ რამოდენიმე დღის წინად კი აღნიშნული ბუდობების გამოსაკვლევად და შესასწავლად, ს.შ.უ.ს. სამთო განყოფილებამ გაგზავნა სპეციალისტთა ექსპედიცია გეოლოგ ბახტაძის მეთაურობით. ექსპედიციამ მოახდინა ბუდობების წინასწარი შესწავლა და მარაგის ზოგადი გამოანგარიშება.

გუშინ გეოლოგი ბახტაძე დაბრუნდა თბილისში და თან ჩამოიტანა მადნის ნიმუშები საანალიზოთ. ანალიზები დაწყებული იქნება ამ დღეებში. სპეციალისტების წინასწარი დაკვირვებით გურიის ოხრადან შესაძლებელი იქნება მაღალხარისხოვანი საღებავის მიღება.

ექსპედიციის მუშაობა გურიაში გასტანს დაახლოებით სამი კვირა. თუ ექსპედიციამ იქ აღმოაჩინა მადნის დიდი მარაგი და ანალიზებმა კი გამოარკვიეს, რომ მადანი ვარგისია—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განზრახვა აქვს დაუყოვნებლივ შეუდგეს მადნის საექსპლოატაციო სამუშაოების შესრულებას.

წითელი არმიის მანევრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანევრები—წითელი არმიის გენერალური გამოცდაა

(საუბარი კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის სარდალთან ამხ. ავქსენტიევსკისთან)

კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის სარდალმა ამხ. ავქსენტიევსკიმ, ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში წითელი ჯარის მომავალი მანევრების შესახებ, განაცხადა შემდეგი:

წით. ჯარის საზაფხულო სწავლებამ ნათელყო მიღწევები როგორც საბრძოლო მომზადების, ისე პოლიტიკურად განვითარების დარგში. ჩვენი წითელი ჯარის ზრდა და განმტკიცება მიმდინარეობს მთელი ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდასთან შეთანხმებით—დაკავშირებით.

მომავალი მანევრები, რომლებიც ჩატარდება მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლო და სექტემბრის პირველ რიცხვებში, იქნება ჩვენი წითელი ჯარის გენერალური გამოცდა.

ამიერ-კავკასიაში პირველად ტარდება მანევრები ასეთი ფართო მასშტაბით, წელს მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის თითქმის ყველა ნაწილები.

არმიის სარდლობა მანევრების ჩატარების დროს ისახავს ფრიად რთულ და პასუხსაგებ ამოცანებს. მომავალმა მანევრებმა უნდა გამოარკვიონ არა მარტო ნაწილების ბრძოლისათვის მომზადება, არამედ მანევრებმა უნდა გამოააშკარავონ, თუ რამდენად არიან მომზადებული ნაწილების უმაღლესი და უფროსი შემადგენლობის მეთაურები და როგორ ერკვევიან ეს უკანასკნელნი ჯარის მართვა-გამგებლობის საქმეში.

მანევრებს ამასთანავე ექნება უდიდესი მნიშვნელობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობისათვის. ამიერ-კავკასიის მშრომელები მანევრების დროს იხილავენ ჯარის მსხვილ ერთეულებს, რომლებშიაც შედიან ეროვნული ნაწილებიც.

მანევრების დროს გამოყენებული იქნება ავიაცია, ტანკები, ჯავშნიანი ავტომობილები, მატარებლები და სამხედრო ტეხნიკის სხვა ახალი საშუალებები. პირველად ამ მანევრებში გამოყენებული იქნება ახალი რადიო, როგორც კავშირის ერთ-ერთი საშუალება.

ყველა ეს საშუალებას მისცემს ამიერ-კავკასიის მშრომელებს გაეცნონ წითელი ჯარის მიღწევებს.

მანევრებში მონაწილეობის მისაღებად მიზიდული იქნებიან თავდაცვა-ავიაქიმის, წითელი ჯვარი და წითელი ნახევარი მთვარე, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მანევრები გამოიწვევენ დიდ ინტერესს მშრომელთა შორის და მიიპყრობენ ამიერ-კავკასიის მოსახლეობის ყურადღებას. არმიის სარდლობა მიიღებს ზომებს რომ მიიზიდოს მანევრებში მონაწილეობის მისაღებად ა. კ. რესპუბლიკების პროფკავშირების რაც შეიძლება მეტი წევრები.

ჩვენი წითელი არმიის ნაწილების საბრძოლო უნარიანობის იმ უდიდესმა ზრდამ, რომელიც შემჩნეული იყო ზაფხულის განმავლობაში, მე დამარწმუნა, რომ წითელმა არმიამ მიაღწია თავის განვითარების ფრიად მაღალ საფეხურს და მას შეუძლიან წინ აღუდგეს საბჭოთა კავშირის მტრების ყოველ ზრახვებს, რომლებიც მიმართული იქნებიან საბჭოთა კავშირის მშრომელების წინააღმდეგ.

ის მტკიცე კავშირი, რომელიც დამყარებულია წითელ არმიისა და მშრომელთა შორის, საუკეთესო თავდებია იმისი, რომ თუ მტერი გაბედავს დაესხას თავს საბჭოთა კავშირს, წითელი არმია მშრომელებთან ერთად, შესძლებს გასცეს მას სათანადო პასუხი და ერთხელ და სამუდამოთ ჩააჩუმოს იმპერიალისტთა ხროვა—მშრომელთა დაუძინებელი მტერი.

დიდი მანევრები

მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ნაწილები ატარებენ დიდ მანევრებს.

მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, აძერბეიჯანის და სომხეთის ეროვნული ნაწილები. გარდა წითელი ჯარის ნაწილებისა, მანევრებში მონაწილეობის მისაღებად მიზიდულ იქნებიან თავდაცვა-ავიაქიმი, წითელი ჯვარი და წითელი ნახევარმთვარე, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

არმიის წრევანდელი მანევრები დიდათ განსხვავდება წინა წლებში ჩატარებულ მანევრებისაგან.

არმიის სარდლობის მიერ მიღებულია ზომები, რომ მანევრები მთლიანად მიუახლოვდნენ საბრძოლო გარემოებას და არ ატარებდნენ მხოლოდ სწავლების ხასიათს.

წინა წლებში ჩატარებული მანევრები იყო მხოლოდ სწავლების გაგრძელება, მხოლოდ უფრო დიდ ფარგლებით და ამიტომ ამ მანევრებს ჰქონდათ ხელოვნური ელფერი. მანევრებში მონაწილეთ არ გრძნობდნენ „ბრძოლის“ ელფერს, რაც დიდათ ანელებდა მებრძოლთა ინტერესს მანევრებისადმი.

წელს ეს „ხელოვნურობა“ თავიდან იქნება აცილებული.

წითელი ჯარის ნაწილები დაიწყებენ „ბრძოლას“, შეტევას, დაამთავრებენ „ბრძოლას“ არა სარდლობის ნიშნით, არამედ მაშინ, როდესაც „ბრძოლა“ იქნება წაგებული, ან მოგებული და როდესაც ესა თუ ის მხარე დაჰკარგავს „ბრძოლაში“ ცოცხალი ძალის დიდ რაოდენობას „დაჭრილ-დახოცილთა“ სახით.

ჯარის ნაწილების დასვენება იწარმოებს არა მშვიდობიან დროის პირობებში, როგორიც იყო წინა მანევრების დროს, არამედ „საბრძოლო“ პირობებში.

ასეთივე პირობებში იწარმოებს მუშაობა მოსახლეობის შორის.

სროლა შაშხანა თოფებიდან, ზარბაზნებიდან, ტყვიამფრქვევებიდან, ყუმბარების და გრანატების აფეთქება აღინიშნება სროლით და არა პირობითი ნიშნებით.

ავიაციის, ტანკების, ჯავშან ნაწილების და გაუმჯობესებულ ტეხნიკურ საშუალებების გამოყენება ხელს შეუწყობს მანევრების მიახლოებას ნამდვილ ომთან.

მანევრებს ექნება უდიდესი მნიშვნელობა არა მარტო წითელი ჯარის ნაწილებისათვის, არამედ მოსახლეობისათვისაც, ვინაიდან მშრომელები მანევრების დროს მიიღებენ დიდ ცოდნას და გამოცდილებას, რომლებიც საჭიროა ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის თავდაცვისათვის.

ამიტომ საჭიროა, რომ მოსახლეობა—ავიაქიმის ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ეხლავე შეუდგეს მზადებას მანევრებისათვის.

მხედარი.

ავიაქიმის მონაწილეობა

საქ. თავდაცვა-ავიაქიმი შეუდგა მზადებას წითელი ჯარის მომავალ მანევრებში მონაწილეობის მისაღებათ.

მანევრებში მონაწილეობის მისაღებად მივლინებულ იქნებიან ავია-ქიმიური რაზმები. წრეები, ათასეულები, სანიტარული ჯგუფები და სხვ.

მანევრებზე გაწვეული იქნებიან ქალების საკავშირო და რადიო-მოყვარულთა წრეები. ხსენებულ წრეების წევრები მანევრების დროს იქნებიან განაწილებულნი არმიის სხვადასხვა ნაწილებში და უშუალოდ გაეცნობიან მუშაობის წარმოებას კავშირის დარგში.

მოძრავი სტამბა

მანევრების დროს, გარდა იმ გაზეთებისა, რომლებიც გამოდიან არმიის ნაწილებში, ყოველდღიურად გამოვა გაზ. „წითელი არმიელი“. ამისათვის მანევრებზე მივლინებულ იქნებიან „წითელ არმიელი“-ს რედაქციის თანამშრომლები.

სალაშქრო გაზეთი „წითელი არმიელი“ დაიბეჭდება მოძრავ სტამბაში.

თადარიგის მეთაურთა გაწვევა

მანევრებში მონაწილეობის მისაღებად გაწვეულნი იქნებიან თადარიგის მეთაურთა და უფროსი შემადგენლობის პირნი.

მორიგი გაწვევა წითელ ჯარში

გამოქვეყნებულია კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის სამხედრო-რევოლუციონურ საბჭოს ბრძანება 1907 წელში დაბადებულთა გაწვევის შესახებ წითელი ჯარის რიგებში.

1907 წელში დაბადებულთა იმ ახალგაზრდების გაწვევა ჯარში, რომლებსაც წინა წლების გაწვევის დროს გაუგრძელდათ ჯარში გაწვევის ვადა, დაიწყება: საქართველოში —5 სექტემბრიდან, აზერბეიჯანში და სომხეთში —15 სექტემბრიდან.

გაწვეულთა გუნდების გაგზავნა ნაწილებში უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის 15 ნოემბრისათვის.

ბრძანება წინადადებას აძლევს გამწვევ კომისიებს, მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა წითელ ჯარის რიგებში არ მოხვდნენ კლასობრივად და სოციალურად უცხო ელემენტები და აგრეთვე ის პირნი, რომლებიც მტრულად არიან განწყობილნი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ასეთი ელემენტები გამოაშკარავებულ უნდა იქნენ გაწვევის დაწყებამდე და თვით გაწვევის დროსაც. უცხო ელემენტები გადირიცხებიან ზურგის შემადგენლობაში. მათი სიები უნდა გადაეგზავნოს ფინანსთა სახ. კომისარიატების ორგანოებს.

გასაწვევთა საექიმო შემოწმება იწარმოებს მათი გამოცხადების პირველ დღეებში. საქართველოში საექიმო შემოწმება ჩატარდება 5 სექტემბრიდან —პირველ ოქტომბრამდე, აზერბეიჯანში და სომხეთში—15 სექტემბრიდან—20 ოქტომბრამდე.

ბრძანების თანახმად, მომავალ გაწვევის დროს ამიერ-კავკასიაში კენჭის ამოღება არ იწარმოებს.

ბრძანება ავალებს არმიის კავშირის და მომარაგების უფროსებს ა. კ. ვაჭრობის კომისარიატთან შეთანხმებით მიიღონ ზომები რკინისა და შარა გზებზე სასურსათო ბაზების მოსაწყობად.

სამხედრო უწყების ადგილობრივი ორგანოები ვალდებულნი არიან ახალწვეულთა შესაკრებ პუნქტებზე მოაწყონ სავაჭრო - სასურსათო დუქნები.

ბრძანება ავალებს არმიის პოლიტსამმართველოს დაიწყოს გაწვევის ირგვლივ საგიტაციო კამპანიის ჩატარება მოსახლეობის შორის. პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

ხორჰურდაინ ჰაიასტან

IV *)

სამრეწველო რაიონიდან ავტოებით გაუდგით გზას არპაჩაის სადგურისაკენ დასათვალიერებლად. იგი ქალაქიდან 20 კილომეტრით იქნება დაშორებული. ჩვენ წინ ტბასავით სწორი ველია გადაშლილი, ყოველი მხრიდან ფერდობებით გარშემორტყმული. სამხრეთის ჰორიზონტზე გავლებულია ალაგეზის გრძელი თოვლიანი მოხაზულობა. სილუეტად ჩანს მისი ორწვერი—ორი კრატერი. ოდესღაც ისინი ვეშაპებივით აფრქვევდნენ ნიაღვარს. გაციებული ლავით დაუფარავს ეს ველები. ინტენსიურად უმუშავიათ გეოლოგიურ ეპოქებს, ვულკანიურ და ტექტონიურ მოვლენებს თანამედროვე სომხეთისათვის, ტუფი, ოხრა, მინქაფა (პემზა) ბაზალტი, მარმალილო, კონგლომერატი, გრანიტი, და კიდევ სხვა მრავალი ქიმიური მინერალი,—როგორც მეხილის ხონჩაზე სხვადასხვა ფერი ხილეული, ისე ვულკანიურ და ტექტონიურ ძალებს სომხების დღევანდელ ტერიტორიაზე დაულაგებია ეს მინერალები. ეხლა კი ჯერი მათ დამუშავებაზეა. ყველა ეს მადნები იძლევიან საამშენებლო მასალას, რომელსაც ამჟამად ასე საჭიროებენ საბჭოთა რესპუბლიკები. ამ საკვირველ ქვას—ტუფს, რომელიც ხესავით იღუნება და ლურსმანივით იჭედება, თხოულობს არა მარტო ჩვენი საბჭოთა ქვეყანა, არამედ ინგლისი და გერმანია, სადაც ამ ქვით შენდება რამოდენიმე სანიმუშო სახლი. ტუფის საბადოები უხვად არის არტიკის რაიონში, რომელიც ლენინაკანს 25 კილომეტრით დაშორებია. დღემდე ქვა სადგურამდე ურმებით გადაჰქონდათ. ეხლა გაჰყავთ რკინის გზა, რომელიც მალე დამთავრდება. პირველი სექტემბრიდან პირველი მატარებელი წაიღებს ტუფის პირველ პარტიას. გეოლოგების გამოანგარიშებით, ტუფის რაოდენობა მარტო არტიკის რაიონში 60 მილიონ კუბ. მეტრამდე აღიმატება. დღემდე აქ უკვე გატანილია 200-მდე შურფი (ბურღილი). წლევანდელი წლის გეგმით დამუშავებულ უნდა იქნას 250 ათასი კუბიკური მეტრი. დღემდის ქვას ხელით ამუშავებდნენ (თლიდენ). ქვის მთლელი ოსტატი თვითოეული ქვის გათლაში ღებულობდა სამ მანეთს. ეხლა ამ საქმეში მოხდა რევოლუცია: მექანიკური ქარხნის ერთმა მუშამ მარტინ კუნჯულიანმა გამოიგონა ქვის სათლელი მანქანა. რომლის საშუალებით შეიძლება ქვის დამუშავების სრული მექანიზაცია. მანქანით თითოეული ქვის გათლა ჯდება 15—20 კაპ. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. სპეციის გამოგონება მოუწონებია. ამ გამოგონებამ სწყვიტა არტიკის ქვის დამუშავების პრობლემა, რომლის მოსაგვარებლად უცხოეთში მივლინებულია ორი სპეციალისტი. მომავალ წლიდან ტუფის ამოღება და დამუშავება ფართო ხასიათს მიიღებს. რას იფიქრებდა მუდამ თეთრ თავა ალაგეზი, თუ რამდენიმე მილიონი წლის შემდეგ მისგან გადმოფრქვეული ნიაღვარი მთელი ქვეყნის ყურადღებას მიიპყრობდა, თუ ამ მიყრუებულ ადგილებში ოდესმე ორთქლმავალი დაიკივლებდა?

ტუფი საკავშირო (და შეიძლება მსოფლიო მნიშვნელობის) მადანია, რომელსაც კი არ იწონიან, არამედ იზომება მეტრაჟით, ასეთი საამშენებლო მასალაა გრანიტი და მარმალილოც. სომხურ გრანიტს ჩვენ თბილისელები კარგად ვიცნობთ. ამ მაღალ-ხარისხოვანი ქვით დაგებულია თბილისის ქუჩები, შეკედლილია ზაჰესის კაშხალი, აყვანილია დიდი სახლების კედლები. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები ყოველწლიურად საჭიროებენ სამ მილიონ ცალ გათლილ კუბიკს. ამ მოთხოვნილებას უფარდდება სწორედ ის ფაბრიკაც, რომელიც სადგურ ბამბაკთან შენდება. საბადოებამდე გაყვანილია რკინის გზის შტო. შეძენილია გერმანიაში 9 ქვის სატეხი და 6 საკომპრესორო მანქანა, ფაბრიკა ჯდება სულ 3.335.000 მანეთი.

ბამბაკს ახლო მდებარეობს მისხანი, ცნობილი თეთრი მარმარილოთი, რომელსაც საკავშირო ექსპერიმენტალურმა ინსტიტუტმა ყოველმხრივი გამოცდის შემდეგ ასეთი ატესტაცია გაუკეთა: მისხანის მარმარილო განირჩევა საუკეთესო თვისებით და სავსებით გამოსადეგია ელექტრო-ტეხნიკისათვის. ამ მარმალილოდან, რომელიც დღემდე უცხოეთიდან შემოჰქონდათ, მზადდება ფილაქნები მომწესრიგებელ ფარებისათვის (ელექტრო-ტეხნიკაში). მოთხოვნილება კავშირში მასზე ძალიან დიდია. სომხეთის სამთო ტრესტი აგებს ნამიურის (ბელგიის ქალაქია) მგზავს ფაბრიკას, რომელიც დამთავრდება გაისად. იგი აღჭურვილი იქნება ალმასის სახერხი მანქანებით და საპოლავი დაზგებით. ჯდება 114 ათასი მანეთი. მარმალილოს ფილის თვითეული კვადრატიული მეტრი ღირება 18 მან.

ჩვენმა თანამგზავრებმა ერევნელმა ამხანაგებმა ლენინაკანში გაიგეს კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა: მინქაფა, რომელიც უხვად მოიპოვება სადგურ ანის, ზაჩის, და სოფ. მშრალი ფანტანის მიდამოებში, საკავშირო მნიშვნელობის მადანი გამოდგა, საცდელი ინსტიტუტის შემოწმებით მინქაფა იძლევა საუკეთესო ხარისხის მინას და ძვირფას მასალას სილიკატის წარმოებისათვის. მინქაფა ადვილად იფქვება, დნება და იხმარება ქიმიურ მრეწველობაში. 26 წლიდან მისი ამოღება გაუდიდებიათ 100 ტონიდან 20 ათას ტონამდე, თვითღირებულება შეუმცირებიათ 305 მანეთიდან 92 მან. ტონაზე. ანისა და მშრალ ფანტანკაში შენდება მინქაფას ქარხანა დიდი კოქების, აგურისა და კრამიტის დასამზადებლად. ამ საქმისათვის გადადებულია 175000 მან. მინქაფის დამუშავების გარდა გადაწყვეტილია კირის, (დავალუში) გაჯის, და კალციულ-კარბიდის ქარხნების აგება ერევანში. პირველი მათგანი, ჯდება 530.000 მან., მეორე 75.000 მან., მესამე 150.000 მან.

ეს არ ამოსწურავს სომხეთის მიწის სიმდიდრეს, რომელიც ზღვასავით ულეველი და მრავალ მადნების დამტევია. მათი გამოკვლევა და შემდეგ მათი დამუშავება უკვე ხუთწლიანი გეგმის საქმეა. არაფერს ვამბობ, უკვე საკმაოდ ცნობილ ალავერდისა და ზანგეზურის სპილენძის მადნებზე, რომელიც ეხლა რეკონსტრუქციის პერიოდს განიცდის; რომელიც დღევანდელი ფერადი ლითონის კრიზისის პირობებში მთელი კავშირის ყურადღების ცენტრს წარმოადგენს. თუ ამ ნაკლებად ცნობილ მინერალებზე შევჩერდით, მხოლოდ იმ მიზნით, რომ ერთხელ და საბოლოოდ გაიფანტოს ჩვენში გავრცელებული ცრუ წარმოდგენა, თითქოს სომხეთის ბუნება მწირია და ღარიბი. ჯერ კიდევ ბევრ აღმოუჩენელ სხვადასხვაგვარ მადანს იტევს სომხეთის წიაღი. მაგ.: ეხლახან ღორ-ზანგაკის მაზრაში ორთაკალუს რაიონში აღმოუჩენიათ ქვა-ნახშირი, რომელიც ლაბორატორიულ გამოკვლევის თანახმად შეიცავს 56 პროც.: კოქსს და მხოლოდ 35 პროც. გასაქანებელ ნივთიერებას. ამჟამად მიმდინარეობს საბადოების რაოდენობის გამოკვლევა. როგორც ხედავთ, გეოლოგიურ ეპოქებს, მიწის შინაგან ძალებს—ბევრი რამ სასარგებლო საქმე გაუკეთებიათ დღევანდელი სომხეთისათვის.

⁂

ამ ველზე დაღვრილმა ვულკანურმა ლავამ გამოიწვია ჩემი გეოლოგიური (თუ გნებავთ, ეკონომიური, ყოველ შემთხვევაში არა ლირიული) წიაღსვლა სომხეთის მიწის ფენებში. დავუბრუნდეთ ისევ ამ ველს, რომელზედაც ჩვენ მივყვებით ავტოს ელ-სადგურისაკენ. ველის ნიადაგი ფხვიერია, მოკლებულია ხეს და ყოველგვარ მცენარეულობას. ნიადაგს წაჰკრავს სიყვითლისა, მიხაკის და ვარდის ფერი, რომელსაც ზოგან აშუქებს ღრუბლის გამჭვირვალე ნაჩრდილი. გათხელებული ჰაერი (ათას ხუთას მეტრის სიმაღლეზე ვიმყოფებით) აღიზიანებს და ამახვილებს ადამიანის გარე გრძნობებს. ჩვენ მივყვებით არპაჩაის ნაპირს მაგრამ მდინარე არა ჩანს, მას ღრმა კანიონებში გაუთხრია კალაპოტი, რომელსაც თავს დაჰყურებენ ველის ზედაპირთან გათანაბრებული კლდეები. ეს ველი შირაქის დაბლობის გაგრძელებაა. შირაქი კი ოდესღაც მთელი სომხეთის მკვებავი ბეღელი იყო. პირველი შეხედვით თითქოს მწირი ნიადაგი ახარებს მარცვლეულ კულტურებს. ნაყოფიერება ნიადაგისა აიხსნება იმით, რომ ვულკანიურ წიაღვარს შერევია ალლუვიური ნალექი (ანუ ტბის ნალექი ოდესღაც აქ ტბა იყო), შირაქში წინად ითესებოდა პური, ქერი და ჭვავი (არპაჩაი ნიშნავს ქერის მდინარეს). დღეს შირაქი ისევ უბრუნდება თავის პირვანდელ დანიშნულებას—მან უნდა გასწიოს სომხეთის ბეღლობა არპაჩაიც ამიტომ შებაზეს უღელში, მის სათავეებიდან გამოყვანილ არხს დაკისრებული აქვს მორწყას 12 ათასი ჰექტარი მიწა. ამ ზაფხულზე დამთავრდება სარწყავი სისტემა. იმ ასი ათასეულ მანეთს, რომელიც არხის გასაყვანად დაიხარჯა, შირაქის ველი ოქროს თავთავებით აღმოაცენებს ორი სამი წლის განმავლობაში. ამის თავდებია მოსავლიანობის საარაკო ზრდა.—თუ არხის გაყვანამდე ამ რაიონში ერთი ჰექტარი იძლეოდა 380—390 კილოგრამს, მორწყვის შემდეგ იძლევა 800-დან 1.200-მდე, ხოლო ზოგ ადგილას სამი ათას კილოგრამამდე.

არპაჩაის სხვა საქმეც დააკისრეს. არხის წყალი, რომელიც რწყავს შირაქის ველს, ამუშავებს ელსადგურის გენერატორებს. ხოლო ეს უკანასკნელი ჰკვებავენ ენერგიით მთელი ლენინაკანის მრეწველობას და ტუფის მაღაროებს. ვნახოთ ეხლა ეს სადგური, ხნოვანობით ყველაზე უფროსი, ხოლო ღირებულებით ყველაზე იაფი ამიერ-კავკასიის ყველა ელსადგურებს შორის. (7.500 ძალოვანი სადგური დაჯდა 2.000.000 მანეთამდე, აგება დამთავრდა ერთი წლის წინად).

⁂

ვნახოთ, მაგრამ მისი ნახვა არც ისე ადვილი საქმეა. ბევრმა ჩვენგანმა უკან დაიხია, როცა თავს წამოდგა ჩაჩეხილ კლდის ნაპრალს და მასზე დაკიდულ კიბეს. ხუმრობა საქმეა, ათას ხუთას საფეხურის ჩათვლა და ამოთვლა ჩასვლა კიდევ არაფერია, მაგრამ რა გული გაუძლებს ამოსვლას? თუ ჯამბაზის არა, ცოტაოდენი ფიზკულტურისნის სტაჟი მაინც არის საჭირო ამ კიბეების ჩასაბრძანად, მაშ, გამოვცადოთ ჩვენი სპორტმენობა. ჩვენი ჯგუფიდან მხოლოდ 7 დავეშვით. ერთმა დარჩენილმა ამხანაგმა ისეთი სიბრალულით შემოგვხედა, თითქოს გვისტუმრებდა აიდის სამეფოში, სადაც ჩასული ბევრი უნახავთ, მაგრამ ამოსული კი არავინ. სამ წუთში ამოვყავით თავი ნაპრალის ფსკერზე, რომელზედაც დადგმულია საგრენატორო სადგური—მეტად ორიგინალური და იშვიათი ნაგებობის შენობა. მის მაღალ კედლებს გარშემოცულ კლდეების ფერი აქვს. კედლების ზედაპირი ისე შეღებილი, რომ ვერ გაარჩევთ კლდის დანაოჭებულ და ძარღვიან ქანებში. საერთო შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ეს მაღალი კუბიკური შენობა ამ კლდეებიდან გამოსულა, მათ გამოჰყოფია, კლდისა და კლდის შუა ჩამდგარა. შენობის ასეთი ფერი თავდაცვის აუცილებლობით არის ნაკარნახევი. მტრის თვითმფრინავი ვერ გამოარჩევს ამ კლდის ქანებიდან და მაშასადამე ვერც მიზანში ამოიღებს მას. საზღვარზე აგებული შენობისათვის ასეთი მიმიკრია აუცილებელია. ჩვენში ჯერ-ჯერობით არც ერთ სადგურს არა აქვს ასეთი მაღალი წყლის ვარდნა, რომელიც აქ 118 მეტრს უდრის. წყალი ჩამოჰქუხს კლდეზე გამოლაგებულ ორ ვეებერთელა მილში. დაქანება ამ მილებისა 20—40 გრადუსი იქნება. არპაჩაი ორი დიდი ამოცანის შესრულების შემდეგ (შირაქის მორწყვა და სადგურის ამუშავება) აქვე ამ შენობის ქვემოთ უბრუნდება თავის ძველ კალაპოტს ისეთი შფოთიანი და აღტაცებით, როგორც განთავისუფლებული პატიმარი თავის კარმიდამოს.

ასეთია ოქტომბრის რევოლუციის ერთი ძეგლთაგანი, რომელიც ატარებს და ამკვიდრებს ამ რევოლუციის ერთ-ერთი ბელადის ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელს საბჭოთა სომხეთის მიწა-წყალზე.

⁂

სამი ოთხი დღის დაყოვნება ერევანში საკმაოა, რომ შეამჩნიოთ: საბჭოთა კავშირის არც ერთ ახალგაზრდა რესპუბლიკის ცენტრს არა ყავს თავმოყრილი იმდენი კულტურული ძალა, როგორც სომხეთის დედა ქალაქს.

ჯერ კიდევ რევოლუციამდე რუსეთისა და უცხოეთის სომხურმა კოლონიებმა მრავალ რიცხოვანი ინტელიგენცია აღზარდეს. საუკეთესო ნაწილს ე. ი. თავის ხალხისთვის გულწრფელად თავდადებულს, თავის ქვეყნის აღორძინების უანგარო მოტრფიალეს იზიდავს დღეს განახლებული სომხეთი. ამერიკისა და ევროპის მრავალი შორეული ქალაქიდან მოეშურებიან თავის ჯერ კიდევ ღარიბ კერისაკენ ინჟინრები, აგრონომები, ექიმები, ხუროთმოძღვრები, მხატვრები, მუსიკოსები. სულ სხვა ნიადაგზე აღზრდილი—მათ პირველ ხანებში უძნელდებათ ახალ პირობებთან შეგუება, თავის მსოფლმხედველობის და შეხედულებების გარდაქმნა იმ ამოცანებთან შეფარდებით, რომელსაც უყენებს აქტიური მუშაობის მსურველ მოქალაქეს სოციალისტური სამშობლო. მაგრამ მათ დაკვირვების სომხეთის თანამედროვე ცხოვრებაზე, გიგანტურ მშენებლობაზე, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის გაცნობას, მოსდევს ძირეული გარდატეხა მათ შეგნებასა და აზროვნებაში. უცხოეთიდან დაბრუნებულ ინტელიგენციის ამ საუკეთესო ნაწილის თანდათანობით გარდაქმნის პროცესი გადმოგვცა თავის საკუთარი მაგალითით პოეტმა ავეტიკ ისაკიანმა. ნიჭიერი ლირიკოსი, გადათარგმნილი მრავალ ევროპიულ ენაზე, უცხოეთის ლიტერატურული წრეების მიერ ღირსეულად დაფასებული პოეტი—ავეტიკ ისაკიანი 1926 წლამდე ცხოვრობდა ევროპაში, სადაც მან 20 წელზე მეტი დაჰყო. იგი შეეზარდა, შეეზორცა ევროპიულ კულტურას. სამი წლის წინედ იგი სტუმრად ჩამოვიდა თავის ქვეყანაში.

— სამშობლოში რომ ჩამოვედი,—განაცხადა მან,—თავი უცხოეთში ვიგრძენი. ყველაფერი რაც აქ კეთდებოდა, ჩემთვის იყო გაუგებარი, ჩემი გონებისა და შეგნებისათვის მიუწვდომელი, დაშორებული ჩემს მსოფლმხედველობას. სამი წლის განმავლობაში გულდასმით ვეცნობოდი სომხეთის საზოგადოების სხვადასხვა ფენებს, მათში მიმდინარე ცვლილებებს, მათ საქმიანობას. ვაკვირდებოდი ყოველ ახალ მოვლენას ავსა და კარგს; იმას, რაც ახარებდა ჩემს თანამემამულეებს, და იმასაც, რაც მათ აწუხებდათ. და თანდათან ჩემთვის ნათელი გახდა, რომ გზა რომელიც ჩემს ერს აურჩევია არის გზა ხალხის სალი ინსტინქტით, ფხიზელი გონებით ნაკარნახევი. ეხლა მე მივდივარ სამშობლოდან, რომ ჩემი ოჯახიანად საბოლოოდ დავუბრუნდე ჩემს ქვეყანას, სამუდამოთ დავრჩე აქ, რომ გავიხარო მისი გამარჯვებით და დავიტანჯო მისი ტკივილებით.

ცრემლმორეულმა პოეტმა ამ სიტყვებით გამოხატა არა მარტო თავისი პირადი განცდა, არამედ განცდა იმ მრავალრიცხოვან მოღვაწეთა, რომლებიც გამოქცევიან უცხოეთს, იქაურ კეთილდღეობას და თავისი ცოდნა-გამოცდილება მოუტანიათ თავისი ქვეყნის ასაღორძინებლად. ყოველ მათგანს მიუგნია თავისი კუთხისთვის, გამოუნახავს თავისი საქმე: ინჟინერი მახვილი ყურით და მზრუნველი თვალით თავს დასტრიალებს სარწყავ არხებს, სადგურებს, ფაბრიკა - ქარხნებს და შენობათა საამშენებლო სამუშაოებს; აგრონომი — საცდელ მინდვრებს საბჭოთა მეურნეობებს, კოლექტივებს. ექიმი — საავადმყოფოებს, დისპანსერებს, ამბულატორიებს; მეცნიერი - საფაკულტეტო კათედრებს, კაბინეტებს, ლაბორატორიებს.

⁂

ჩვენ მოკლეთ გავეცანით მათ ნამუშევარს. ეხლა შევაღოთ კარი სახელოვნო დაწესებულებების, სადაც შემოქმედების ცეცხლით აღგზნებულან მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები.

ვეწვიოთ სამხატვრო გალერეიას, სადაც მრავალ ნიჭიერ მხატვარს მოუტანია მრავალნაირი ტილო, ყოფა - ცხოვრების ჟანრის, სურათებით, პეიზაჟებით, ნატურ - მორტებით. აკვირდებით ამ მხატვრობას, ამ პასტელებს, აკვარელებს, გუაშებს და თქვენთვის აშკარა ხდება: სომხეთის მხატვრობას გაუვლია განვითარების გრძელი გზა, რომელიც მე-19 საუკუნის დამდეგიდან პარალელურად მისდევს ევროპიული და რუსული მხატვრობის განვითარებას, სომხურ მხატვრობასაც ჰქონია თავისი აკადემიზმის, რომანტიზმის, იდეური რეალიზმის, იმპრესიონიზმის პერიოდები. ყველა მიმდინარეობას ყავს თავისი წარმომადგენელი, დახელოვნებული ოსტატი, რომელთა ნაწარმოებს არ დაიჩრდილავს საბჭოთა კავშირის სხვა ეროვნებათა მხატვრების შემოქმედების ნიმუშებით, მაგრამ მრავალ ნიჭიერ მხატვარს შორის განკერძოებით სდგას სომხური კოლორიტის, სომხური პეიზაჟის ოსტატი მარტიროს სარიანი. არც ერთ მხატვარს არ მოუცია სომხეთის ბუნება, მისი თავისებურება ისეთი ექსპრესიით, როგორც სარიანს. სარიანის ფერებს ტილოზე გადმოაქვთ განწყობილება, რომელსაც ადამიანში ჰბადებს სომხეთის გორაკების და ველების უდაბურობა. სარიანს იგრძნობს და გაიგებს ის, ვისაც სომხეთი უნახავს. „სარიანის სკოლით, — ამბობს მწერალი ქალი მარიეტა შაგინიანი, — იქმნება ერთგვარი კავშირი გეოლოგიის და მხატვრობის შორის, სწორედ ისეთი, როგორიც არსებობს ანატომიისა და სკულპტურის შორის. თუ ანატომისთვის მეტი არ არის დააკვირდეს სკულპტურის საუკეთესო ნიმუშებს, გეოლოგს ბევრი რამ შეუძლია ისწავლოს სარიანის პეიზაჟებზე“. ო. სარიანი — სომხეთის უნიჭიერესი მხატვარი არ არის სასწაული, უეცრად მოვლენილი ოსტატი, მას წინ უძღოდენ და გზას უკაფავდენ მრავალი ძიებილი შემოქმედი სახვით ხელოვნებაში.

⁂

არ უნდა ბევრი მტკიცება იმას, რომ სომხები მუსიკალური და მუსიკის მოყვარული ხალხია. მოისმინეთ თბილისის „აიასტანის“ ვოკალური და სიმფონიური კონცერტები და დარწმუნდებით. მაგრამ სომხური მუსიკის განვითარების კერას დღეს ერევანი წარმოადგენს. აქ მუშაობენ ეხლა სომხეთის ცნობილი მუსიკალური მოღვაწეები. ერევნის კონსერვატორია და მუსიკალური ტეხნიკუმი ამზადებენ ახალგაზრდა ძალებს. მართალია, ერევანში არ დაუწყია, მაგრამ აქ გაშალა თავისი შემოქმედება დიდმა კომპოზიტორმა სპენდიარიანმა. საქართველოში ყველა ხელოვანმა იცის სპენდიარიანი, მაგრამ ზოგმა არ იცის, რომ მას ყავდა ნიჭიერი წინამორბედნი და ჰყავს მიმდევრები. ჯერ კიდევ კომიტასმა, რომელმაც შეკრიბა და დაამუშავა სომხური ხალხური მელოდიები, მოუმზადა ნიადაგი ისეთ მაღალხარისხოვან მუსიკალურ ფაქტებს, როგორიც სპენდიარიანის სიმფონიური ესკიზებია. ამავე ნიადაგზე აღრმავებს სომხურ მუსიკას სომეხ კომპოზიტორების მთელი პლეიადა. მათი მუშაობის ნაყოფი გამაცვიფრებელია. ათეული წლების განმავლობაში არ გაკეთებულა იმდენი, რაც გაკეთდა უკანასკნელ წლებში. მრავალ რომანსებს, სიმფონიურ ესკიზებს გარდა, სომხური მუსიკალური რეპერტუარი შეიცავს რამოდენიმე სიმფონიურ პოემას. და ორ ოპერას. თუ როგორი იქნება ერთი მათგანი, — ოპერა „ალმასტ“, ამის შესახებ ლაპარაკობს მასი ავტორის — სპენდიარიანის ვინაობა. ჩვენ მოვისმინეთ უვერტიურა და რამოდენიმე ადგილი ამ ოპერიდან. არაა მაინდამაინც საჭიროა სპეციალისტის ცოდნა — გაბედულად სთქვა, რომ ეს ნაწარმოები ნამდვილი შედევრია, რომელიც დაამშვენებს ყველა ქვეყნის საოპერო თეატრების რეპერტუარს. აქვე ჩვენ აგვითვისეს ტერ - ღევონდიანის ოპერას „სედა“-ს, რომელიც ჩვენ არ მოგვისმენია, მაგრამ მოვისმინეთ ამავე კომპოზიტორის რამოდენიმე სიმფონია, რაც აშკარავებს ავტორის მუსიკალურ ნიჭს და კულტურას. ერევანს ყველაფერი მზადა აქვს, რომ დადგას ეს ორი ოპერა. მას ჰყავს საკმაოდ მრავალრიცხოვანი სიმებიანი ორკესტრი (თითქმის სულ ახალგაზრდებისაგან შემდგარი), და ცალკე პარტიების შემსრულებელი გუნდის მომღერალთა კადრი, ბალეტის მსახიობთა კოლექტივი, არა აქვთ მხოლოდ შესაფერი შენობა. ამიტომ ოპერები ვერ დაიდგმება მანამდე, ვიდრე არ აშენდება თეატრის ახალი შენობა თამანიანის პროექტით. „ალმასტი“-ს დადგმას ერევანს დაასწრებენ მოსკოვის, ლენინგრადის და თბილისის საოპერო თეატრები, რომელთაც მომავალი სეზონის რეპერტუარში ეს ოპერა უკვე შეტანილი აქვთ. ერევნულ მუსიკას დიდ ყურადღებას აქცევს სომხეთის სახელგამიც, რომელსაც დღემდე გამოუცია თითქმის ყველა ძველ და ახალ კომპოზიტორთა ნაწარმოები.

⁂

მყოფნის გამბედაობა განვაცხადო, რომ არა თუ ქართველებმა, თვით თბილისელმა სომხებმაც კი არ იციან, რამდენად მდიდარია სომხური ხალხური ცეკვა. ის, რაც ჩვენ ვნახეთ, მოულოდნელი აღმოჩნდა არა მარტო ჩვენთვის, არამედ სომხეთის ყოფა-ცხოვრების ისეთი დიდი მცოდნე ავტორიტეტისათვის, როგორიც ბრძანდება მხცოვანი მწერალი ალ. შირვანზადე. ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ წარმოიდგენდა, თუ სომხებს ექნებოდათ ასეთი ცეკვა, რომელიც თავისი ხასიათით, თავისი ბუნებით განსხვავდება სომხური მუსიკისაგან. რამდენიმე სომხური მელოდიები, სომხური ბაიათები განუსაზღვრელი სევდის აღმძვრელია, სომხური ცეკვა მხნეობის, აღფრთოვანების, სილაღის ჩამგონებელია. სომხურ სიმღერებში იმის გაჟღერებული ხალხის კვნესა, მისი ისტორიული ტრაღედია, სომხური ფერხული კი გადმოგვცემს პირველ ყოფილი ადამიანის უდარდელობას, შეუპოვრობას, ნებისყოფის სიმტკიცეს, მის გაუტეხელ ბუნებას. სომხური ფერხული იმდენად რიტმიული, იმდენად დინამიური, იმდენად ემოციონალურია, რომ მაყურებელს არ შეუძლია პასიური დარჩეს და სხეულის რომელიმე ნაწილის ამოძრავებით არ აჰყვეს ცეკვის თანდათანობით აჩქარებულ ტემპს. ამ ცეკვის სათავეები აუცილებლად წარმართულ საუკუნეებში მარხია. ე. ი. ცეკვა იმ დროს არის ჩასახული, როცა სიმღერა და ცეკვა შრომის პროცესების განუყრელ ელემენტებს წარმოადგენდნენ. ახალგაზრდა ქორეოგრაფს—ერევნის საბალეტო სტუდიის ხელმძღვანელს (გვარი არ მაგონდება) დიდი არტისტული წამოსახვით, ყოველგვარ სტილიზაციის გარეშე, აღუდგენია ამ წარმართული ცეკვის პირვანდელი ბუნება. სწორედ ამ უშუალობით სტოვებს სომხური ცეკვა უდიდეს შთაბეჭდილებას მაყურებლებზე. მასში არა ჩანს თანამედროვე ბალეტიზმის, თანამედროვე ესტეტიზმის კვალიც კი. როცა ჩვენ ფერხულს ვუყურებდით, არც კი გვინდოდა დაგვეჯერებინა, რომ ფერხულის შემსრულებელი ქორეოგრაფიის სტუდიის მოწაფეებია და არა სოფლებიდან [illegible] ჩამოყვანილი გლეხები, —ეთნოგრაფიულ ტანსაცმელში გამოწყობილნი. ჩვენ ვხედავდით არა მსახიობებს, არამედ სიცოცხლის და შრომის სიხარულით დამთვრალ პირველყოფილ ადამიანებს, რომელნიც თავის გრძნობებს მასიურ რელიგიურ-რიტმიულ მოძრაობით გამოხატავდნენ.

⁂

დრამის სეზონი ერევანსა და ლენინაკანში ჩვენ უკვე დამთავრებული დაგვხვდა. მაგრამ მე პირადათ ზერელედ გავეცანი ერევნის და ლენინაკანის თეატრების ნიჭიერ დადგმებს. როგორც ყველა ჩვენ რესპუბლიკაში, ისე სომხეთში თეატრი განახლების გზას ადგას. იგი ეძებს ახალ გზებს, ახალ მასალას, თანამედროვე ეპოქის შესატყვისს დრამატურგიას. ქართული თეატრივით, სომხურიც ორიგინალური რეპერტუარის კრიზისს განიცდის. ახალი სომხური პიესები თითზე ჩამოსათვლელია. თეატრი დანაკლისის ნათარგმნი პიესებით ავსებს. ერევნისა და ლენინაკანის თეატრებში ისეთივე წარმატებით იდგმება „რღვევა“, „ლიანდაგი ბუგუნებს“, „ჯავშნოსანი“, როგორც თბილისის თეატრების სცენებზე. შესრულებაზე ასეთი შეიძლება ვთქვა, ხოლო პიესების დეკორატიული გაფორმება (ვნახე ფოტოგრაფიულ სურათებში) ნაკლები არ არის თბილისის [illegible]. თეატრებში მუშაობენ ვახტანგოვისა და მეიერხოლდის ნამოწაფარი რეჟისორები გულაკიანი, პარონიანი, სარიანი, ფრიდმა და აგრეთვე დამსახურებული რეჟისორი შერეხალიანი. გულაკიანს ეკუთვნის გაბრიელ სუნდუკიანცის კომედიების „პეპო“ და „ხათაბალა“-ს მეიერხოლდისებური დადგმა სრულიად ახალი ტრაქტოვკით და გაფორმებით.

ლენინაკანის და ერევნის ორ აკადემიურ თეატრს გარდა სომხეთში მუშაობს ერთი მუშური და ორი გლეხური მოძრავი თეატრი, რომელთაც განვლილ სეზონში სომხეთის სხვადასხვა კუთხეში ასამდე წარმოდგენა გაუმართავთ. ერევანში ეხლა იქმნება ახალგაზრდობის თეატრი, რომელსაც უკვე ჰქონია რამოდენიმე დადგმა.

რაც შეეხება კინო მრეწველობას, იგი სომხეთში ჯერ-ჯერობით სუსტია. საქ. და აზ. სახკინმრეწველთან თანამშრომლობით მას გამოშვებული აქვს ორი-სამი ფილმი, ხოლო საკუთარად ცხრა სურათი. ეხლა უკვე მას აქვს საკუთარი ახლად აგებული ფაბრიკა, სადაც მუშაობენ ახალგაზრდა რეჟისორები და მსახიობები.

ვ. წულუკიძე.

---

*) იხ. „კომუნისტი“ №№ 171, 176, 177.

ქრონიკა

ინჟ. ბ. ჭიჭინაძის მივლინება საზღვარგარედ

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ საზღვარგარედ მიავლინა ინჟ. ბეს. ჭიჭინაძე, რომელსაც დავალებული აქვს მოიწვიოს უცხოელი სპეციალისტები ფერო-მარგანეცის ქარხნის საამშენებლო პროექტის დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად. მოიწვიოს აგრეთვე თაფარავანის ჰიდროელსადგურის პროექტის შემმოწმებელი სპეციალისტები და სხვა.

ინჟ. ჭიჭინაძე საქართველოში დაბრუნდება სამი თვის შემდეგ.

მოლაპარაკება შირაქის ნავთიან რაიონში სამუშაოების განახლების შესახებ

თბილისში ჩამოსული იტალო-ბელგიის საკონცესიო საზოგადოების წარმომადგენელი მოლაპარაკებას აწარმოებს ს.მ.უ.ს. სამთო განყოფილებასთან შირაქის ველზე ნავთის ამოსაღები სამუშაოების განახლების შესახებ.

იტალო-ბელგიის საკონცესიო საზოგადოებას, როგორც ცნობილია, შირაქის ველზე გადაცემული ჰქონდა ერთი უბანი, სადაც მათ უკვე გააკეთეს ჭაბურღილი. გასულ შემოდგომაზე, როდესაც ჭაბურღილიდან უკვე ამოხეთქა ნავთის ძლიერმა შადრევანმა—საკონცესიო საზოგადოებამ მუშაობა შესწყვიტა დროებით.

ამჟამად საკონცესიო საზოგადოებას განზრახული აქვს განაგრძოს დაწყებული სამუშაოები.

ცვალებადელთა საყურადღებოდ

№ ქ. მსრ. ცალკე საკავშირო ასეული წინადადებას აძლევს თავის ცვალებად შემადგენლობას, დაბადებულებს 1905 წელს, რომელთაც გაიარეს 1928 წელს სამთვიანი შეკრება, გამოცხადდენ ამა წლის 12 აგვისტოს დილის 7 საათზე ტერ-შეკრების ალაგას (ქ. თბილისი, ძნელაძის ქ. № 21). თავის დროზე არ გამოცხადებისათვის პასუხს აგებენ არსებულ კანონის თანახმად.

ასი თბილისელი მუშა სოფელში

დღეს თბ. მაზრის მსხვილ თემებში იგზავნება საშეფო საზოგადოების მიერ მობილიზაციით გაწვეული ასი თბილისელი მუშა. მუშები ჩაატარებენ პურის დამზადების, შემოდგომის თესვის და ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაციის კამპანიას.

გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები

განათლების სახალხო კომისარიატი მომავალ სასწავლო წლიდან რესპუბლიკის სხვადასხვა მაზრებში ხსნის სოფლის ახალგაზრდობის 15 სკოლას.

აქედან ათი იქნება საღამოს სკოლა მოზრდილთათვის, დანარჩენ 5 სკოლაში კი მეცადინეობა იწარმოებს დილით. გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებისათვის საჭირო მასწავლებელთა (აგრონომები, ბუნებისმეტყველნი, საზოგადოებათ-მეცნიერების დარგის მასწავლებლები და მათემატიკოსები) მოსამზადებლად განათლების კომისარიატი ხსნის მოკლევადიან კურსებს.

—:—

ჟურნალი „საბჭოთა აღმშენებლობა“ № 14

გამოვიდა ჟურნალ „საბჭოთა აღმშენებლობა“-ს მორიგი ნომერი, შემდეგი შინაარსით: ნ. სემაშკო—ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები სახალხო ჯანმრთელობის დარგში, დ. ქუჩულორია—დარაიონება, შ. ა—ძე—საბჭოთა აღმშენებლობაში მშრომელთა მონაწილეობის სადღეისო საკითხები, ე. ტურიტაძე—მასიური წიგნი და მასიური მკითხველი. საბჭოთა აპარატის მუშაობა და მისი საკითხები: შ. გომართელი—თემსაბჭოების მუშაობისათვის, ლელი—სოციალისტური შეჯიბრების ცენტრი; მ—ლი—მუნიციპალიზაციაქმნილ სახლების მოვლა-პატრონობა. თბილისის საბჭოს და ალმასკომის პრეზიდიუმში. კანონთა მიმოხილვა. ოფიციალური ნაწილი.

სათესლე მასალის გაწმენდა მოძრავი ტრიერით

მოსავლიანობის გადიდებისათვის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენს სათესლე მასალის გაწმენდა - დახარისხება. გლეხობის უმრავლესობა კი დღემდე თესლის შერჩევას თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. სათესლედ ხმარობდა სრულიად გამოუსადეგარ მასალას, რაც ცხადია კარგ მოსავალს ვერ მისცემდა.

უკანასკნელ წლებში აგრი-კულტურულ ღონისძიებების გატარებასთან ერთად ფართოდ დაისვა საკითხი გლეხობის წინაშე სათესლე მასალის შერჩევის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ვიდრე თესვის კამპანიები დაიწყებოდა, სოფლად აგრო-პუნქტებში უქმად ეყარა ტრიერები. მათ გამოყენებაზე არავინ ფიქრობდა, თუმცა ტრიერების მნიშვნელობაზე ბევრგან გაისმოდა ცარიელი სიტყვები. ბოლო ხანებში მდგომარეობა ამ მხრივ საგრძნობლად გაუმჯობესდა. დღეს სოფელში სწარმოებს არა მარტო ლაპარაკი ტრიერის მნიშვნელობაზე, არამედ მისი პრაქტიკულად გამოყენებაც. მართალია მძიმედ, მაგრამ გლეხობამ მაინც გადასდგა ნაბიჯი და მიჰყო ხელი ტრიერის საშუალებით სათესლე მასალის დარკვევას. ზოგიერთ სოფელში გლეხობამ გამოიტანა სავალდებულო დადგენილება, რომ ყველამ დასთესოს ტრიერით დარკვეული თესლი.

სამწუხაროდ ჯერ კიდევ სოფლად არა გვაქვს ტრიერების საკმაო რაოდენობა. ამიტომ მიწადმოქმედების ორგანოებმა ზოგიერთ ადგილებში შემოიღეს მოძრავი ტრიერება, რომელიც დააქვთ სოფელ-სოფელ და უფასოთ არკვევენ სათესლე მასალას. ამ საშუალებით შესაძლებელია გლეხობის მეტი ნაწილის ჩაბმა სათესლე მასალის გაწმენდა-დახარისხიანების საქმეში.



მოძრავი ტრიერი ალბულა ღში (თბილისის ოლქი)

თბილისის ალმასკომის მიწადმოქმედების განყოფილებამ მაზრის 14 ადგილას მოაწყო მოძრავი ტრიერი, რომელიც დიდ დახმარებას უწევს გლეხობას სათესლე მასალის დარკვევით. ტრიერი საუცხოვოთ არის მოწყობილი იმისათვის, რომ არ დაბრკოლდეს მისი ერთი ადგილიდან მეორეში გადატანა.

ალ. ბ—ლი.

ბრძოლა უმუშევრობასთან

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატს, რათა მან მიიღოს ზომები იმისათვის, რომ შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებმა სასამართლოს და ადმინისტრატიულ პასუხისგებაში მისცენ ის სამეურნეო ორგანოები, რომლებიც დაარღვევენ სამუშაო ძალის დაქირავების წესებს. შემუშავებული უნდა იქნეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ბირჟის ყოველდღიურ მუშაობაზე უმუშევართა კონტროლის დაწესებას. შრომის სახ. კომისარიატმა უნდა მიიღონ ზომები საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატის იმ დადგენილების შესასრულებლად, რომელიც შეეხება შეთავაზებულ სამუშაოზე უარის თქმას (უმუშევრის მხრივ). 1929—30 წლისათვის გადიდებული უნდა იქნას უმუშევრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებების გატარებისათვის საჭირო თანხები. ამიერ-კავკ. საგეგმო კომისიას დაევალა, რათა მან შრომის სახალხო კომისარიატთან და ამიერ-კავკ. ს.მ.უ.ს.-თან ერთად დაამუშავოს სახალხო მეურნეობის კვალიფიციური მუშა-ხელით უზრუნველყოფის და აგრეთვე უმუშევართა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი.

რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს დაევალა, რათა მათ წინადადება მისცენ ადგილობრივ აღმასკომებს, რომ ამ უკანასკნელებმა მონაწილეობა მიიღონ უმუშევრობის წინააღმდეგ მიმართულ შრომის სახალხო კომისარიატის ღონისძიებებში და თავის ხარჯთ-აღრიცხვაში გაადიდონ იმ თანხების რაოდენობა, რომელიც ეძლევათ შრომის სახალხო კომისარიატის ბირჟ. ადგილობრივი ალმასკომების ხარჯთ-აღრიცხვების გადასინჯვის დროს ამიერ-კ. ფინსახკომმა უნდა შეამოწმოს ამ დირექტივის შესრულება და ამის და მიხედვით შეიტანოს მასში სათანადო შესწორებანი.

რა უწყობს ხელს მალარიის გავრცელებას თბილისში

თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე ჯანმრთელობის განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ფანცხავამ გააკეთა მოხსენება ქალაქში მალარიის გავრცელებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა თბილისში მალარიის გავრცელებას ხელს უწყობენ სარწყავი არხები, ეზოებში დაგროვილი უსუფთაობა და მტკვრის ნაპირებზე დამდგარი გუბეები.

სარწყავი არხები არ იწმინდება და კარგად არ არის მოვლილი. მაგალითად საბურთალოზე, არსებულ სარწყავ არხს მოკიდებული აქვს ობი და მის ნაპირებზე, შიგ არხშიაც გაჩენილია წყლის მცენარეები. უფრო ცუდ მდგომარეობაშია გერმანელების ახალშენის სარწყავი არხი დიდუბეში. ეს არხი საფრთხეს უქადის ქალაქის დიდი ნაწილის მცხოვრებთა ჯანმრთელობას.

მალარიის გამავრცელებელ ბუდეებს წარმოადგენენ აგრეთვე ორთაჭალა და მადათოვის კუნძული.

სამალარიო დისპანსერი ღებულობს სათანადო ზომებს მალარიის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ზომები შედარებით უნაყოფო იქნება მანამ, ვიდრე თვით მალარიის გამავრცელებელი ალაგები არ მოისპობა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ორთაჭალაში ბოსტნებისა და ნოტიო ადგილების წყალობით გავრცელებულია მუცლის ჭიები და ე. წ. პაპატაჩის ცხელება.

თუ როგორ გავრცელებულია უკანასკნელ ხანებში მალარია, ეს სჩანს შემდეგიდან: 1927 წელს აღრიცხული იყო მალარიით შეპყრობილი 13.605 კაცი, შარშან—21.812. წელს კიდევ მეტია მათი რაოდენობა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მალარიით დაავადებულნი ხშირათ გვერდს უხვევენ სამალარიო დისპანსერს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მალარიით დაავადებულთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ეს არის ნაჩვენები აღრიცხვის საშუალებით.

პრეზიდიუმმა დაადგინა, ვინაიდან დიდუბე სულ ახლო ხანში გადაიქცევა სამრეწველო უბნად, სადაც იმუშავებს რამდენიმე ათასი კაცი, ამიტომ მათი და აგრეთვე ამ უბნის მცხოვრებთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გაუქმდეს გერმანელთა ახალშენის სარწყავი არხი.

მიღებული იქნას ენერგიული ზომები მალარიის გავრცელების თავიდან ასაცილებლად და ამისათვის დიდუბეში, საბურთალოში და ორთაჭალაში დაარსდეს მალარიის და სხვა ტროპიკულ სნეულებათა წინააღმდეგ მებრძოლი რაზმები სპეციალისტ ექიმების ხელმძღვანელობით.

დაუყოვნებლივ გაწმენდილი და გასუფთავებული იქნას საბურთალოს არხი. ამასთანავე დაევალოს კეთილმოწყობის განყოფილებას გააძლიეროს ქალაქის კეთილმოწყობა იმ მხრით, რომ რაც შეიძლება მეტი სისუფთავე იქნას დაცული. მასვე წინადადება მიეცეს მოსპოს მტკვარის ნაპირებზე დამდგარი გუბეები და გაასუფთაოს მადათოვის კუნძული. შემდეგ წარმოადგინოს გეგმა მის გასაუქმებლად.

გაფართოებული იქნას სამალარიო დისპანსერი. ყარაიაში მოეწყოს ტროპიკულ სნეულებათა სადგური; საგარეჯოში, ხაშურში, სართიჭალაში და ნატახტარში გაიხსნას სამალარიო პუნქტები.

დასასრულ პრეზიდიუმმა დაადგინა გაძლიერებული იქნას მოსახლეობის შორის სანიტ-პროფილაქტიური მუშაობა.

დაუდევრობის შედეგი

ჩვენი გაზეთის 22 აპრილის ნომერში მოთავსებული იყო ცნობა, რომ სოფ. სნოში (ყაზბეგის თემი) თბილისის ალმასკომის მიერ აგებული ხიდი უკვე დაზიანებულია, რასაც შეიძლება მოჰყვეს მსხვერპლი და უბედური შემთხვევა.

თბილისის სამაზრო კეთილმოწყობილობის განყოფილება შეუდგა ხიდის ადგილობრივ გამოკვლევას. გამოკვლევას აწარმოებდა ინჟ. ლონლაძე.

თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა მისი მოხსენება ჩატარებულ გამოკვლევის შედეგების შესახებ.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ხიდის საძირკვლები აგებული ყოფილა არა მკვიდრ, არამედ მერყევ ნიადაგზე, რის გამო შესაძლებელია საძირკვლების მალე დაზიანება.

გარდა ამისა ხიდის აგება სწარმოებდა ისე, რომ ხიდის ასაგები ალაგი არ ყოფილა დაწრეტილი. ამიტომ თვით საძირკვლების ქვედა კორპუსი არ არის კარგად შეკრული და შედუღებული. არც ხიდის თალია სათანადოთ შეკრული.

საერთოდ, როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ხიდი აგებულია ყოველგვარ ტეხნიკურ პირობების დაცვის გარეშე. რომ ხიდი გამოდგეს სუსტი მოძრაობისათვის, საჭიროა მისი საფუძვლიანად შეკეთება, რაც დაახლოებით დაჯდება 5.000 მანეთი.

თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა, წინადადება მიეცეს კომუნალურ განყოფილებას დაუყოვნებლივ გაგზავნოს ადგილობრივ კომისია ხიდის დაზიანების მიზეზების დაწვრილებით შესასწავლად და იმის გამოსარკვევად, თუ რა სახის შეკეთება სჭირია ხიდს.

პრეზიდიუმმა აგრეთვე დაადგინა, ის თანამდებობის პირნი, რომელთა დაუდევრობისა და მოვალეობისადმი გულგრილად მოპყრობის გამო ხიდი აგებული იქნა ცუდათ, მიცემულნი იქნან პასუხისგებაში.

მათი საქმე უკვე გადაეცა თბ. მაზრა-ქალაქის პროკურორს.

სასამართლო

კონტრაბანდისტების გასამართლება

ილია მოსეს ძე კოკუაშვილს, მიუხედავად იმისა, რომ ის ახალგაზრდაა, დახელოვნებული კონტრაბანდისტის სტაჟი აქვს.

ის ჯერ კიდევ სამი წლის წინად კონტრაბანდისტობისათვის გადასახლებული იყო საქართველოს ფარგლებიდან.

ცოტა ხნის შემდეგ იმ იმედით, რომ ის გამოსწორდებოდა და პატიოსან შრომას მოჰკიდებდა ხელს, განთავისუფლებული იქნა.

ციმბირიდან ახლად დაბრუნებული კოკუაშვილი პირველ ხანებში ერიდებოდა ძველ ხელობას, მაგრამ მალე ისევ „წაძლია სულმა“ და დაიწყო კონტრაბანდა საქონელით ვაჭრობა.

რომ „საქმე“ უფრო კარგად წასულიყო მან შეადგინა მტკიცე ორგანიზაცია. ორგანიზაციაში შედიოდნენ: ერვანდ გრიგოლის ძე დანელიანცი, ვლადიმერ მიხეილის ძე კობერიძე, გასან აბდულ-ოღლი, ნიკოლოზ ფოლაშვილი, და მელამ ხაჩატურის ძე სარქისოვი.

კოკუაშვილის ხელმძღვანელობით ორგანიზაცია შეუდგა „მუშაობას“. ორგანიზაციის რამდენიმე წევრი, მათ შორის კოკუაშვილი, სისტემატიურად დადიოდა ბათომში და იქიდან ჩამოჰქონდათ კონტრაბანდა საქონელი, ძვირფასი შალეულობა, ტყავები, „ლორიგონი“, ქალის წინდები და სხ.

ორგანიზაციის დანარჩენი წევრები აწარმოებდნენ თავიანთ ამხანაგების მიერ მალულად ჩამოტანილ საქონლის გაყიდვას.

მონაგებს ინაწილებდნენ „ძმურად“. უფრო მეტს იღებდა კოკუაშვილი, როგორც მოთავე და „სპეცი“.

ერთხელ, როცა კოკუაშვილი და ფოლაშვილი ბათომში იმყოფებოდნენ და კონტრაბანდით დატვირთულები აპირებდნენ თბილისში წამოსვლას, ისინი შეიპყრეს.

შეპყრობილები გადმოგზავნეს თბილისში. მალე შეპყრობილ იქნენ ორგანიზაციის დანარჩენი წევრებიც.

გუშინ, თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით განიხილა მათი საქმე და ილია კოკუაშვილს, როგორც გაუსწორებელ კონტრაბანდისტს, მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, მასვე სასამართლომ 3 წლით აჰყარა სამოქალაქო უფლებები.

ვინაიდან დანარჩენები წარმოადგენენ მშრომელ ელემენტებს და კონტრაბანდისტობას ხელი მიჰყვეს შემთხვევით, კოკუაშვილის წაქეზებით, სასამართლომ ისინი განთავისუფლა სასჯელისაგან. სასამართლოს წესით ისინი დასჯილნი იქნებიან ადმინისტრატიული წესით.

დაუდევრობისათვის

ინჟენერი გიორგი ტერ-სტეპანოვი 1925 წლიდან ითვლებოდა თბილისის ალმასკომის რაიონულ ინჟენერის თანამდებობაზე.

უკანასკნელად მას მიენდო ყოფ. არამიანცის საავადმყოფოსთან ერთ-ერთი განყოფილებისათვის ახალი შენობის აგება და ამავე საავადმყოფოს პროზექტურის შენობის გადაკეთება.

მუშაობა ტერ-სტეპანოვმა დაიწყო ხარჯთ-აღრიცხვის შეუდგენლად. სამუშაო 24.421 მ. გადასცა მოიჯარადრე თეიმურაზოვს.

მთელი ერთი წლის განმავლობაში არ წარმოუდგენია გაწეული ხარჯების ანგარიშები.

ნამუშევარის შეფასების დროს კი გამოირკვა, რომ ტერ-სტეპანოვს მოიჯარადრესათვის მიუცია მეტი, ვიდრე ეკუთვნოდა.

არც შესრულებულ სამუშაოს ღირსება აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი.

ტერ-სტეპანოვის წინააღმდეგ აღძრული იქნა საქმე. მას ბრალდება სამსახურისადმი გულგრილობა და დაუდევრობა, რითაც თბ. ალმასკომს მიაყენა რამდენიმე ათასი მანეთის ზარალი.

ტერ-სტეპანოვის საქმეს ამ დღეებში განიხილავს თბ. მაზრა-ქალაქის სასამართლო.

კასიო.

შემთხვევები

ხანძარი

სოფელ დიდ ჯიხაიშში (ქუთ. მაზრა) ღამით ცეცხლი გაუჩნდა ნოე კახიძის სახლს. ცეცხლი ისე გაძლიერდა, რომ ვერავინ შესძლო მისი ჩაქრობა. 2. ს. განმავლობაში ცეცხლმა ჩანთქა ყველაფერი. დაიწვა ყველა საოჯახო ნივთები. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

შესდგა კომისია, რომელიც აწარმოებს დაზარალებულთათვის დახმარების შეგროვებას.

შეტაკება ყაჩაღებთან

27 ივლისს თელავის მილიციის თანამშრომლებს შეტაკება მოუხდა ყაჩაღ კრუხოიას ბანდასთან, რის დროსაც მილიციამ ყაჩაღებს დაატოვებინა 5 ცხენი, ორი შინელი და სხვა ნაძარცვი ნივთები. ყაჩაღებმა მოასწრეს მიმალვა.

თავდასხმა

გუშინ, დღის 5 საათზე ორთაჭალაში, ქალაქიდან მომავალ მეურმეს ბასმალიშ ალი ოღლის მცხოვრები სოფ. იმირისში (ბორჩალოს მაზრა) თავს დაესხნენ ხანჯლებით შეიარაღებული ორი უცნობი პირი და სიკვდილის მუქარით წაართვეს 10 მანეთი და ნივთები. მიღებულ ზომებით მძარცველები შეიპყრეს, რომელნიც აღმოჩნდნენ აჯი მურად ოღლი და ბალიშედ აბას ოღლი.

ფულის გატაცება

გურჯაანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდან გაიქცა ამავე კანტორის თანამშრომელი, რომელმაც თან გაიტაცა 8.700 მანეთი სახაზინო ფული და მიიმალა. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედის შესაპყრობად.

რკინისგზეზე

გზის წალეკვა

6 აგვისტოს, ღამით ამიერ-კავკ. რკინის გზების სამხრეთ უბანზე მოვიდა კოკისპირული წვიმა, რის გამოც ადიდდა ღელეები.

არჩუთ-კარაკლისის შუა მთიდან დაქანებული წყალი გადავიდა რკ. გზ., წალეკა გზა, და აზიანა ხიდი და დასტოვა დიდძალი ლამი.

მატარებლების მოძრაობა შესწყდა. ამამლოდან და კარაკლისიდან შემთხვევის ადგილზე გაგზავნეს დამხმარე მატარებლები.

მგზავრების მოძრაობა სწარმოებს გადასხდომით. მატარებლები ორთავე მხრიდან მიდიან დაზიანებულ ადგილამდე და იქ სწარმოებს მგზავრების ერთი მატარებლიდან მეორეზე გადასხდომა.

გუშინ დილის ათ საათზე პირდაპირ მოძრაობა აღდგენილი არ ყოფილა.

დაჯახება ურემზე

ალაბაშლი-განჯას შუა ლიანდაგზე გადამავალ ურემს დაეჯახა მატ. № 17-ის ორთქლმავალი.

ურემი დაიმსხვრა. დაზიანდა ორთქლმავალიც. ამ შემთხვევის გამო მატ. № 17-მა დაიგვიანა 40 წუთით.

საბინაო მშენებლობა

გზაზე დაწყებულ ბინების საამშენებლო სამუშაოების დასამთავრებლად ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობამ მიმდინარე წლისათვის გადასდო 100.000 მანეთი.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ [illegible]:

გონებრივ მუშათა სექციიდან: გრიგორ ჯახელიძე, მიკ. მერაბიშვილი, კაპ. ფინთუ[illegible], ტორონიძე, ელიკაშვილი, თამრო კლოცი, ვარო ფოფხაძე, სანატურჯიანცი, გიო აბდალაძე, ნინო ოდიშელი, მიხეილ გურგენიძე, ვარვარა ისაგულოვა, რცხილაძე, ავაქოვა, ტიგ[illegible] ვართანოვი, გეურქ მორზოევი, არტ. ავეთ[illegible] დილოვი, არ. მარკისიანცი, მიხ. დან[illegible]იანი, ოსებ ხეჩუაშვილი, მეგრელიშვილი, [illegible] დაშელი, არ. მარგალიტაძე, შალიკო წუ[illegible] თინოვი, ო. ალექსანდროვა, ევგენია გუმბაძე, აკ. კვანტალიანი.

კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან: ლევან გობიანცი, მიხ. სამორგულიანი, გამეზარდაშვილი, იოსებ ლოტაშიძე, ბადლიანი, ლევან ართინოვი.

მედსექციიდან: ელ. ზორიტერევა, თამრო ვეკუა, ნინო ბაგდასაროვა, მარო რაზლამაშვილი, სულავა, ქერივიშვილი.

მშენებელ მუშათა სექციიდან: აკაკი სარქისოვი, ლაზარე ავანოვი, ოგანეზიანი, ნიკ. ნაროსტაშვილი, გიგიაშვილი, ელისაშვილი, გოშაშვილი, მელიკონოვი, სიმონიანცი, პეტრე გონჩარკო, ალ. გაბაძე, აკოფ პარუნბეგოვი, მიხ. ლისჩენკო, ისაკი აივაზოვი, ისაკი სიხარულიძე, თედორე გრომოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 8 აგვისტოს, დილის 9 საათზე საქ. კომპარტიის ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის აგიტპროპგანყოფილებაში მოწვეულია თათბირი ჟურნალ „ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის“ მდგომარეობის შესახებ. თათბირზე მოწვეულია შემდეგი ამხანაგები: კარინიანი, გ. დ. ბაგიროვი, მგალობლიშვილი, ს. ფირუმოვი (ჟურნალის რედაქციიდან), გულოიანი (ამიერ-კავკ. უმაღლესი საბჭო), ვეინგერი (ამიერ-კავკ. საგეგმო კომისია), კელოსენიძე, მირზაბეკიანი, დავიდოვსკი (ამ.-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია), ჟუჟიკაშვილი (საქართველოს კომპარტიის ცეკა), სეფე და კარპი („ზარია ვოსტოკა“), ასრიბეკოვი, ადამიანი (თბილისის კომიტეტი), გრიგორიანი (ამიერ-კავკ. სტატისტიკის სამმართველო), ბუკრეევი (ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახკომისარიატი), ქ. ორაგველიძე, ერქომაიშვილი (სახ. უნივერსიტეტი), კურსელი („ზაკსოიუზი“), ავაქოვი (თბილისის ალმასკომი), ონანოვი (ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატი), რუხაძე (საპონ - ზეთის ტრესტი), ორთქლმავლების თბილისის დეპოს უფროსი, მაუდის ფაბრიკის დირექტორი, პეცოვი (თამბაქოს ტრესტი).

—:—

თბ. სახ. უნივ. ახ. ლ.კ.კ. გაერთიანებულ უჯრედთა ბიურო იუწყება, რომ დღეს ხუთშაბათს, საღამოს სრულ 5 საათზე შესდგება უჯრედის კრება. დასწრება წევრებისათვის და კანდიდატებისათვის სავალდებულოა.

გაუბედურებული მშობლები: ანეტა და ირაკლი კოტრიკაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ აბასთუმანში გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი შვილი

შუშიკო

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2800

საქ. ს.მ.უ.ს. პოლიგრაფიული მრეწველობის სახელმწიფო ტრესტის
დასკვნითი ბალანსი
1928 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის.

აქტივი.

მუხლების დასახელება.	თანხა	
	კერძო	საერთო
I. ქონება		
1 შენობები და ნაგებობანი	277.067—03	
2. მანქანები და გაწყობილება	1.051.846—31	
3. იარაღი	8.797—75	
4. ინვენტარი	176.535—49	1.514.246—58
II. სათადარიგო გაწყობილება		4.983—34
III. დაუმთავრებელი ნაშენი		3.301—60
IV. მასალები		
2. ნედლეული და ძირითადი მასალა	126.823—80	
2. სათბობი მასალა	85—46	
3. დამხმარე მასალა	112.112—29	239.021 55
V. დაუმთავრებელი წარმოება		63.376—00
VI. საქონელი და მზა-ნაწარმი		
1. საქონელი და მზა-ნაწარ. საწყობებში		131.295—53
VII. ფულადი სახსარი:		
1. კასა (ნაღდი ფული, ჩეკები, შემოსული ამანათები, მარკები და სხვა)	1.695—02	
2. მიმდინარე ანგარიშები	1.277—55	2.972—57
VIII. ფასიანი და პროცენტიანი ქაღალდები:		
ა) სახელმწიფო საგარანტიო სესხი		10.843—80
ბ) სხვა ქაღალდები		612—20
IX. პაიები და აქციები (სხვა საწარმოთა).		5.268—39
X. ანაბარი:		
1. ანაბარი ადგილობრივი გრძელვად. კრედ. განყოფილებებში	137—08	
2. სესხები საბინაო მშენებლობისათვის (მ.-მოსამსახ. ყოფა-ცხ. გაუმჯ. ფონდი)	2.986—66	3.123—74
XI. მიღებული თამასუქ. და დოკუმენტ.		
1. მიღებული თამასუქები:		
ა) პორტფელში	17.902—30	
2. პროტესტქმნილი თამასუქები	4.030—11	
3. ბანკებში განაღდებული თამასუქ.	105.502 13	127.434—54
XII. ანგარიშ. სავალდებულო თანხები		462—13
XIII. დებიტორები		
1. მუშა - მოსამსახურენი	6.017—69	
2 მომწოდებლები და მოიჯარენი	40.764—76	
3. მყიდველები და დამკვეთლები	183.175—60	
4. სხვადასხვა დებიტორები	15.441—76	
5. საეჭვო დებიტორები	128.729—07	374.128—88
XIV. მომავალი წლების ხარჯები		3.972—30
ბალანსი:		2.485.043 15

პასივი.

მუხლების დასახელება.	თანხა	
	კერძო	საერთო
I. კაპიტალები		
1. საწესდებო	1.835.654—63	
2. საამორტიზაციო	109.965—78	
3. სარეზევო „სათადარიგო“	10.728—39	
4. საწარმოს გაფართოების კაპიტალი	7.339—97	1.963.688—77
II. ფონდები		
1. მუშა-მოსამსახ. ყოფა-ცხოვრ. გასაუმჯ. ფონდი	6.694—56	
2. წარმ. ხელმძღ. პერს. წამახალ. ჯილდოს ფონდი	2—74	6.697—30
III. რეზერვები		
1. საეჭვო ვალების რეზერვი		41.914—03
IV ბანკები		
1. ბანკები სპეციალურ მიმდინ. ანგარიშ. (უზრუნ. თამასუქებით)	33.830 00	
2. ბანკები განაღდებულ თამასუქებით	105.502—13	139.332—13
V. [illegible]		131.383—38
VI. კრედიტორები		
1. მუშა - მოსამსახურენი	19.484—38	
2. მომწოდებლები და მოიჯარენი	79.569—46	
3. მყიდველები და დამკვეთლები	33.308—94	
4. გადაუხდელი გადასახადები გამოსაღებები და სავალდებულო შესატანი	24.283—41	
5 სხვადასხვა კრედიტორები	28.173—08	184.819—27
VII. საწესდებო კაპიტალის ცვლილება (გადიდება)		14.307—50
VIII. შედეგები:		
1. მოგება საანგარიშო წლის		2.900—77
ბალანსი:		2.485.043—15

ბალანსის იქით მუხლები

I უზრუნველსაყოფად გაცემული თამასუქების პატრონნი		3.000—00
II ფასეულობანი, მიღებული საწინდრად და უზრუნველსაყოფად:		
1. საგარანტიო თამასუქები		3.750—00
ბალანსის იქითა ჯამი		6 750 00
საერთო ჯამი		2.491.793—15

1. გაცემული საგარანტიო თამასუქები		3.000 00
2. საწინდრათ აღებული ფასეულობათა პატრონნი		3.750—00
ბალანსის იქითა ჯამი		6.750 00
საერთო ჯამი		2.491.793—15

ბალანსის გარეშე

1. მიწა 1866 კ. საჟ.		33 150 00

დებეტი მოგება-ზარალის ანგარიში კრედიტი

სავაჭრო ხარჯები		55.040—44
საერთო სადმინისტრაციო ხარჯები		49.128—05
გადახდილი პროცენტები		21.539 51
ზარალი მასალების, ნახევ.-ფაბრიკატ და საქონლის დანაკლისიდან		792—4
ზარალი უიმედო ვალების ჩამოწერით		733—61
ანარიცხი საეჭვო ვალების რეზერვში		26.369—31
გადახდილი ჯარიმა, საურავი და სხ.		180—14
ანარიცხები ს.მ.უ.ს. განკარგულებათა თანახმად		5.429—20
შემთხვევითი ხარჯები		3.818—43
მოგება: საანგ. წლის		2.900—77
სულ		165.931—87

მოგება საქონლის და ნახევ.-ფაბრიკატ. რეალიზაციიდან (შინაგ. ბაზარზე)		122.580 44
მოგება მასალის რეალიზაციიდან		7.683 65
მიღებული პროცენტები:		
ა) პროცენტიან ქაღალდებიდან	22—05	
ბ) მიმდინარე ანგარიშებიდან	3 0 91	
გ) ანგარ. სწორებებით და თამასუქებით	12.914 12	14.317—08
მასალის ნახევარ-ფაბრიკატ. და საქონლის მეტობა		1.09[illegible]—20
მოგება საეჭვო ვალების რეზერვის გამოუყენებელ ნაშთის გადარიცხვით		4.197—64
მიღებული საურავი და ჯარიმა		362 90
შემოსავალი საიჯარო მუხლებიდან		228—81
ლიკვიდაციაქმნილ გაცემ. ქონებისა		11.869 01
შემთხვევითი შემოსავალი		4.601 14
სულ		165.931—87

მოგების განაწილება

მოგება განაწილებულია შემდეგნაირად:

მოგება 1927—28 წ.		2.900—77
10 % საშემოსავლო გადასახადი		290—07
		2.610—70
3 % უმაღლეს პროფ. ტეხნ. სასწავლ.		78—32
		2.532—38
1. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხ. გაუმჯობეს. ფონდში	10 %	253—24
2. სარევიზიო კაპიტალში	10 %	253—24
3. გრძელვადიან კრედიტის ფონდში	10 %	253—24
4. საწარმოს გასაფართოებელ კაპიტალში	25 %	633—09
5. საწარმოთა ხელმძღვან. პერს. წამახ. ჯილდოს ფონდში	0,25 %	6—33
6. ხაზინის სასარგებლოდ	44,75	1133—24
ჯამი	100 %	2532—38

ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის მმართველი ტ. ხარაზიანი

მთავარი ბუხჰალტერი გ. ქურციკიძე

ეს ბალანსი დამტკიცებულია საუწყებათაშორისო კომისიის მიერ (ოქმი № 6 1929 წ. ივნისის 10 თარიღით) და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

საქ. ს.მ.უ.ს. მთავარი ბუხჰალტერი პ. ა. ჯანელიძე

საზაფხულო ბაღი (ყოფ. არტო)
დღეს, ხუთ აბათს, 8 აგვისტოს და ყოველდღე 11 აგვისტომდე
საბჭოთა კავშირში ერთად ერთი ამა-ჯაზი ა. ცფასმანის ხელმძღვანელობით
ინნა როვიჩი--დანიილ ოლენინი
ანა რედელი და მიხეილ ხრუსტილევი. არკადინი და გრიდოვი.
კონფერანსიე ქ. ი. კარევი დასაწყისი საღ. 10 საათზე. ნ. 3089

საზაფხულო ბაღი (ყ არტო).
სახელმწიფო ოპერის საზაფხულო სიმფონიური კონცერტების ციკლი
ხუთშაბათს, 8 აგვისტოს, მეხუთე კონცერტი
მოსკოვის დიდი თეატრის დირიჟორის / სახალხო არტისტის
ლ. პ. შტეინბერგის ხელმძღვანელობით
სოლისტ ვიოლონჩელისტის ა. ფ. ფერკელმანის მონაწილეობით.
დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი სრულ 9 საათზე.
ნ. 3084

სახკინმრეწველის კინოები
საზაფხულო აპოლო — ახალი 3 ოთახი სამზარეულოთი კომედია
რეჟისორი შპიკოვსკი, ოპერატორი სტ ნკე
საზაფხულო ეთერი — უცხოეთის მხატვრული სურათი
მოის ბალ. და
მარიელა ალბანი და ვერნერ კრაუსე სურათში
საზაფხულო პალასი — კულისებს იქით
მინიონი — ხანუმა (კეთო და კოტე)
რეჟისორი ა. წუწუნავა. ოპერატ. – დიღმელოვი
0—6

საქ. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის
დადგენილება № 14

1929 წელი 6 აგვისტო.

საქართველოს სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა დაადგინა:

1) ლიკვიდაცია უყოს ლოტოებს.

2) ლოტოების ლიკვიდაციის ჩასატარებლათ შესდგეს კომისია ამხ. დ. კალანდაძის, შ. დურგლიშვილის და შ. დოლიძის შემადგენლობით.

3. წინადადება მიეცეს სალიკვიდაციო კომისიას ლოტოების ლიკვიდაცია დაამთავროს მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე

სახალხო კომისარი ვ. ვაშაკიძე

საქმეთა მმართველი დ. კალანდაძე.

ორშაბათს, 12 აგვისტოს დღის 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

9000 კუბ. მეტრი მსხვილი ქვიშის მოწოდების შესახებ. კონდიციების გაცნობა შეიძლება ყოველ დღეს მუშაობის საათებში ტრამვაის სამმართველოს კანცელარიაში საჯარო ვაჭრობაზე გამოცხადებულ ღირებულების 10 პროც. ბეს სახით წარმოდგენა სავალდებულოა

ტრამვაის დირექტორის მოადგ. მირველოვი.

ნ. 3088 საქმის მწარმოებლის მაგ. ჯაველიძე

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა აცხადებს, რომ შაბათს 10 და კვირას, 11 აგვისტოს, დილის 10 საათზე კომინტერნის ქ. № 3 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ფინ. ახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლათ. გაიყიდება როიალი. პიანინო, შიფონერკები, კამოდები, გარდერობები, ხალიჩები. სარკეები, ვენური სკამები, სალებავები და სხვა მრავალი ნივთები ნ. 3087

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ზოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

გ. მ. ფხალაძე
სიფილისი, სუსუნატი (მის გართულებანი და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ.
საღამ. 6—7 საათ. ქალები
7—9 საათ. კაცები
მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან). 25—1

თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. გ. კონტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და მავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი. 1—90. 25—11

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914“ შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

დაკარგა: საქ. ბარ. № 18386 ეპიფანე სტეფანეს-ძე გვალიას სახელზე, ჩ. გ. 2799

საჭიროა
გაზეთ „კომუნისტი“-ს ცალობით
გამყიდველები
რუსთაველის პრ. № 34
„კომუნისტი“-ს გამომცემლობა

სახმედვაჭრობის ბათომის სააფთიაქო მაღაზიის გამგეს,

ვარლამ ვლადიმერის-ძე თავბერიძეს,

რომელმაც გაფლანგა სახმედვაჭრობის თანხები და მიიმალა, სამსახურში ყოფნის დროს, სახმედვაჭრობის სახელზე გაუცია თამასუქები სხვადასხვა პირებისათვის და დაწესებულებისათვის, რაზედაც მას, ჩვენს მხრივ, არავითარი დავალება და რწმუნება არ ჰქონია, რის გამოც სახმედვაჭრობას არ მიაჩნია თავი მოვალეთ დაფაროს ასეთი თამასუქები და მის განაღდებაზე უარს აცხადებს.

მმართველი—კანდელაკი

3—2 ნ. 3082 კანცელარიის გამგე—წულაია

საბინაო უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ღვალაძე აცხადებს, რომ ის 10 აგვისტოს 1929 წ დღის 1 საათზე სახლში № 31 ტრიბუნალის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. იოსებ როინიშვილის მოძრავ ქონებას: „ვებერი“-ს ფირმის პიანინოს შეფასებულს 600 მანეთად, № 14 საბინაო ამხანაგობის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქალ. თბილისის საბინაო სახალხო სასამართლოსაგან 15 ივლისს 28 წ. 27 მაისს 1929 წ. თარიღით, № 2689 და 411 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2794

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები სახის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5--8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.
25—1 2561

პროფესორი
გ. მ. მუხაძე
წასულია კისლოვოდსკში და დაბრუნდება ენკენისთვეში.
2579 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
წასულია. განაახლებს ავადმყოფების მიღებას 1 სექტემბერს.
2533 25—11

დაკარგა ზაკტეპოს წიგნაკი № 33362 ივანე ქველაძეს სახელზე, ჩ. გ. 2793

დაკარგა ზაკტპოს წიგნაკი № 44921—იონა წულეისკირის სახელზე, ჩ. გ. 2790

დაკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 15672 ალექსანდრე სანაძის სახელზე, ჩ. გ. 2797

დაკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 18030 სოლომონ ესტატეს-ძე გოგოლაძეს სახელზე, ჩ. გ. 2795

დაკარგა: კავშირის წიგნაკი № 5512 ანა ლევანის ასული კალანდაძეს სახელზე, ჩ. გ. 2796

დაკარგა: პარტბილეთი № 0863533 ბაგრატ შახნაზაროვის სახელზე, ჩ. გ. 2797

დაიკარგა საწევრო წიგნაკი დუშეთის კოოპერატივისა № 423 ივანე ნიკოლოზის-ძე ბადაგაძეს სახელზე, ჩ. გ. 2798

დაკარგა, შვიდწლედის დამთავრების მოწმობა № 226 და მეტრიკული ამონაწერი № 95 ლევან ილიას-ძე კიკნაძის სახელზე, ჩ. გ 2801

დაკარგა მშენებელთა პ/კავშ. საწევრო წიგნაკი გაცემული სამტრედიის ალმშ. პ/კავშ. მიერ № 13/26 84 რაფიელ პავლეს-ძე ვაშაყმაძის სახელზე, ჩ. გ. 2799

ტირ. ეე—43.127
პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, ცამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.